პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 აპრილი **სამშაბათი** 2011

№084 (13381) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

**მანჩესტერი** (ინგლისი) **VS** **ჩელსი** (ინგლისი)

12 აპრილი. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 22:45

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

**შახტარი** (უკრაინა) **VS** **ბარსელონა** (ესპანეთი)

12 აპრილი. დონეცკი. დონბას არენა. 22:45

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ინტრიგა მხოლოდ ინგლისშია




**თუ მანჩესტერმა ჩელსი გააგდო, აბრამოვიჩი ანჩელოტის გააგდებს და ტორესს გაყიდისო**



**გვარდიოლა დონეცკში მსუბუქად წავიდა**

წინათქმა 9

# ჭანტურია ვიტესელია

**დაბადების დღე, კონტრაქტი, ტორტი, დედა, ძმა, იმედები...**

2






მარცხნიდან: ვიტესის ტექნიკური დირექტორი ტედ ვან ლიუვენი, გიორგი ჭანტურია და კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია

ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი


გიორგი ჭანტურია კონტრაქტზე ხელმოწერისას

# და ეს ყველაფერი ერთ მშვენიერ დღეს
## დაბადების დღე, კონტრაქტი, ტორტი, დედა, ძმა, იმედები...
# ჭანტურია ვიტესელია





გუშინ "ვიტესის" ვებგვერდმა გაავრცელა ინფორმაცია - **გიორგი ჭანტურიამ** არნემის "ვიტესთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ჭანტურია 18 წლის გუშინ გახდა, რაც "ვიტესში" ლამაზად მიულოცეს: კლუბის საპრესკონფერენციო დარბაზში საგანგებო ტორტი (წარწერით: გიო 18 წლისაა, გილოცავთ), 11-ნომრიანი მაისურა (რომლითაც ჰოლანდიურ კლუბში ითამაშებს) და კონტრაქტი დაახვედრეს, რომელსაც მისი ხელმოწერალა აკლდა. ამ ხელმოწერას კი არნემული კლუბის თავკაცები და თავად ფეხბურთელი გასული წლის სექტემბრიდან, ანუ მთელი შვიდი თვე ელოდნენ.

"გიორგი ჭანტურია 18 წლის გახდა და "ვიტესთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს იყო ხანგრძლივი ლოდინის დასასრული. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება 1 ივლისიდან შევა ძალაში, "ვიტესმა" კი მისი კიდევ ორი წლით გახანგრძლივების უფლება მიიღო.

ქართველი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა თავდამსხმელად ითვლება, "ვიტესში" 2010 წლის სექტემბრიდანაა სტაჟირებაზე. ეს იმიტომ, რომ ჰოლანდიის კანონმდებლობით, კლუბს მხოლოდ 18 წლიდან შეუძლია არაევროკავშირელი ფეხბურთელის ჩარიცხვა.

ჭანტურია თავის სამშობლოში "საბურთალოში" თამაშობდა, ბოლო ორი სეზონი კი - "ბარსელონას" 19-წლამდელთა გუნდში. არის საქართველოს 19-წლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებების წევრი" – იუწყება "ვიტესის" პრესსამსახური.

კონტრაქტზე ხელმოწერას ესწრებოდნენ გიორგის დედა და ძმა, მეგობრები, "ვიტესის" ტექნიკური დირექტორი **ტედ ვან ლიუვენი** და კლუბის მფლობელი **მერაბ ჟორდანია.**

გიორგიმ მირთმეული ტორტი გაქრა და პირველი კომენტარი გააკეთა: "მოლოდინი ძალიან გაიწელა, წუთებს ვითვლიდი, თამაშის უფლება რომ მიმეღო. მზად ვარ, "ვიტესში" დღესვე ვითამაშო. დიდი ხანია, გუნდში ვვარჯიშობ, მაგრამ სხვები რომ თამაშობდნენ, მე შეხვედრებს ტრიბუნიდან ვუყურებდი, რაზეც გული მწყდებოდა. იმედი მაქვს, "ვიტესში" თავის გამოჩენას მოვახერხებ. ჰოლანდიაში, ამ კლუბში მოხვედრით კმაყოფილი ვარ და თავს მშვენივრად ვგრძნობ. დღეს ჩემთვის ლამაზი და ბედნიერი დღეა, რადგან თამაშის საშუალება მომეცემა".

**ტედ ვან ლიუვენი:** "ოფიციალურად გიორგის დამატება მხოლოდ ახლა მოვახერხეთ. ამით ჩვენი და თავად ჭანტურიას ხანგრძლივი ლოდინი დასრულდა და ის ჩვენი მოთამაშე გახდა. ეს "ვიტესისა" და მისთვის განსაკუთრებული დღეა. გიორგი ახალგაზრდა და საინტერესო ისტორიის მქონე თავდამსხმელია, რომელსაც ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევენ და მომავლის "ვიტესში" მოიაზრება".

**მერაბ ჟორდანია:** "მინდა გითხრათ, რომ დღეს დაიწყო "ვიტესის" ახალი ეპოქა. მე ვიცი, რამხელა პოტენციალი აქვს გიორგის. მისით ბევრი დიდი კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ კონტრაქტი "ვიტესთან" გააფორმა და ჩვენთან ითამაშებს. ჭანტურია დიდი ხანია გუნდში ვარჯიშობს, რამაც "ვიტესში" თავის გამოჩენა უნდა გაუადვილოს და სწრაფად უნდა გახდეს მისი ნაწილი".

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# სად ჩაგვაკალათებს ფიფა?
## ვიქნებით ბრაზილიის ბილეთების რიგში



როგორც წესი, ამა თუ იმ შესარჩევი ტურნირის წილისყრა მაშინ იმართება, როცა წინა ციკლი მოილევა, მაგრამ ამჯერად ფიფამ სხვაგვარად გადაწყვიტა და 2014 წელს ბრაზილიაში გასამართი მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრას 30 ივლისს მოაწყობს.

ბუნებრივია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო საქართველოს ეროვნული ნაკრების ბედია. უეფას მოთხოვნის მიუხედავად, ფიფამ ევროპას ფინალურ ეტაპზე კვლავ 13 ადგილი გამოუყო. 53 ევროპული ნაკრები 9 ჯგუფს დააკომპლექტებს, საიდანაც 8 ექვსგუნდიანი იქნება, ხოლო ერთი – ხუთგუნდიანი. შესარჩევ ციკლში უკლებლივ ყველა ევროპული გუნდი ითამაშებს, მათ შორის მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი. ჯგუფების გამარჯვებულები ბრაზილიაში თამაშის უფლებას ავტომატურად მოიპოვებენ, რვა საუკეთესო მეორეადგილოსანი კი პლეი ოფში ოთხ იღბლიანს გამოავლენს.

მივუბრუნდეთ ჩვენს გუნდს და ვნახოთ, რომელ კალათშია მოსალოდნელი მისი გამწესება. ბუნებრივია, ეს ფიფას რეიტინგზე იქნება დამოკიდებული – კონკრეტულად კი იმ მდგომარეობაზე, რომელიც ხვალ გამოქვეყნებულ რეიტინგში დაფიქსირდება. უდავოა, რომ საუკეთესო ათეულის ბინადარ ხორვატიის ძლევა საქართველოს ნაკრებს საგრძნობლად წასწევს წინ, მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ მეოთხედან მესამე კალათამდე ავაღწიოთ – აღსანიშნავია, რომ მეოთხე კალათშიც ბოლო პოზიცია გვიკავია და იქ ბენვზე შევასწარით ალბანეთს.

ისრაელში თუნდაც ფრისთვის რომ მიგვეღწია, მესამე კალათში მოხვედრის სერიოზული შანსი გვექნებოდა, ახლა კი ალბათ, მეოთხე კალათში დავრჩებით. ხორვატიის დამარცხება იქ დარჩენის გარანტიას ნამდვილად იძლევა. თუ ხვალინდელმა რეიტინგმა მაინც აღგვაზევა მესამე ეშელონში, ხომ კარგი, თუ არა და, მიმდინარე შესარჩევზე ერთი კალათით ზემოთ მაინც მოვხვდებით.

დღეისთვის **თემურ ქეცბაიას** გუნდი ევროპელთა შორის 36-ე პოზიციაზეა, მესამე კალათში მოხვედრას კი საუკეთესო 27-ეულში შესვლა სჭირდება.

მოდი, ფიფას ახალი რეიტინგის გამოქვეყნებამდე კალათების სადღეისო მდგომარეობას გადავავლოთ თვალი და პოტენციურ მეტოქეებსაც გადავხედოთ:

პირველი კალათა: **ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ინგლისი, ხორვატია, პორტუგალია, საბერძნეთი, იტალია, ნორვეგია;**

მეორე კალათა: **რუსეთი, სლოვენია, საფრანგეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, შვეიცარია, ჩერნოგორია, დანია, შვედეთი;**

მესამე კალათა: **ჩეხეთი, თურქეთი, უკრაინა, ირლანდია, უნგრეთი, ბელარუსი, ჩრდილოეთ ირლანდია, ბულგარეთი, შოტლანდია;**

მეოთხე კალათა: **რუმინეთი, ლიტვა, ბოსნია, ისრაელი, ავსტრია, ბელგია, სომხეთი, პოლონეთი, საქართველო;**

მეხუთე კალათა: **ალბანეთი, ლატვია, ფინეთი, ესტონეთი, მაკედონია, მოლდოვა, კვიპროსი, აზერბაიჯანი, ისრაელი;**

მეექვსე კალათა: **უელსი, ლუქსემბურგი, ყაზახეთი, ფარერები, ლიხტენშტაინი, მალტა, ანდორა, სან მარინო.**

განსაკუთრებული ცვლილებები არც სხვა კონტინენტების შესარჩევ სისტემაშია. სამხრეთ ამერიკიდან მასპინძელი ბრაზილიის გარდა მუნდიალის საგზურს კიდევ ოთხი რჩეული ნაკრები მიიღებს, ერთი კი პლეი ოფში ჩრდილოეთ ამერიკის მეოთხე გუნდს შეებრძოლება. აფრიკაში ხუთი საგზური გათამაშდება, აზიიდან ბრაზილიაში ოთხი გუნდი გაემგზავრება, მეხუთე კი ოკეანეთის ზონის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

მუნდიალი ბრაზილიის თორმეტ ქალაქში ჩატარდება, ფინალი კი, რაღა თქმა უნდა, ლეგენდარულ "მარაკანაზე" გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ოქრიაშვილი რომ ყოფილიყო...

უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში ლვოვის "კარპატიმ" შინ მარიუპოლის "ილიჩივეცი" 3:1 დაამარცხა.

მეტოქეთა რიგებში ქართველებს არ უთამაშიათ: **სანდრო გურულმა** ნაკრების ვარჯიშზე მიღებული კოჭის ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ ლვოველთა მთავარი მწვრთნელი **ოლეგ კონონოვი** ფრთხილობს და სრულ გამოჯანმრთელებამდე არ ათამაშებს.

"კარპატისთან" თავისიანებს ვერც **თორნიკე ოქრიაშვილი** დაეხმარა, რომელიც სამატჩო განაცხადშიც ვერ მოხვდა. როგორც კლუბის ვებგვერდი იუწყება, ქართველი ნახევარმცველი ვარჯიშზე დაშავდა - მას კოჭი გადაუტრიალდა.

უკრაინის პრემიერლიგაში ოქრიაშვილს იმდენად ეფექტური დებიუტი ჰქონდა, რომ რამდენიმე უკრაინულმა მედიასაშუალებამ "კარპატისთან" მარიუპოლელთა დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად 19 წლის ქართველი ნახევარმცველის არყოფნა დაასახელა.

სავარაუდოდ, ოქრიაშვილი ვარჯიშს მალე განაახლებს, მაგრამ როდის, ეს ჯერ უცნობია.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# ზუგდიდიდან გზაა დიდი

26 აპრილს ყაზახეთში "პრეზიდენტის თასის" გათამაშება დაიწყება, სადაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიც იასპარეზებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, **ვასილ მაისურაძის** გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შემოდგომაზე ჩაერთვება, მოსამზადებელ შეკრებაზე ზუგდიდში გაემგზავრა, სადაც "ბაიას" ბაზაზე დაბანაკდა.

მაისურაძემ საყაზახეთოდ 21 ფეხბურთელი გამოიძახა: **გიორგი გელბახიანი, ალექსანდრე ადამია, გიორგი აბურჯანია, გიორგი პაპუნაშვილი, ლაშა დვალი, ალექსანდრე ჩაკვეტაძე, ცოტნე ქებურია, ილია კერძევაძე, ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, ოთარ კაკაბაძე, თორნიკე მაჭავარიანი, სანდრო გურეშიძე, ივანე წილოსანი, ნიკოლოზ ახვლედიანი, გიორგი თევზაძე, გიორგი როსტიაშვილი, ალექსანდრე მზევაშვილი, დავით მაკარაძე, მერაბ ნიკურაძე, ირაკლი ციცხვაია, უჩა მირგათია.**

ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა რამდენიმე ახალ ფეხბურთელს უხმო. შეგახსენებთ, მარტში ჩვენმა 17-წლამდელებმა თურქეთში "კუშადასის თასზე" იასპარეზეს და მეორე ადგილი დაიკავეს. იმ ტურნირის შემდეგ გუნდის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა.

საქართველოს ნაკრები ყაზახეთში 23 აპრილს გაემგზავრება. "პრეზიდენტის თასზე" ჩვენი და მასპინძელთა 17-წლამდელების გარდა, უკრაინის, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანისა და უზბეკეთის ნაკრებები ითამაშებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

COPA AMERICA ARGENTINA 2011

მოგზაურობა არგენტინაში
კოპა ამერიკის მატჩებზე
1-24 ივლისი 2011 წ

მსურველებს ვიწვევთ კოპა ამერიკის არგენტინისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდების ჯგუფური ეტაპის, 1/4ფინალების ნახევარფინალებისა და ფინალის მატჩებზე დასასწრებად. ასევე, 17-19 წლის ფეხბურთელებს ნარვადგენთ 3-6 თვიან სტაჟირებაზე არგენტინაში და მომზადების შემდეგ ტესტირებაზე არგენტინულ კლუბებში.
საქართველოს საფეხბურთო კლუბებს ვთავაზობთ მაღალი კლასის არგენტინელ ფეხბურთელებსა და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს.
არგენტინულ კლუბებთან ამხანაგურ თამაშებს საქართველოში და არგენტინაში. მსურველთა მიღება. შეღავათი 7 აპრილიდან 15-20 აპრილამდე 15-დან 17 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა. მოგზაურთა კლუბში მისამართზე: ლეონიძის ქ№4 ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ
ტელ: 92-10-60; 92-11-66; 92-00-28 მობილური: 8 79 41-53-35

"არგენტინის სახლისა" და "ზეარგ სპორტის წარმომადგენლობა საქართველოში.

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი. ინფრასტრუქტურა

# ნაპოვნი სამოთხე

## იმერეთის ნიავო, აქეთაც დაუბერე




*"ჩვენ ვზრუნავთ ქართულ ფეხბურთზე"* – ეს ბანერი ზესტაფონის **დავით აბაშიძის** სახელობის სტადიონზე "ზესტაფონი"-"დინამოს" მატჩის წინ გამოჩნდა.

ეს რომ ცარიელი სიტყვები არ არის, ამაზე მხოლოდ ადგილობრივი გუნდის წარმატებები კი არა, საფეხბურთო ინფრასტრუქტურაც მოწმობს. ამ ქალაქს უკვე დიდი ხანია, კეთილმოწყობილი სტადიონი აქვს, საწვრთნელი ბაზის მშენებლობა კი ნელინადზე ოდნავ მეტია რაც დაიწყო და იქ ნანახი უკვე აღძრავს ინტერესს.

ალბათ გახსოვთ, ახლო წარსულში კლუბის ხელმძღვანელობა ქალაქის გარეუბანში ბაზის ასაშენებლად მიწის გადაცემას ითხოვდა. იურიდიულმა ფორმალობებმა საკმაოდ დიდი დრო წაიღო, თუმცა საბედნიეროდ, საკითხი დადებითად გადაწყდა და მშენებლობაც დაიწყო.

ბაზისთვის საბოლოო სახის მიცემამდე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და გუნდი იქ უკვე ვარჯიშობს. ზესტაფონის ბაზა დღესვე არის იმ ბევრ სტადიონზე უკეთესი სანახავი, სადაც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩები ტარდება.

ჯერჯერობით ბაზაზე მხოლოდ ერთი მოედანია დასრულებული, მაგრამ, სამაგიეროდ, გაზონი ისეთია, საქართველოს სხვა ქალაქებში სანთლით რომ არის საძებარი. ბუნებრივსაფრიანი მოედანი უნაკლოდ გამოიყურება და ზესტაფონის სტადიონის საფარზე უკეთეს მდგომარეობაშიც კია.

"ზესტაფონის" მთავარი გუნდი ყველა ვარჯიშს ბაზაზე ატარებს, რამაც სტადიონის ბალახი "ამოასუნთქა" - იქ მხოლოდ უმაღლესი ლიგის მატჩები იმართება, დუბლშემადგენლობებისა და ჭაბუკთა ლიგის შეხვედრები ზესტაფონში მდებარე ხელოვნურსაფრიან მოედანზე ტარდება.

მალე მეორე მოედანიც მზად იქნება. იქ უკვე ყველაფერი მოწყობილია გაზონის დასაგებად, წლის ბოლომდე კი "ზესტაფონის" განკარგულებაში სამი მოედანი იქნება, სამივე ბალახისსაფრიანი. სულ კი ხუთი მოედნის მოწყობაა გათვალისწინებული. ამ ხუთიდან ხელოვნურსაფრიანი მხოლოდ ერთი იქნება. დღეისთვის ბაზის ტერიტორია 5 ჰექტარია, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ ფართობს 3 ჰექტარი დაემატება.

ბაზაზე ახალი შენობა ჯერ არ აგებულა. საქმე ისაა, რომ იქვე ტექნიკუმის მიტოვებული ნაგებობაა და გამორიცხული არ არის, კლუბს მისი რეკონსტრუქციისა და გამოყენების უფლება მისცენ. თუ არა და, არც ახალი შენობის აშენება იქნება პრობლემა. ადგილზევე მოეწყობა სასტუმროც და ბავშვთა სკოლა-ინტერნატიც. ტერიტორიას ჩოგბურთის კორტებიც დაამშვენებს და თანამედროვე ბაზისთვის საჭირო ყველა ატრიბუტიც – ტრენაჟორების დარბაზი, სამედიცინო პუნქტი, კვების ბლოკი და ა. შ.

ფეხბურთელები ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ივარჯიშებენ. "ფეროს" გამონაბოლქვისგან ბაზას იქვე მდებარე ფერდობი იცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლეგიონერები

# ლონლაძის მაკრატელა და კორლალიძის ოქროს პენალტი

## დიდი ალიაქოთი ბაქოში: ცხადაძემ და კომპანიამ მსაჯს ვერ აჯობეს

რუსული პრემიერლიგის მეოთხე ტურის ორშაბათის მატჩში „ანჟი" „ტომს" ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. ამ თამაშის საუკეთესო ფეხბურთელი საქართველოს ნაკრების გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილი** გახლდათ, რომელმაც კარი მშრალად შეინახა. სხვათა შორის, ნუკრის გარჯა „ჩემპიონატმაც" სათანადოდ დააფასა, მას 6,5 ბალი დაუწერა, რაც საუკეთესო შეფასება იყო ორივე გუნდში. აღსანიშნავია, რომ რევიშვილმა ჩემპიონატის ოთხივე მატჩი ითამაშა შეუცვლელად და მხოლოდ 2 ბურთი გაუშვა. აი, **ირაკლი კლიმიაშვილის** დებიუტს „ანჟიში" ჯერაც ველით, ის არც „ანჟის" დუბლებში ჩანს, სადაც რეგულარულად თამაშობს **გიორგი ილურიძე**.

გუშინდელ ლეგიონის მიმოხილვაში შედარებით დაბალი კოეფიციენტის მქონე ჩემპიონატებში მოთამაშე ჩვენებურები ვერ მოხვდნენ, მხოლოდ მათი სია შემოგთავაზეთ, ვინც ამ ტურში გოლით გამოიჩინა თავი. უეფას კოეფიციენტთა პრინციპს არც ახლა დავარღვევთ და დარჩენილთა შორის ყველაზე რეიტინგული ტურნირით - მოლდოვის ჩემპიონატით დავიწყებთ. რიგით მე-20 პირველობის დასრულებამდე 7 ტური დარჩა, ჩემპიონობისთვის კი ორი გუნდი იბრძვის, „დაჩია" და „შერიფი".

ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ კიშინიოვის დერბი იყო, რომელშიც „დაჩიამ" „ზიმბრუს" „უმასპინძლა" (თამაში „ზიმბრუს" სტადიონზე გაიმართა და 1500 ქომაგი დაესწრო). შეხვედრის ბედი 64-ე წუთზე გადაწყდა, როცა **ლევან კორლალიძემ** უნაკლოდ შეასრულა პენალტი - 1:0. ეს 30 წლის ქართველის მე-12 გოლია ჩემპიონატში. გამარჯვებულთა რიგებში სათადარიგო იყო **მამუკა ლომიძე**, დაჩიელებში — **ვასილ ლუქაშვილი**. *„ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა და თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ გამარჯვების გოლის ავტორმა.

მოიგო „შერიფმაც", ასე რომ, „დაჩია" კვლავ სამი ქულით უსწრებს ჩემპიონს, რომელმაც შინ რიბნიცას „ისკრა-სტალი" დაამარცხა. მასპინძელთა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა, სტუმართა ნახევარმცველი **სანდრო შუღლაძე** კი 32-ე წუთზე გამოცვალეს.

**გიორგი ტუხაშვილის** „ნისტრუმ" შინ 1:0 მოუგო „აკადემიას", ქართველი 70-ე წუთზე შეცვალეს. ბოლოადგილოსანი „გაგაუზია" შინ 1:3 დამარცხდა „რაპიდთან", მასპინძელთა მცველმა **ვასილ ტულუშმა** შეუცვლელად ითამაშა.

ლატვიური ვირსლიგის მე-20 გათამაშება ორი ტურია, დაიწყო და 9-გუნდიან ჩემპიონატში **თამაზ პერტიას** „დაუგავა" ქულათა მაქსიმუმით ერთ-ერთი ლიდერია. „დაუგავამ" „ოლიმპსს" 2:0 მოუგო და ორივე გოლი **მამუკა ლონლაძემ** გაიტანა. ლონლაძემ თამაშის ბედი ბოლოსკენ გადაწყვიტა, ჯერ (87-ე წთ) „მაკრატელათი" გახსნა ანგარიში, ბოლო წუთზე კი, კონტრშეტევისას მეკარეც მოატყუა და ცარიელ კარში შეაგდო. გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **გიორგი ჩიხრაძემ**, ხოლო **ბიძინა ცინცაძე** და **ჯემალ ჯალიაშვილი** სათადარიგოები იყვნენ. სტუმართა სასტარტოში ოთხი ქართველი იყო: **გიორგი ჩხიკვიშვილი, თომა ტაბატაძე** (81-ე წუთზე შეცვალეს), **პაატა ბალაძე** და **კოტე ზარნაძე**.

სხვა ჩემპიონატებს, სადაც ჩვენებურები ასპარეზობენ, ჩვენს უმაღლეს ლიგაზე დაბალი კოეფიციენტები აქვს. საინტერესო მოვლენები დატრიალდა აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში, სადაც **კახა ცხადაძის** „ინტერმა" ყველანაირად დაჩაგრა ლიდერი „ნეფთჩი", მაგრამ მიკერძოებულ მსაჯობას ველარ გაუმკლავდა - 1:1. თავად განსაჯეთ - პირველ ტაიმში ნაქცეულ **კახა მჟავანაძეს** მეტოქემ ფეხი ამოარტყა და ყვითელი ბარათი მხოლოდ ქართველმა მიიღო. მეორეში იმავე მჟავანაძემ მუხლით მოიგერია ბურთი და მსაჯმა პენალტი დანიშნა, თან მჟავანაძე გააძევა. ასე გაათანაბრა „ნეფთჩიმ" ბოლო წუთებზე, „ინტერის" გოლში კი ასისტენტობა **დავით ოდიკაძემ** იკისრა. ამ თამაშში ჩემპიონთა კარში **გიორგი ლომაია** იდგა, 90 წუთი ითამაშა **ვალერი აბრამიძემაც**, ოდიკაძე მეორე ტაიმში შეცვალეს. „ინტერი" 42 ქულით მე-5 ადგილზეა. **ნუგზარ კვირტიას** აზალ-მა 1:0 მოუგო „ბაქის", ქართველმა შემტევმა ნახევარმცველმა 90 წუთი ითამაშა, მისი გუნდი კი 45 ქულით მე-4 ადგილზეა. „ყარაბახი" და „ხაზარი" კი უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს, ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი **გიორგი ადამია** რატომღაც სათადარიგო იყო და მოედანზე მხოლოდ 69-ე წუთზე გამოვიდა. „ყარაბახი" 49 ქულით მე-3 ადგილზეა. როგორც ჩანს, ამ ჩემპიონატში ქართველებს აზერბაიჯანის ჩემპიონი აღარ გვეყოლება. ქვედა 6-ეულში ქართველებს თავი არაფრით გამოუჩენიათ.


მამუკა ლონლაძე (მარჯვნივ)


კახა ცხადაძემ მსაჯს ვერაფერი შეასმინა

ესტონურ მეისტრილიგაში ტალინის „ფლორამ" 6:0 გაანადგურა ლასნამაეს „აიაქსი". სწორედ ამ მატჩით დაუბრუნდა მანამდე დასჯილი **ზაქარია ბეგლარიშვილი** „ფლორას" ძირითად გუნდს მეორე გოლი 50-ე წუთზე გაიტანა. სომხეთის პირველობაზე მე-4 ტურში თავი „კოლხეთის" ყოფილმა ფეხბურთელმა **გიორგი კრასოვსკიმ** გამოიჩინა. გიორგიმ 29-ე და 36-ე წუთებზე გაიტანა და „ულისს" სტუმრად მოაგებინა „შირაკზე" - 3:1. გიორგის 4 თამაშში უკვე 3 გოლი დაუგროვდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# როგორია: ნიჟნი ნოვგოროდის თბილისის დინამო პრემიერლიგის ლიდერია?!

ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მიერ სტუმრად "როსტოვის" ძლევა (3:1) "სოვეტსკი სპორტის" ერთ-ერთმა მკითხველმა (აშკარად ნიჟნინოვგოროდელი იყო ან გუნდის გულშემატკივარი) ასე შეაფასა – *"აბა, როგორ მოგწონთ ჩვენი თბილისის "დინამო"? ყოჩაღ, წინ ნიჟნი!"*

ერთ-ერთმა უზბეკურმა ინტერნეტგაზეთმა რუსეთის პრემიერლიგის მეოთხე ტური ასე შეაფასა – "რუსეთში ქართველების გუნდი გალიდერდა".

ხოჯავას გოლმა კი რუსები ალაფრთოვანა – გოჩამ პირველი ტაიმის ბოლოს საჯარიმოსთან ახლოს მიიღო ბურთი და შორეულ "ცხრიანში" ისეთი სიზუსტით გაისროლა, ტაში მასპინძელმა გულშემატკივრებმაც არ დაინანეს.

*"სუპერ გოლი"*, *"ეს ბიჭი დარასელიაა"*, *"ასეთ გოლს იშვიათად ნახავ"*, *"ომარ თეთრაძის გუნდმა ხოჯავას ფანტასტიკური გოლით მოიგო"* – რუსი გულშემატკივრების ამ შეფასებებს ხოჯავას გაძევებაც ვერ აფერმკრთალებს.

4 ტურის შემდეგ სამი მოგებით, ერთი ნაგებითა და 9 ქულით "ვოლგა" პრემიერლიგის ლიდერია, რაც რუსეთის ჩემპიონატების ისტორიაში მესამე შედეგია: აქამდე უკეთესი სტარტი შორეულ 1992 წელს მოსკოვის "სპარტაკსა" და "დინამოს" ჰქონდათ – სამი მოგება და ფრე.

გოჩა ხოჯავა წლევანდელ ჩემპიონატში პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც გაიტანა და გააძევეს. 26 წლის ქართველი პლეიმეიკერი 2 გოლით ბომბარდირებში მე-2-7 ადგილებს იყოფს, საუკეთესოებშია გოლი+პასის ნომინაციაშიც: 2 გოლი + 1 საგოლე გადაცემა. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ბოლო ორ შეხვედრაში "სპორტ-ექსპრესისგან" საკმაოდ მაღალ შეფასებას (6,5) იმსახურებს. "როსტოვთან" გარჯა არც სხვა ქართველებს დაუკარგეს და 6,0 ქულა დაუწერეს – **ლაშა სალუქვაძეს, გია გრიგალავას** და **ოთარ მარცვალაძეს**. უკრაინულმა ინტერნეტ გამოცემა „ფუტბოლ.უამ" ხოჯავა ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა, მისი გოლი კი საუკეთესოდ მიიჩნია.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# ბიზნესმა იქით შეავიწროვა

შაბათ-კვირას ფუტსალში საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. მერვედფინალში რამდენიმე თამაში მოულოდნელი შედეგით დასრულდა და მეოთხედფინალში სუპერლიგის მხოლოდ 3 გუნდი გავიდა, 5 გუნდი კი სამოყვარულო (ბიზნესის) ლიგას წარმოადგენდა.

ახლაც, მეოთხედფინალში სუპერლიგის მხოლოდ ერთმა გუნდმა გაიმარჯვა. ქვეყნის 8-გზის ჩემპიონმა და ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა "იბერია სტარმა" დაცვის პოლიციის სამოყვარულო გუნდი 13:1 დაამარცხა. თუმცა აქ ისიც ვთქვათ, რომ პირველი ტაიმის ბოლო წუთებამდე ანგარიში 1:1 იყო.

სუპერლიგის კიდევ ერთი გუნდი, ქუთაისის "ჯუნგლები" თბილისში ბიზნესლიგელ "ტექნიკურ უნივერსიტეტთან" დამარცხდა – 5:8.

გამორჩეულად საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა საქართველოს ვიცეჩემპიონ "ალგოს" და ბიზნესის ლიგის პირველადგილოსან "სოკარის" მატჩი. "სოკარი" მეტწილად საქართველოს ნაკრების ვეტერანი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, "სოკარი" **დავით დარჩიას** გოლით იგებდა კიდეც, მაგრამ "ალგომ" მატჩის დასრულებამდე 7 წამით ადრე 10-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

მეოთხე მატჩში "გიგაბაიტმა" "საქართველოს უნივერსიტეტს" 9:4 მოუგო.

საპასუხო მატჩები ამ შაბათ-კვირას ჩატარდება და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ბიზნესის ლიგის ორ გუნდს თასის ნახევარფინალში გასვლა პრაქტიკულად განაღდებული აქვს.

ხვალ კი სკა-ს სპორტკომპლექსში ჩემპიონატის მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება - თსუ "იბერიას" უმასპინძლებს.

გათამაშების ცხრილი ამ დროისთვის ასე გამოიყურება:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 16 | 16 | 0 | 0 | 146:27 | 48 |
| ალგო | 16 | 13 | 0 | 3 | 97:29 | 39 |
| თსუ | 15 | 10 | 0 | 5 | 71:39 | 30 |
| ჯუნგლები | 18 | 6 | 0 | 12 | 85:126 | 18 |
| ბათუმი | 18 | 5 | 0 | 13 | 66:151 | 15 |
| თელავი | 17 | 0 | 0 | 17 | 14:107 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

# დაეჯერებინათ იაშვილისთვის: გოლი იყო

მეორე ბუნდესლიგის 29-ე ტურში, "აუე"-"კარლსრუეს" მატჩში **ალექსანდრე იაშვილმა** საგოლე პასი გააკეთა, თამაში კი 1:1 დასრულდა. არადა, 47-ე წუთზე იაშვილის თანაგუნდელ **მაკოლეი კრისანტუსს** ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს – ბურთმა კარის ხაზი აშკარად გადაკვეთა, რაც მსაჯებმა ვერ შენიშნეს.

მომხდართან დაკავშირებით "კარლსრუეს" ქართველმა კაპიტანმა "კიკერთან" მცირე კომენტარი გააკეთა: *"მაშინვე მივირბინე შეხვედრის არბიტრ ბასტიან დანკერტთან და ვუთხარი, რომ გოლი იყო, მაგრამ არც მან და არც ლაინსმენმა ჩემი პოზიცია არ გაიზიარეს"*, - თქვა იაშვილმა.

იმავე "კიკერმა" გასულ ტურში მისი თამაში 3,5 ბალით შეაფასა. "აუესთან" მატჩში იაშვილმა სეზონში მეათე გაფრთხილება მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შემდეგ ტურში "აუგსბურგთან" საშინაო მატჩს გამოტოვებს.

თუკი **ლევან კობიაშვილის** "ჰერტას" პირველ ბუნდესლიგამდე ბევრი აღარაფერი აშორებს, "კარლსრუე" 18-გუნდიან მეორე ბუნდესლიგაში დღეისთვის მე-15 ადგილზეა და ორიოდე ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ "ოსნაბრიუკს". მე-16-ადგილოსანი გადათამაშებაში მესამე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანს შეხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# საჩემპიონო განაცხადი

ერთი შეხედვით, მართლაც უცნაურია: გასული ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში არც ერთი გადაადგილება არ მომხდარა, მაგრამ ჩემპიონატი კიდევ უფრო დაიძაბა! ჰოდა, ინტრიგამაც მოიმატა და ფინიშამდე 7 ტურით ადრე გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. თუმცა, ჯერ სადა ვართ: წინ კიდევ ორი ისეთი ტური გველოდება, ინტრიგისა თუ „დაძაბულობის ხარისხის“ მომატება მერე ნახეთ...



ილია კოკაია (მარცხნივ) და ზვიად სიჭინავა ზესტაფონი-დინამოს მატჩზე

## რევანში, სიხარული და შერიგება

2009 წლის 29 აგვისტოს „ზესტაფონმა“ პირველად შეძლო თბილისის „დინამოს“ დიდი ანგარიშით დამარცხება (4:1). არადა, მანამდე იმერულ კლუბს ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდისთვის ორბურთიანი სხვაობითაც არ მოეგო, მაგრამ აი, იმ შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ „ზესტაფონი“ ვერაფერს უხერხებდა თავის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მეტოქეს. თავად განსაჯეთ: 2009 წლის 29 აგვისტოს შემდეგ ჩატარებულ ექვს შეხვედრაში „დინამომ“ ხუთჯერ მოიგო, ერთი მატჩი კი ფრედ დამთავრდა. და აი, ნანატრი რევანშის დღეც დადგა: ტურის კი არა, სეზონის დასკვნითი წრის ცენტრალურ მატჩში „ზესტაფონმა“ სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან და საჩემპიონო ტრიუმფისკენ უდიდესი ნაბიჯიც გადადგა. XXX ტურის ცენტრალური შეხვედრა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გადაიცემოდა და ამ მატჩის დეტალურ მიმოხილვას დაწვრილებით აღარ შევუდგებით; უბრალოდ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ კვირა საღამოს ზესტაფონის სტადიონზე მართლაც ჩინებული საფეხბურთო ატმოსფერო სუფევდა: შესანიშნავი მოედნის საფარი, საქართველოს ჩემპიონატის ორი გამორჩეული გუნდის პაექრობა, მეტოქე მწვრთნელთა ტაქტიკური „დუელი“ და უამრავი საპატიო სტუმარიც! განსაკუთრებით თვალშისაცემი კი ორი რამ იყო: ასეთი მნიშვნელობის მატჩზე ტრიბუნები ბოლომდე რომ არ შეივსო, რა თქმა უნდა, დადებით ემოციებს ვერ აღძრავდა, სამაგიეროდ ყველას კარგად ენიშნებოდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ზვიად სიჭინავასა** და „ზესტაფონის“ პრეზიდენტის **ილია კოკაიას** გვერდიგვერდ ჯდომა...

## მწვრთნელის რისკი

ტურის ცენტრალურ დაპირისპირებას თვალი ვინც მიადევნა, ყველა დაგვეთანხმება, რომ მასპინძლების გამარჯვება კანონზომიერი იყო. ალბათ, ისიც ლოგიკური იყო, „ზესტაფონმა“ გამარჯვების (იქნებ, ჩემპიონობისაც?) მომტანი ერთადერთი გოლი მატჩის ბოლო წუთზე რომ გაიტანა — **გია გეგუჩაძის** გუნდმა შეხვედრის მიწურულს ძლიერ და პრინციპულ მეტოქეს შტურმი მოუწყო და ასეთი აგრესიული და შეტევაზე ორიენტირებული თამაში დაუფასდა კიდეც. შეგახსენებთ, რომ ვიდრე იმ ერთადერთ გოლს ვიხილავდით, მეტოქის კარის ძელს გაარტყა ბურთი **თორნიკე გორგიაშვილმა** (ამ 21 წლის ნახევარმცველმა მთელი შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა), მერე შეცვლაზე შემოსულ **გიორგი ჭანკოტაძესაც** შეეძლო თავის გამოჩენა. თუმცა, ეს უკანასკნელი მატჩის ბოლოს მაინც საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოხვდა: ასევე შეცვლაზე შემოსული **საბა ლომიას** ზუსტი პასის მერე **ჭანკოტაძემ** ძლიერი დარტყმით საქართველოს ნაკრების მეკარეს **გიორგი ლორიას** შანსი არ დაუტოვა!

...მატჩის დამთავრებამდე 25 წუთი რჩებოდა, „ზესტაფონის“ მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ **რატი წინამძღვრიშვილის** ნაცვლად მოედანზე 20 წლის **საბა ლომია** რომ შემოიყვანა; ათიოდე წუთში კი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი **ჯაბა დვალიც** (პირველ ტაიმში ზღაპრული პასით წინამძღვრიშვილი მეტოქის მეკარესთან პირისპირ რომ დატოვა) შეცვალა და 19 წლის **გიორგი ჭანკოტაძე** გამოიყვანა. ჰოდა, ასეთმა სარისკო ნაბიჯმა, ბევრი გააკვირვა (უპირველეს ყოვლისა, ალბათ, მეტოქეც), მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ შეცვლებმა შეიტანა გარდატეხა უპრინციპულეს მატჩში, სამი ან ექვსი კი არა, საჩემპიონო „ფასი“ რომ ჰქონდა...

## ფუფუნება თუ როტაცია?

ტურის ცენტრალურ მატჩში „დინამოს“ ტრავმირებული ცენტრფორვარდი **პეტარ ელიჩი** აკლდა, თუმცა ეს რა მოსატანია მასპინძელთა დანაკლისთან; თავად განსაჯეთ: პრინციპული და უხერხული მეტოქის წინააღმდეგ სხვადასხვა მიზეზით „ზესტაფონს“ ხომ **ნიკოლოზ გელაშვილი, ბუბა დაუშვილი, გიორგი ხიდეშელი, ზურაბ მამალაძე, გოგა ფიფია** აკლდა, კვლავაც არ დაადგა საშველი **ზურაბ მენთეშაშვილის** ტრანსფერს, „დინამოსთან“ მატჩში სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ **თორნიკე აფციაური, ალექსი ბენაშვილი, გიორგი ფოფხაძე და გორან გრუიცა!** როგორც ხედავთ, სოლიდურზე-სოლიდური დანაკლისია - ბოლოს და ბოლოს, ელემენტარული არითმეტიკა რომ მოვიშველიოთ, ათი ისეთი ფეხბურთელი არ ყოფილა, ძირითადში მოხვედრის პრეტენზია მუდამ რომ უნდა ჰქონდეს. არადა, ისიც ვაღიაროთ, რომ კვალიფიციური ფეხბურთელების ასეთი სიმრავლით ჩვენთან სხვა ვერც ერთი გუნდი ვერ დაიკვეხნის; საერთოდაც, ყოველივე ეს „ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელს **გია გეგუჩაძეს** ეფექტიანი როტაციის საშუალებას რომ აძლევს, ამას სატურნირო ცხრილიც ადასტურებს; თუმცა, მეორე მხრივ, მსგავს ფაქტორს მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი შეფასება შეიძლება მოვუძებნოთ — ფუფუნება!..



გოლი დინამოს კარში

ფოტო: www.fczestafoni.ge

## სამართლიანი ტორპედო

ტურის წინათქმაში „ზესტაფონის“ ფრეების სინდრომზე ვსაუბრობდით; თუმცა, საყაიმო ანგარიშებისკენ მიდრეკილების მხრივ „რეკორდსმენი“ ქუთაისის „ტორპედოა“ - **გია გიგატაძის** გუნდს სეზონში 11 ფრე აქვს ნათამაშები. საერთოდაც, XXII ჩემპიონატში „ტორპედოს“ ასპარეზობა აშკარად არაერთგვაროვნად უნდა შეფასდეს; რა თქმა უნდა, სეზონის შეჯამებამდე ჯერ ადრეა, მაგრამ ეს უდიდესი ტრადიციის მქონე გუნდი სატურნირო ცხრილში ბევრად უკეთეს ადგილს რომ იმსახურებს, ვფიქრობ, ამაში ბევრი არ შეგვეკამათება. რაც მთავარია, „ტორპედო“ არ ღალატობს ფეხბურთში ერთ-ერთ უმთავრეს კანონს — „სამართლიანი თამაშის პრინციპებს“! ერთი შეხედვით, ქუთათურებს ჩემპიონატში საფიქრალი არაფერი უნდა ჰქონდეთ: საპრიზო სამეულსაც გვარიანად ჩამორჩებიან და რეალურად თუ ვიმსჯელებთ, გავარდნის საფრთხეც არ ემუქრებათ. თუმცა, ამის მიუხედავად, „ფეირ-პლეის“ პრინციპებს ბოლომდე იცავენ და ყველა ის შეხვედრა, მეტოქეთათვის უდიდესი სატურნირო მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ღირსეულად ჩაატარეს! მაგალითები გნებავთ? გადამწყვეტ, მეორე ეტაპზე სტუმრად „სამტრედიას“ აჯობეს, მერე კი შინ „სიონს“ მოუგეს; ამის მერე სტუმრად ფაქტობრივად, წაგებული მატჩი გადაარჩინეს, როცა „სპარტაკთან“ 0:2-ის მერე შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. „ტორპედოს“ ამ მეტოქეებს უმაღლეს ლიგაში დარჩენაზე ფიქრი უწევთ, აი, იმათ შემდეგ კი ქუთათურებს სამი ურთულესი მატჩი ჰქონდათ ჩემპიონობის კანდიდატებთან და არც ერთში შეირცხვინეს თავი: „დინამოსთან“ და „ზესტაფონთან“ ფრედ დაამთავრეს შეხვედრები, ხოლო „ოლიმპთან“ გაიმარჯვეს!




ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამორჩეული ფაქტები

გამორჩეულ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ზემოთ ნახსენები გიორგი ჭანკოტაძის გამარჯვების მომტანი გოლი - „ზესტაფონის“ 19 წლის შემტევმა ხომ უმაღლეს ლიგაში პირველად გამოიჩინა თავი. ასეთივე წარმატებას მიაღწია „კოლხეთის“ ახალწვეულმა, 21 წლის **გიორგი გავაშელიშვილმა**, რომელმაც უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლით ფოთელებს ნანატრი გამარჯვება მოუტანა. ამ ტურში სხვა ახალგაზრდებიც გამოირჩნენ: „ბაიას“ 19 წლის მცველმა **ნიკა აფაქიძემ** ჩემპიონატში მეორე გოლი გაიტანა, ისე როგორც „ოლიმპის“ ახალწვეულმა, 22 წლის ნახევარმცველმა **ირაკლი მაისურაძემ.** თუმცა, მათზე უფროსებსაც ნუ დავუკარგავთ გარჯას: 27 წლის **ლაშა ქებაძემ** და 32 წლის **მერაბ მეგრელაძემ** თავიანთი ზუსტი დარტყმებით „ტორპედოს“ გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანეს. სხვათა შორის, ქებაძემ ამ სეზონში უკვე მესამედ შეძლო „ოლიმპის“ დამწუხრება: პირველ ეტაპზე როგორც „სამტრედიის“ ფეხბურთელმაც გაიტანა გოლი ჩემპიონის კარში, მეორე ეტაპზე კი „ტორპედოს“ მაისურით ჯერ რუსთავში იყოჩაღა, ახლა კი - ქუთაისში. მეგრელაძეზე კი ახალი რა უნდა ვთქვათ: ვეტერანმა ფორვარდმა პირველ ეტაპზე „ბაიას“ მაისურით 6 გოლი გაიტანა (გუნდში საუკეთესო მაჩვენებელია), ახლა კი უკვე „ტორპედოს“ საუკეთესო ბომბარდირია ასევე 6 გოლით. ცნობისათვის: ქებაძეც და მეგრელაძეც სხვადასხვა დროს „ოლიმპის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ, ისე როგორც რუსთაველებთან მატჩში ქუთაისური გუნდის განაცხადში მყოფი კიდევ... 8 ფეხბურთელი: **დაჩი ფოფხაძე, სევასტი თოდუა, თენგიზ ჩიკვილაძე, გიორგი სეთურიძე, ვახტანგ კვარაცხელია, გრიგოლ დოლიძე, რევაზ გოცირიძე, ნოდარ მაჭავარიანი...**

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

## მეორე ლიგა

### დასავლეთის A ზონა

XVII ტური

| | |
|---|---|
| ჩიხურა-2-მარგვეთი | 3:0 |
| დინამო-2-მართვე | 3:0 |
| სულორი-ბეთლემი | 3:0 |
| ქუთაისი-გურია-2 | 2:5 |
| ფაზისი-საირმე | 0:1 |
| მერცხალი-2-ბახმარო | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა-2 | 15 | 12 | 3 | 0 | 56-11 | 39 |
| 2. სულორი | 16 | 11 | 1 | 4 | 31-19 | 34 |
| 3. დინამო-2 | 16 | 8 | 6 | 2 | 32-17 | 30 |
| 4. ბეთლემი | 16 | 9 | 2 | 5 | 33-21 | 29 |
| 5. მარგვეთი | 16 | 8 | 2 | 6 | 34-27 | 26 |
| 6. გურია-2 | 16 | 7 | 3 | 6 | 29-33 | 24 |
| 7. ბახმარო | 15 | 6 | 4 | 5 | 22-29 | 22 |
| 8. მერანი-2 | 15 | 5 | 4 | 6 | 17-16 | 19 |
| 8. ქუთაისი | 16 | 5 | 2 | 9 | 24-39 | 17 |
| 10. ფაზისი | 16 | 5 | 1 | 10 | 25-35 | 16 |
| 11. საირმე | 15 | 3 | 4 | 8 | 11-22 | 13 |
| 12. მართვე | 16 | 2 | 3 | 11 | 15-36 | 9 |
| 13. მერცხალი-2 | 16 | 1 | 5 | 10 | 21-45 | 8 |

### დასავლეთი. B ზონა

| | |
|---|---|
| მგლები-2-კოლხეთი | 0:2 |
| სქური-2-აისბერგი | 3:1 |
| სამეგრელო-ეგრისი | 0:0 |
| ბერმუხა-ზუგდიდი | 0:3 |
| კოლხეთი-2-სამეგრელო | 3:0 |
| ბერმუხა-მგლები-2 | 3:0 |
| ზუგდიდი-აისბერგი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეგრისი | 15 | 11 | 2 | 2 | 38-13 | 35 |
| 2. კოლხეთი-2 | 16 | 9 | 3 | 4 | 37-22 | 30 |
| 3. მგლები-2 | 16 | 9 | 2 | 5 | 39-18 | 29 |
| 4. სქური-2 | 15 | 7 | 5 | 3 | 31-15 | 26 |
| 5. ზუგდიდი | 15 | 6 | 3 | 6 | 28-27 | 21 |
| 6. სამეგრელო | 16 | 5 | 5 | 6 | 23-31 | 20 |
| 7. აისბერგი | 15 | 2 | 2 | 11 | 20-53 | 8 |
| 8. ბერმუხა | 14 | 1 | 0 | 13 | 9-47 | 3 |

### აღმოსავლეთი ზონა

გადადებული მატჩები

| | |
|---|---|
| ივერია-დუშეთი | 3:0 |
| აბული-სასკო | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ივერია | 20 | 12 | 2 | 6 | 37-18 | 38 |
| 2. ავაზა | 19 | 12 | 1 | 6 | 52-27 | 37 |
| 3. გაგრა-2 | 19 | 11 | 3 | 5 | 37-11 | 36 |
| 4. სასკო | 19 | 10 | 6 | 3 | 51-30 | 36 |
| 5. სტუ-თიანეთი | 19 | 11 | 2 | 6 | 44-26 | 35 |
| 6. ზოოვეტი | 18 | 9 | 6 | 3 | 36-20 | 33 |
| 7. გოლიადორი | 20 | 9 | 4 | 7 | 36-27 | 31 |
| 8. იმედი | 20 | 8 | 5 | 7 | 50-37 | 29 |
| 9. ალგეთი | 19 | 8 | 3 | 8 | 30-26 | 27 |
| 10. დუშეთი | 20 | 6 | 9 | 5 | 36-28 | 27 |
| 11. აბული | 18 | 8 | 1 | 9 | 20-27 | 25 |
| 12. მერანი | 19 | 7 | 2 | 10 | 28-29 | 23 |
| 13. 35-ე სკოლა | 20 | 3 | 6 | 11 | 23-40 | 15 |
| 14. სამცხე | 19 | 3 | 0 | 16 | 11-91 | 9 |
| 15. ერთობა | 19 | 2 | 0 | 17 | 10-64 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსკლუზივი

წერილი მეცხრე

# მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე



**დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში**

მოსკოვში კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდა. მოუთმენლად ველოდი ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემა „ვრემიას“ სპორტულ ნაწილს. მახსოვს, ევგენი მაიოროვი მუშაობდა იმ ორ დღეს სპორტზე, ველოდებოდი სენსაციურ განცხადებას, მაგრამ არაფერი მსგავსი არ მომხდარა. ჩვენი ტელევიზიის სპორტული რედაქცია რადიოსაც ემსახურებოდა და ჟურნალისტები რიგრიგობით ვამზადებდით ყოველკვირეულ გადაცემას „ფიზკულტურა და სპორტი“. იმ კვირას მე მიწევდა გადაცემის მომზადება. ბატონ გურამ ქავთარაძეს დავურეკე, მოსკოვის კონფერენციის შესახებ ვისაუბროთ- მეთქი რადიოგადაცემაში. აი, მისი მონათხრობიც: „კონფერენციის პირველ დღეს დავით ყიფიანი მოსკოვში არ იყო, მინსკიდან უნდა ჩამოსულიყო და დაიგვიანა. მეორე დღეს, როდესაც დათო მოვიდა, დავიწყეთ მსჯელობა, უმრავლესობამ თქვა, ტექსტი არ წავიკითხოთო. მე ვუთხარი, როგორ, ხალხს სიტყვა მივეცით, როგორ შეიძლება არ წაკითხვა-მეთქი, მაგრამ ყველამ იუარა. მაშინ ვთქვი, სიტყვას თუ არ მომცემენ, რომ წავიკითხო, წერილს ოფიციალურად მაინც ჩავაბარებ პრეზიდიუმში-მეთქი. მართლაც, მივიტანე და ჩავაბარე“.

მოვიდა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის დღეც და ჩემმა ძმამ გურამმა მითხრა, ხომ გვჯეროდა, წაიკითხავენო, ამბობდი, როგორ შეიძლება, არ ვენდოთო, წაიკითხეს? რატომ არ წაყევი მოსკოვში, ცოტა ვაჟკაცურად მოიქცეოდნენო. მოკლედ, გურამი ძალიან გაბრაზებული იყო. დელეგაციის წევრების განმარტება სხდომაზე ასეთი იყო: კონფერენციამდე რამდენიმე რესპუბლიკის დელეგაციას გავაცანით, მათ შორის, ლიტველებსაც და არავინ მხარი არ დაგვიჭირა, ჩვენც აღარ წავიკითხეთო. უსმინა გურამმა მათ განმარტებას, წამოდგა და თქვა, თქვენ ხართ მოღალატეები, მე არავითარი სურვილი არ მაქვს, მოღალატეებთან ერთად ვიმუშავო და დემონსტრაციულად ვტოვებ საორგანიზაციო კომიტეტსო. ზუსტად ასევე მოიქცა ავთანდილ იმნაძე და ორივემ დატოვა დარბაზი. სერიოზული ძალა დავკარგეთ „ეროვნულმა ფრთამ“, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა. უფრო მეტი შეუპოვრობით გავაგრძელეთ მუშაობა...

24 იანვარს საავადმყოფოში ვესტუმრე ბატონ თენგიზ გაჩეჩილაძეს, საოპერაციოდ ემზადებოდა, მაგრამ მაინც გამონახა დრო და განვიხილეთ ინტერვიუ, რომელიც მე ავილე დავით კვინიკაძისგან. ინტერვიუს სათაური იყო „მომავლის დაჩქარება ფეხბურთშიც შეიძლება“. მასში გაანალიზებული იყო ყველა ის ფაქტი თუ მოვლენა, რომელიც იმ დროს ქართულ ფეხბურთში ხდებოდა. კერძოდ, ლაპარაკი იყო ყრილობის სამზადისზე, მოსკოვში ჩვენი დელეგაციის პოზიციაზე და, რაც მთავარია, ფიფადან მოსული პასუხი იყო განხილული. ამ წერილიდან, რომელიც 1990 წლის 27 იანვარს „ლელოში“ დაიბეჭდა, რამდენიმე კითხვა-პასუხს გთავაზობთ.

— **პირველ ყოვლისა, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს, თუ რა პრინციპული სხვაობა იქნება არსებულ ფეხბურთის ფედერაციასა და იმ ფედერაციას შორის, რომელიც ყრილობამ უნდა დააფუძნოს?**

— ამჟამინდელი ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე, ამით განისაზღვრება მისი მუშაობის ხარისხიც.

— **ფეხბურთის ფედერაციაზე რაც თქვით, გასაგებია, მაგრამ ვიცით, რომ არსებობს ფეხბურთის სამმართველო, რომელსაც უფრო მეტი პასუხისმგებლობაც აკისრია და შესაძლებლობებიც მეტი აქვს. სამმართველო ხომ სახელმწიფო ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი რგოლია.**

— რასაკვირველია, სამმართველო ჩვენს ფეხბურთში არსებულ ვითარებაზე ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას, ბევრი პრობლემური საკითხის გადაჭრაში უხერხემლობას ავლენდა, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ფეხბურთის სამმართველოს ფუნქციებში ერეოდა ეგრეთ წოდებული ოფიციოზი, რომელსაც, როგორც წესი, ყველაფრის ცოდნის პრეტენზია აქვს, ხშირ შემთხვევაში კი ამბიციურობისა და არაკომპეტენტურობის გამო ხელსაც უშლის ფეხბურთის ნორმალურ განვითარებას. მხედველობაში მაქვს ჩარევა დაწყებული ფეხბურთელთა გუნდების მწვრთნელთა დანიშვნაგანთავისუფლებით, დამთავრებული საქართველოს პირველობის დებულებების პუნქტებში ცვლილებების შეტანით.

— **ძირითადად მაინც რა განასხვავებს ახლადშექმნილ ფედერაციას ძველისგან?**

— ახალმა ფედერაციამ უნდა გააერთიანოს ფეხბურთის სამმართველოსა და ფედერაციის ფუნქციები. ეს კი მოსპობს ხელოვნურად შექმნილ ორხელისუფლებიანობას, უნდა აღიკვეთოს ამ მიზეზითაც რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში არსებული გაუგებრობები. ახალი ფეხბურთის ფედერაციის წესდების პროექტი ითვალისწინებს, რომ ფედერაცია იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე, იქნება თვითდაფინანსებაზე მყოფი დამოუკიდებელი სახელმწიფო - საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც უფლებამოსილი იქნება, საქმიანი ურთიერთკავშირი დაამყაროს საზღვარგარეთის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებთან, ცალკეულ კლუბებთან და ფირმებთან და როგორც დამოუკიდებელმა ფეხბურთის ფედერაციამ უშუალო ურთიერთობა უნდა იქონიოს ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციებთან (ფიფა, უეფა). ფედერაცია დიდ ყურადღებას დაუთმობს ფეხბურთელებსა და ფეხბურთში მომუშავეთა ინტერესების დაცვას. სწორედ ამ ორი საკითხის გადაჭრის მიზნით, წესდების პროექტში გათვალისწინებულია, ფედერაციაში იმუშაოს უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტმა და ფეხბურთელებისა და ფეხბურთის მუშაკთა ინტერესების დაცვის კომიტეტმა.

— **ახსენეთ საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციები, სადაც უნდა გაწევრიანდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მაგრამ ვიცით, რომ ფიფამ გაზეთ „ლელოს“ რედაქტორის შეკითხვაზე გარკვევით განგვიცხადა, თქვენს რესპუბლიკას არა აქვს უფლება, ფიფას წევრი გახდესო. ეს პასუხი გამოქვეყნდა „ლელოს“ 7 იანვრის ნომერში.**

— მიუხედავად იმისა, რომ ფიფამ მართლაც გარკვევით მოგვწერა, საქართველოს არა აქვს უფლება, გახდეს ფიფას წევრიო და ფიფას წესდების I მუხლის I პარაგრაფზე მიგვითითა, სადაც წერია, რომ „ფიფა აერთიანებს ეროვნულ-საფეხბურთო ასოციაციებს, რომლებიც შედიან ფიფას რიგებში, როგორც ერთადერთი ფეხბურთის მაკონტროლებელი ორგანოები თავიანთ ქვეყნებში. თითოეული ქვეყანა ფიფას შემადგენლობაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ასოციაციით. დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო ფიფაში შედის ოთხი ეროვნული ასოციაციით: ინგლისი, ირლანდია, შოტლანდია და უელსი“, მაგრამ, ისევე, როგორც „ლელოს“ ზემოხსენებულ ნომერში, გვინდა დავეყრდნოთ სწორედ ფიფას წესდების ამავე მუხლის მესამე პარაგრაფს, სადაც გარკვევითაა ჩაწერილი, რომ „ასოციაციებს, რომლებიც ჩამოყალიბდებიან დომინიონ და კოლონიურ ქვეყნებში, შეუძლიათ მათზე გაბატონებული ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის თანხმობით დაექვემდებარონ მათ, ან შეუძლიათ უშუალოდ გაერთიანდნენ ფიფაში.

იგივე პრინციპებით შეუძლიათ იმოქმედონ იმ ქვეყნებმა, რომლებიც იმყოფებიან პროტექტორატის ქვეშ“.

აქედან დასკვნა, გამოდის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მაშინ გახდება ფიფას წევრი, როდესაც საქართველო მიაღწევს თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენას ან როგორც ანექსირებული სახელმწიფო, ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შევა ფიფაში, თუ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციისგან სრულიად დამოუკიდებლად შექმნის საკუთარ ფეხბურთის ფედერაციას და თან ფიფაში წარადგენს საქართველოს ანექსიის დამადასტურებელ საბუთს.

**ზურაბ პეტრიაშვილი**

*გაგრძელება სამშაბათობით*

სპორტი და ქველმოქმედება

# ბურდული არშავინის გუნდში

ამბავი არახალია, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც დაგაინტერესებთ: მარტში იუველირ **მარვან შატილას** და ლონდონის “არსენალისა” და რუსეთის ნაკრების წევრ **ანდრეი არშავინის** ინიციატივით ლონდონში საქველმოქმედო აქცია გაიმართა, შემოსავალი რუსეთის ობოლ და გაჭირვებულ ოჯახების შვილებს მოხმარდათ.

სანქტ-პეტერბურგთან ახლოს, პუშკინოში არის “ბავშვთა სოფელი - SOS როსია”, სადაც 3-დან 20 წლამდე 65 ბავშვი ცხოვრობს, არშავინმა კი 2005 წელს ფიფასგან სოფლის საპატიო ელჩის წოდება მიიღო.

საინტერესო ის გახლავთ, რომ საპატიო სტუმართა შორის იყვნენ არშავინის მეგობარი ცნობილი სპორტსმენები, ჟურნალისტები, მხატვრები, ტელეწამყვანები, მუსიკოსები და, აღმოვაჩინეთ, რომ აქციაში ქართველი როკ-მუსიკოსი **ლადო ბურდულიც** მონაწილეობდა.

აუქციონზე სპორტული ღონისძიებების, მატჩებისა და კონცერტების ბილეთები, ნახატები გაიტანეს. “ბავშვთა სოფელი - SOS როსიას” ფონდში სწორედ მათი გაყიდვით მიღებული შემოსავლები ჩაირიცხა.

**მერაბ მამულაშვილი**

უეფა. სემინარი

# რეკომენდებულია უეფასგან

## ფეხბურთი სოციალური მოვლენაა და სოციალური ქსელი სჭირდება



თათია ბურდული

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში დასრულდა უეფას მიერ ორგანიზებული სემინარი, რომელიც საფეხბურთო მარკეტინგის საკითხებს მიეძღვნა და საგანმანათლებო და სარეკომენდაციო მისია ჰქონდა. თემატიკა სოციალური მედიის ათვისებას შეეხებოდა.

სემინარის მონაწილეთა წინაშე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პიარ-მენეჯერი **თათია ბურდული** წარდგა.

*"ასტანაში სამი თემა განიხილებოდა: სპონსორებთან მუშაობა, ფანებთან ურთიერთობა და სოციალური მედიის ათვისება.*

*მე ფანებისა და სოციალური მედიის, ანუ სოციალურ ქსელების ფეხბურთის ინტერესებისთვის გამოყენებაზე ვისაუბრე.*

*უეფა სოციალურ ქსელებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. კვლევებმა აჩვენა, რომ სოციალური ქსელები (ფეისბუქი, ტვიტერი, იუთუბი...) სწრაფად ვითარდება, მილიარდობით მომხმარებელი ჰყავს, საინფორმაციო სააგენტოებზე მეტიც. ამდენად, ასეთი საშუალებების გამოუყენებლობა გაუმართლებელი იქნება.*

*დამსწრეთ გავაცანი ფეხბურთის ფედერაციის პროექტი "გახდი მე-12 მოთამაშე", რომლითაც უეფა დაინტერესდა. ადრე ქომაგთა ორგანიზებულ ჯგუფად ჩამოყალიბების სხვა მეთოდი იყო არჩეული, რამაც არ გაამართლა. ჩვენ ეს სოციალური ქსელის აქტიური გამოყენებით ვცადეთ და შედეგი სახეზეა – ეროვნული ნაკრების წინსვლის პარალელურად სტადიონზე გულშემატკივართა რაოდენობაც იზრდება. "გახდი მე-12 მოთამაშეს" პირველი აქცია 2010 წლის 3 მარტს გაიმართა, როდესაც ეროვნულმა ნაკრებმა თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით პირველი შეხვედრა ესტონეთთან გამართა. მაშინ ეროვნულ სტადიონზე სულ რაღაც 22 ათასი მაყურებელი მოვიდა, ხორვატიასთან კი ტრიბუნებზე ტევა არ იყო. ცხადია, ეს ნაკრების წარმატების დამსახურებაა – 2010 წლის მარტში ფიფას რეიტინგში 122-ე ადგილზე მყოფმა გუნდმა დღეისთვის 72-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. მაგრამ სოციალურ ქსელებზე აქტიურობაც შედეგიანი გამოდგა. ძალიან გაიზარდა მათი რიცხვი, სტადიონზე ეროვნული ნაკრების 12-ნომრიანი მაისურით მისვლა რომ სურთ. ჩვენი პროექტი მოეწონათ არა მხოლოდ უეფას, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ასოციაციების წარმომადგენლებსაც" - გვითხრა ბურდულმა.*

დღეს კი ამსტერდამში უეფას მორიგი სემინარი დაიწყო, სადაც სხვადასხვა საკითხთან ერთად სკოლბურთში ქართველთა გამოცდილებასაც გაეცნობიან - მომხსენებელი ფედერაციის მასობრივი ფეხბურთის განყოფილების თანამშრომელი **დიმიტრი ბოკერია** იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ნავალოვსკი: მცველი-ბომბარდირი

რუსეთში საფეხბურთო სეზონი პირველი ლიგის გუნდებმაც განაახლეს და ორი ტური ჩაატარეს. “სპორტ-ექსპრესმა” პირველი ლიგის გუნდების მოსამზადებელი ეტაპი შეაჯამა.

“ხიმკიმ”, სადაც თებერვალში **გიორგი ნავალოვსკი** და **ედიკ საჯაია** ჩაირიცხნენ, მოსამზადებელ ეტაპზე 7 შეხვედრაში გაიმარჯვა, 7-ჯერ ფრედ ითამაშა და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა.

ჩვენთვის საინტერესო კი ეს ფაქტი აღმოჩნდა: მოსამზადებელ ეტაპზე “ხიმკის” ბომბარდირი მარცხენა მცველი **გიორგი ნავალოვსკი** გახდა, რომელმაც სამი გოლის გატანა მოახერხა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური

**ლივერპული–მანჩესტერ სიტი 3:0**

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – ფლენეგანი, შკრტელი, კარაგერი, აურელიო – კუიტი, ლუკასი, სპირინგი, მეირელეში – სუარესი, ქეროლი (90. ნგოგი)

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი – ბოიატა, ლესკოტი, კომპანი, კოლაროვი – ა. ჯონსონი, ბერი, ი.ტურე, მილნერი (59. სილვა) – ტევესი (16. ბალოტელი, 83. დე იონგი), ჯეკო

**გოლები**: 1:0 ქეროლი (13), 2:0 კუიტი (34), 3:0 ქეროლი (35)

**გაფრთხილება**: აურელიო (ლივერპული)

**კუთხური**: 6-2; **ჯარიმა**: 6-3; **კარში დარტყმა**: 21-12 (5-2); **თამაშგარე**: 5-0; **ბურთის ფლობა**: 53%-47%

**მაყურებელი**: 44 776

ეს იყო შეხვედრა, რომელშიც „ნიუკასლიდან“ 35 მილიონ ფუნტად ნაყიდმა **ენდი ქეროლმა** „ლივერპულის“ მაისურით პირველი (და მეორე) გოლი გაიტანა. ქეროლის გოლებს შორის ერთიც **დირკ კუიტმა** შეაგდო. „სიტიმ“ კი გარდა იმისა, რომ მწარე მარცხი იწვნია, მე-16 წუთზე **კარლოს ტევესიც** დაკარგა — არგენტინელმა ორთავა კუნთი იტკინა და შეიძლება შაბათს სათასო მანჩესტერული დერბიც კი გამოტოვოს.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 32 | 20 | 9 | 3 | 70-32 | 69 |
| 2. არსენალი | 31 | 18 | 8 | 5 | 62-30 | 62 |
| 3. ჩელსი | 31 | 17 | 7 | 7 | 55-25 | 58 |
| 4. სიტი | 32 | 16 | 8 | 8 | 50-30 | 56 |
| 5. ტოტენჰემი | 31 | 14 | 11 | 6 | 44-36 | 53 |
| 6. ლივერპული | 32 | 14 | 6 | 12 | 45-38 | 48 |
| 7. ევერტონი | 32 | 10 | 14 | 8 | 45-41 | 44 |
| 8. ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46-43 | 43 |
| 9. ნიუკასლი | 32 | 10 | 9 | 13 | 48-47 | 39 |
| 10. ვესტ ბრომვ. | 32 | 10 | 9 | 13 | 46-59 | 39 |
| 11. ფულჰემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36-35 | 38 |
| 12. სტოკი | 32 | 11 | 5 | 16 | 39-42 | 38 |
| 13. სანდერლენ. | 32 | 9 | 11 | 12 | 35-45 | 38 |
| 16. ასტონ ვილა | 32 | 9 | 10 | 13 | 40-53 | 37 |
| 14. ბლექბერნი | 32 | 9 | 8 | 15 | 40-52 | 35 |
| 15. ბირმინგემი | 31 | 7 | 14 | 10 | 31-43 | 35 |
| 17. ბლეკპული | 32 | 9 | 6 | 17 | 46-66 | 33 |
| 18. ვესტ ჰემი | 32 | 7 | 11 | 14 | 38-56 | 32 |
| 19. ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36-56 | 32 |
| 20. უიგანი | 32 | 6 | 13 | 13 | 29-52 | 31 |




ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. ტურის გამოხმაურება

# არსენალის და ლემანის გამარჯვება

ბლექპულში გამარჯვებით გახარებული **არსენ ვენგერი** ამბობს, რომ მის „არსენალს" ჯერ კიდევ შეუძლია „მანჩესტერ იუნაიტედის" დაწევა — 32-ე ტურის შემდეგ პრემიერლიგის ლიდერსა და მდევარს შორის სხვაობა 7 ქულაა. შეგახსენებთ, რომ ყველა შეჯიბრებაში ერთად, ეს მეთოფეთა პირველი გამარჯვება იყო ბოლო ექვს შეხვედრაში. „ბლუმფილდ როუდზე" გოლები **აბუ დიაბიმ, ემანუელ ებუემ** და **რობინ ვან პერსიმ** გაიტანეს, მასპინძელთაგან კი ერთი საპასუხო **გერი ტეილორ-ფლეტჩერმა** შეაგდო. ჩრდილოლონდონელთა თავკაცი ამბობს, რომ მის ბიჭებს კვირასაც რომ ვერ მოეგოთ, ჩემპიონობის ყველანაირი შანსი დაკარგული ექნებოდათ.

*„ტიტულისთვის ბრძოლის შანსს მხოლოდ სამი ქულა თუ დაგვიტოვებდა და აი, მოვიგეთ კიდეც. ჩვენს გულშემატკივარს სიტყვა მივეცით, რომ დარჩენილ შეხვედრებში ყველა ღონეს ვიხმარდით. წინ კიდევ შვიდი ტურია, ეს კი ცოტა ნამდვილად არ არის. ბოლო დროს ხალხი ხშირად იმეორებდა, რომ ჩვენ კარგა ხანი არ მოგვეგო, თუმცა ასევე კარგა ხანია არც წაგვიგია. ერთი სიტყვით, ბლექპულში გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ და ახლა ყოველ მომდევნო ტურში მაქსიმალური მონდომებით უნდა გამოვიდეთ".*

კიდევ, ვენგერი ფიქრობს, რომ „არსენალს" ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობაც აქვს — „მანჩესტერ იუნაიტედი" სამ ფრონტზე იბრძვის, მაშინ როდესაც „მეთოფეებს" ერთადერთი მიზანი დარჩათ: პრემიერლიგის ჩემპიონობა.

*„ჩვენ ახლა ერთ კვირას დავისვენებთ, რის შემდეგაც ორი რთული თამაში გველის, „ლივერპულსა" და „ტოტენჰემთან". ამის მერე კი სულ ისეთი შეხვედრები მოდის, რომლებიც წესითა და რიგით უნდა მოვიგოთ".*

ბევრჯერ დაიწერა, რომ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ „არსენალს" რთული პერიოდი ჰქონდა, რომელიც, ვენგერის აზრით უკვე დაძლეულია. მან თქვა:


იენს ლემანი

*„ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნამ ძალიან გვატკინა გული და, რასაკვირველია, მას მოჰყვა იმედგაცრუების ხანა, რომელიც რამენაირად უნდა დაგვეძლია. სწორედ ასეთ დროს უნდა დაამტკიცო, რომ მენტალურად ძლიერი ხარ და სირთულეების გადალახვა შეგიძლია".*

ბლექპულში ჩატარებულ შეხვედრაში კიდევ ერთი თვალში საცემი ამბავი მოხდა — უშუალოდ თამაშის წინ მეკარე **მანუელ ალმუნია** დაშავდა და მის ნაცვლად კარში ვეტერანი **იენს ლემანი** ჩადგა. მოგეხსენებათ, ლემანი 41 წლის არის და მას ფეხბურთის თამაშისთვის უკვე თავი ჰქონდა დანებებული. გერმანელმა ჩინებულად გაართვა საქმეს თავი, თუმცა ერთ ეპიზოდში წითელ ბარათსაც გადარჩა: იმ ეპიზოდში „ბლექპულს" გოლი რომ არ შეეგდო, მსაჯი ლემანს აუცილებლად დასჯიდა.

ვენგერი: *„იენსს როგორც მეკარეს კი ვენდობოდი, მაგრამ მასაც რამე რომ მოსვლოდა, ველარ შევცვლიდი — თადარიგში აღარავინ მყავდა. რაც შეეხება გოლის ეპიზოდს, მსაჯს პენალტიც რომ დაენიშნა, ვფიქრობ, ჩვენი გოლკიპერი, ყვითელ ბარათზე მკაცრად არ უნდა დაესაჯა. საბოლოოდ ლემანით კმაყოფილი ვარ. ის ვითარებას კარგად აკონტროლებდა. სტანდარტული მდგომარეობების დროს ის ჩინებულად ხელმძღვანელობდა დაცვას".*

სტატისტიკოსები კი ამბობენ, რომ ამიერიდან იენს ლემანი გახდება ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი, რომელიც „არსენალის" ისტორიაში მოედანზე გასულა.

*„მართალი გითხრათ, არც ველოდი, რომ თამაში მომიწევდა, მაგრამ ცხოვრება სიურპრიზებით არის სავსე. შემდეგ ტურშიც თუ ვითამაშებ? გულწრფელად რომ გითხრათ, აღარც მაინტერესებს. თუნდაც „ბლექპულთან" მატჩი ჩემი კარიერის უკანასკნელი შეხვედრა გამოდგეს, ძალიან კმაყოფილი დავრჩები, რადგან ის მოვიგეთ".*

ფეხბურთელი

# ტრიბუნაზე დაბრუნებული

**გარი ნევილს** ბევრჯერ უთქვამს, 25 წლის წინ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეობის დროს, „მანჩესტერ იუნაიტედში" რომ არ აეყვანეთ, მთელი ცხოვრება „ოლდ ტრეფორდის" „სტრეტფორდ ენდზე" ვიდგებოდიო. ცნობისათვის: „სტრეტფორდ ენდი" „ოცნებათა თეატრად" წოდებული სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაა.

დღეს ნევილი ფეხბურთელი აღარ არის, კარიერა დაასრულა, გამოსათხოვარი მატჩისთვის ემზადება. ის ფეხბურთს 24 მაისს „იუვენტუსთან" მინისტრაცია გაელანძლა, მაგრამ გაჩერდა. იმ დღეს ის ერთ-ერთი ფანთაგანი იყო და ყველაფერი, რაც ფანებს გადახდათ, მასაც გადახდა.

*„რომ მოვიგეთ, შესანიშნავი იყო, მაგრამ ისედაც დიდი სიამოვნება მივიღე. ჩვეულებრივ ტრიბუნაზე ძალიან დიდი ხანია არ ვყოფილვარ. თუ არ ვცდები, ფანებთან ბოლოს 10 წლის წინ, ლესტერში ვიჯექი. საუცხოო შეგრძნებაა, იქ ხარ და უშუალოდ გესმის რასაც ამბობენ ისინი. ისე, ცოტა შევცბი კიდეც. რამდენიმე კვირის წინ ისინი*




გარი ნევილი

*— ამბობს ნევილი — დღეს უკვე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ თებერვალში სწორი, გააზრებული გადაწყვეტილება მივიღე. მე ფეხბურთელი აღარ ვარ. ბოლო ხანს ვატყობდი, რომ თამაშის წინ ბიჭებთან სულ ტყუილად ვტრიალებდი, მათ ჩემი გასახდელში ყოფნა არ სჭირდებოდათ. ყოველი მატჩის წინ იქ ისედაც ბევრი ხალხი ირევა. „მანჩესტერ იუნაიტედში" გამოცდილი, კარგი ხალხი თამაშობს. მათ სეზონის სიმძიმე კისერზე აწევთ და დიდი მწვრთნელი ხელმძღვანელობს. აშკარად დრო იყო, გუნდს გავცლოდი.*

*ჩემი ახალი პოზიცია ძალიან მომწონს. თამაშის ტრიბუნიდან ნახვა მშვენიერი საქმიანობა ყოფილა. წინა კვირას „ჩელსისთან" თამაშს დავესწარი, შაბათს „ფულჰემის" სტადიონზე ვიყავი, ახლა ისევ „ჩელსისთან" მატჩს ვნახავ და მომავალ შაბათს მანჩესტერულ დერბისაც დავესწრები. სეზონის ბოლომდე ასე ვაპირებ. შეხვედრების უმეტესობას ტრიბუნიდან უნდა ვადევნო თვალი და ბიჭებს ვუგულშემატკივრო.*

*არ დაგიმალავთ, ძალიან კმაყოფილი ვარ, ფეხბურთის თამაშს თავი რომ დავანებე. სტადიონზე დავდივარ, ველოსიპედით ვმოძრაობ და საერთოდ მოსვენებული გახლავართ. ხასიათის გამო მთელი 20 წლის განმავლობაში უკიდურესად დაძაბული ვცხოვრობდი. არ მინდა ვახსენო სიტყვა ზეწოლა, რადგან „მანჩესტერ იუნაიტედის" სახელით თამაში ზეწოლა კი არა, უდიდესი პატივია, მაგრამ ამ გუნდს უმაღლესი მოთხოვნები აქვს დასახული და მათ საპასუხოდ ყოველი დღე შესაძლებლობების ზღვარზე უნდა გატარო. ყველაფერი, რასაც აკეთებ ფანებისთვის, თანაგუნდელებისთვის და ოჯახის წევრებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. მათი გულისთვის ტყავიდან ძვრები, მაგრამ დღეს ჩემთვის ეს უკვე წარსულია და ვგრძნობ, რომ დიდი ტვირთი მომეხსნა".*

თუმცა, ტვირთის მოხსნაზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევი უნდა იყოს. სექტემბრიდან გარი ნევილი „სქაი სპორტზე" მიმომხილველად იწყებს მუშაობას, ეს კი ურთულესი საქმეა - გარი ნევილისთვის, ყოველ შემთხვევაში... აი, თუნდაც გასული კვირის ამბავი გავიხსენოთ, როდესაც კამერების წინ **უეინ რუნის** საქციელის შეფასება სთხოვეს. ნევილმა უპასუხა:

*„რასაკვირველია, ფეხბურთელები ტელეკამერების წინ რომ არ იგინებოდნენ, იდეალური იქნებოდა, მაგრამ მოდი ნურც იმას დავმალავთ, რომ რუნიმ თამაშის დამთავრებისთანავე მოიხადა ბოდიში. ფეხბურთს ემოციას ვერ გამოაცლი. ვერავინ გააკონტროლებს გოლის ავტორთა რეაქციას, ის ინსტინქტურია. ვაღიარებ, რომ რუნის გინების მოსმენა სასიამოვნო არ იყო, მაგრამ ამის გულისთვის მისი დასჯა სასაცილო საქციელი გახლდათ. ბებიაჩემს ძალიან არ მოსწონდა რომ ვიგინებოდი და მთელი კარიერის მანძილზე ჩამჩიჩინებდა, რომ თავი შემეკავებინა, მაგრამ მეც ერთსა და იმავეს ვპასუხობდი: ბებო, წარმოდგენა არ მაქვს, თუ ვიგინებოდი-მეთქი. სულერთია, კვირას, პარკში, გასართობად თამაშობ თუ ხუთი მილიონი ტელემაყურებლის წინაშე სტადიონზე გამოდიხარ. რეაქცია რეაქციაა. ეს ჩვენი კულტურაა, ფეხბურთი მუშათა კლასის ელემენტს შეიცავს.*

*დავანებოთ თავი ფეხბურთელების ქცევას. ფანები როგორ იქცევიან? ისინი ტრიბუნიდან შეურაცხყოფას აყენებენ მოთამაშეებს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ნებისმიერმა მოთამაშემ იცის, რომ სხვა ქალაქში ლანძღვა-გინება არ ასცდება. ასეთია ფეხბურთი. მთელი ისტორიის განმავლობაში ერთი და იგივე მეორდება. ასეთივე დღეში არიან სხვა კლუბების ფეხბურთელებიც. სერ ალექს ფერგიუსონი არასდროს ათამაშებს ახალგაზრდას, თუ ატყობს, რომ ის ჯერ კიდევ მგრძნობიარეა ტრიბუნების რეაქციის მიმართ. ემოციური კაცი ფეხბურთელი არ უნდა გამოვიდეს. შეგუებული უნდა იყო, რომ შენზე საშინელებებს იტყვიან ფორუმებზე, რადიოში, როდესაც გულშემატკივრის ზარს ჩართავენ პირდაპირ ეთერში, ტრიბუნებზე..."*

შეხვედრით დაემშვიდობება, მანამდე კი, როგორც საქმიდან წასულ კაცს შეშვენის, მოსვენებული დაჰყვება თავის საყვარელ „იუნაიტედს". ერთი კვირის წინ, მაგალითად, ლონდონში იყო, სადაც „სტემფორდ ბრიჯზე" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრას დაესწრო. მოგეხსენებათ, იმ დღეს მანჩესტერელებმა „ჩელსის" 1:0 მოუგეს.

*„სამ-ოთხ მეგობართან ერთად ვიყავი. ბიჭებს ფეხბურთზე უნდოდათ წამოსვლა. ჩვეულებრივი ბილეთი ავიღეთ, ფანებთან დავსხედით. არ ვაპირებ დირექტორების ტრიბუნაზე ჩემთვის რამდენიმე ადგილი გამოვაყოფინო. ერთ ბილეთს ამ ლოჟაში რამენაირად ვიშოვიდი, მაგრამ ძმაკაცებთან ერთად მინდოდა ყოფნა. სტადიონზე შევედით, ოღონდ 20 წუთით დავიგვიანეთ - არ გვიშვებდნენ".*

აქ, გარი ნევილმა აშკარად შეიკავა თავი. ეტყობოდა, ძალიან უნდოდა საორგანიზაციო შეცდომების გამო ად*ხომ ასეთ რალაცებს ჩემზეც ამბობდნენ".*

მაგრამ „სტემფორდ ბრიჯის" ტრიბუნაზე ყოფნა ერთია და მანჩესტერულ დერბიზე დასწრება - მეორე. შაბათს, „უემბლიზე", ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში ერთმანეთს „იუნაიტედი" და „სიტი" ხვდებიან. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ „უემბლიზე" ერთმანეთის პირისპირ წარმდგარან შეფილდისა და ლივერპულის გუნდები, იქ, ბურთი ჰალელებსაც კი გაუგორებიათ, მაგრამ მანჩესტერული დერბი პირველად იმართება.

ნუთუ, გარი ნევილი ამ შეხვედრასაც ფანებთან ერთად ნახავს? რა თქმა უნდა არა. ამ შეხვედრაზე ის გუნდთან ერთად წავა. 24 მაისისთვის ცოტა ფორმაც უნდა აღიდგინოს. ბენეფისია, ბოლოს და ბოლოს.

*„რამდენიმე კვირაა გასახდელში არ ვყოფილვარ. ახლა უნდა შევიდე,*

ამბები

## [illegible] მოვიდა


სტენ კროენკი

„არსენალი" „მანჩესტერ იუნაიტედს", „ჩელსის", „მანჩესტერ სიტისა" და „ლივერპულს" შეუერთდა - financialexpress.com -ის ცნობით ამ ინგლისური კლუბის საკონტროლო პაკეტიც უცხოელმა იყიდა. მყიდველი გახლავთ ამერიკელი მილიარდერი სტენ კროენკი, რომელიც „მეთოფეთათვის" ნაცნობი ადამიანია. ის, გუშინდლამდე კლუბის 29 პროცენტს ფლობდა, მაგრამ კიდევ ორი მეწილის, დენი ფიზმანისა და ლედი ნინა ბრეისვილ-სმიტის აქციებიც შეისყიდა. თითოეული 16 პროცენტს ფლობდა.

*„არსენალი საოცარი კლუბია, უდიდესი ისტორიით, ტრადიციით და უძლიერესი მწვრთნელით არსენ ვენგერით. მე მინდა ვენგერის უდიდეს მემკვიდრეობაზე დაყრდნობით გუნდი ახალ წარმატებებამდე მივიყვანო"* — თქვა მილიარდერმა.

## მარტინესი ტორესს აქებს

შესაძლოა იმის ბრალია, რომ თანამემამულეები არიან, შესაძლოა ობიექტური მიზეზების გამო და შესაძლოა ორივე მიზეზით, „უიგანის" თავკაცი **რობერტო მარტინესი** „ლივერპულიდან" „ჩელსიში" გადასულ და დღემდე ხელმოცარულ ფორვარდ **ფერნანდო ტორესს** აქებს. ბოლო ტურში, „ლურჯებმა" სწორედ მარტინესის გუნდს მოუგეს. ტორესს ამ შეხვედრაში თავიდან არ უთამაშია, მოედანზე ბოლო ნახევარი საათით შევიდა და ისევ ვერ გაიტანა გოლი.



ფერნანდო ტორესი

*„კონტრაქტის ბოლოს ყველა აღიარებს, რომ ფერნანდო ტორესი „ჩელსისთვის" დიდებული შენაძენი იყო. დღე მას უჭირს, რადგან მთელი მსოფლიო შეჰყურებს და ელის, რომ ის სასწაულებს ჩაიდენს. ჩვენთან შეხვედრაში ის დიდებულად გადაადგილდებოდა და გამოცდილებაზე დაყრდნობით თანაგუნდელებისთვის დიდი სარგებელი მოჰქონდა. მან მოახერხა, ჩვენი მეკარის წინააღმდეგ წესი ისე დაერღვია, რომ „ჩელსის" ერთადერთი გოლი გაეტანა. ასეთი გამოცდილი მოთამაშის შეძენა ნებისმიერი გუნდისთვის მნიშვნელოვანია.*

*რასაკვირველია, „ჩელსისთან" თამაშის დროს ვიცოდით, რომ მხოლოდ და მხოლოდ „უიგანი" ვიყავით, მაგრამ მოდი, ნუ დაგვიკარგავთ, რომ კარგად ვითამაშეთ და წაგებამაც გული დაგვწყვიტა".*

## ჰარი და ჯოჯოხეთი


ჰარი რედნაპი

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** უკვე ბევრჯერ მოისმინა ერთი და იგივე: ოთხშაბათს, „რეალთან", ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრის დასრულებასთან ერთად „ტოტენჰემის" ალმავლობასაც დაესმება წერტილი. „დეზებისთვის" სეზონი აქ დამთავრდება. შეგახსენებთ, რომ „სფურზმა" მადრიდელებთან პირველ შეხვედრაში 4:0 წააგო.

რედნაპმა თქვა: *„შარშანდელს გაგახსენებთ. ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში „პორტსმუთთან" დავმარცხდით და მაშინაც ერთი ამბავი ატყდა. ყოველი მხრიდან მესმოდა, რომ ჩვენთვის ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ჩვენ ჯერ „არსენალს" მოვუგეთ, მერე „ჩელსის", ცხრა შესაძლებლობიდან ცხრა ქულა მოვიპოვეთ და ბოლოს პიტერ კრაუჩის გოლით მანჩესტერ სიტისაც ვაჯობეთ. გარწმუნებთ, ჩემი გუნდი ფსიქოლოგიურად ძლიერია, რაც თავისთავად სულაც არ მოსულა.*

*ჩვენმა ფანებმა კარგად იციან, რომ ოთხშაბათს „რეალს" ჯოჯოხეთს მოვუწყობთ, მაგრამ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგან „რეალს" ჰყავს რონალდო, რომელსაც შეუძლია ბურთი იხელთოს, 80 მეტრი გაირბინოს და გოლი შეაგდოს"*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტურის გამოხმაურება

BUNDES LIGA

# MADE IN GERMANY

## გაგიჟებული კლოპი, განრისხებული ული, აჭრილი შააფი, ღირსეული რობენი, შალკეს ფანები და ასე შემდეგ...

**ლუის ვან გაალის** გათავისუფლების შემდეგ, „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** ჰოლანდიელი სპეციალისტი კრიტიკით მიწასთან გაასწორა. რეკორდმაისტერის პრეზიდენტი პრესკონფერენციაზე ისეთი სახითა და სიტყვებით წარსდგა, რომ ყველას გაახსენდა, როგორია სინამდვილეში ული ჰიონესი. ვინც ფიქრობდა, რომ ის თვითკრიტიკულიც იქნებოდა, სასტიკად შეცდა: ჰიონესს საკუთარ შეცდომებზე ყურადღება არც კი გაუმახვილებია. გაირკვა ისიც, რომ **თომას კრაფტს** „ბაიერნში" მომავალი აღარ აქვს – ჰიონესმა მასზე ისე ილაპარაკა, რომ წარმოუდგენელია, ბავარიული გრანდი მომდევნო სეზონსაც კრაფტთან ერთად გეგმავდეს.

ამასობაში, დორტმუნდის „ბორუსია" კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ჩემპიონობას. მართალია, BVB-მ ორი ქულა დაკარგა, „ლევერკუზენი" კი ხუთქულიან დისტანციაზე მიუახლოვდა, მაგრამ გერმანიაში მაინც არავის ეპარება ეჭვი, რომ **იურგენ კლოპის** ბიჭები „ვერცხლის სინს" დაისაკუთრებენ. სხვა მხრივ, 29-ე ტურში ფორმაში არ იყო „ვერდერის" დამრიგებელი **თომას შააფი**, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით „ფრაიბურგის" თავკაც **რობინ დუტზე**, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში გუნდს დატოვებს და „ლევერკუზენს" ჩაიბარებს, ბრაისგაუულ კლუბთან ერთად წარმატებულ სვლას აგრძელებს.

თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის 29-ე ტურის გამოხმაურება Tops & Flops-ის სახით.



კარგად დააკვირდით ამ სახეს, ის გერმანულ სულის კვეთებას ასი პროცენტით გამოხატავს: დორტმუნდის ბორუსიას თავკაცი იურგენ კლოპი იმ მომენტში, როცა „კუბამ" ჰამბურგს ანგარიში გაუთანაბრა

### Flop

### შააფი აიჭრა

**თომას შააფი** არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი მწვრთნელია, გასულ პარასკევს კი საფეხბურთო გერმანიამ „ვერდერის" თავკაცი სულ სხვა მხრიდან გაიცნო. თამამად ვიტყვით, რომ აფეთქებული შააფი პირველად ვნახეთ. „აინტრახტთან" მატჩის (1:1) შემდეგ, თომასმა ფრანკფურტული კლუბის მცველი **მაიკ ფრანცი** ლანძღა. *„ფრანცი მსოფლიოში ყველაზე არასპორტული და აგრესიული ფეხბურთელია. მამაშვილურად ვურჩევ, კარგად დაფიქრდეს, რასაც ეს მოთამაშე მოედანზე აკეთებს, ფეხბურთისგან ძალიან შორსაა,"* - განაცხადა შააფმა.

არა გვგონია, რომ მაიკ ფრანცმა შააფის დარიგება შეისმინოს, მის შესახებ ამაზე უარესებიც არაერთხელ უთქვამთ, მაგრამ ფრანცი მაინც იმ ფრანცად დარჩა, რომელსაც ბუნდესლიგის ფეხბურთელები ყველაზე მეტად ვერ იტანენ. შააფზე კი ის უნდა ვთქვათ, რომ აჯობებდა, პირველ გუნდში თავის გუნდსა და თავის ფეხბურთელებს დაჰკვირვებოდა. „ვერდერის" თავდამსხმელი **დენის ავდიჩი** მაიკ ფრანცზე უკეთესად ნამდვილად არ იქცეოდა...

### Flop

### არაჰუმანური კანონი

როცა მის კარში თერთმეტმეტრიანი ინიშნება და თანაც, ფეხბურთელს აძევებენ, გუნდისთვის უმაღლესი სასჯელია, რადგან გოლის გაშვებაც ფაქტობრივად გარანტირებული აქვს და, დარჩენილი დრო კაცნაკლულობაში უნდა გაატაროს...

გერმანიაში, ამ უქმეებზე ასეთი ჯოჯოხეთი ორ გუნდს დაემართა: ფრაიბურგსა და ჰანოვერში მსაჯებმა ფეხბურთელებიც გააძევეს და პენალტებიც დანიშნეს. ცხადია, ასეც უნდა მოქცეულიყვნენ, რადგან კანონი ავალდებულებთ, მაგრამ გამოცდილმა არბიტრმა **ტორსტენ კინჰიოფერმა**, რომელიც „ჰანოვერისა" და „მაინცის" მატჩს (2:0) მსაჯობდა, ეს წესი გააკრიტიკა. მისი აზრით, საფეხბურთო კავშირმა მსაჯებს ასეთ სიტუაციებში თავისუფლად მოქმედების საშუალება უნდა მისცეს – მაგალითად, არბიტრი არ უნდა იყოს ვალდებული, რომ პენალტის დანიშვნასთან ერთად, ისედაც მაგრად დასჯილ გუნდს ფეხბურთელიც გაუძევოს. *„ორმაგი სასჯელით მატჩებზე ძალიან დიდ გავლენას ვახდენთ. ვფიქრობ, ამ კანონს ფიფამაც უნდა გადახედოს"*, - აღნიშნა კინჰიოფერმა.

### Flop

### განწირული კრაფტი

ადამიანურად რომ ვიმსჯელოთ, „ბაიერნის" ახალგაზრდა მეკარე **თომას კრაფტი** ფეხბურთის ნებისმიერ გულშემატკივარს ძალიან უნდა შეეცოდოს. „ნიურნბერგთან" „ბაიერნის" ყველა ფეხბურთელმა ცუდად ითამაშა (1:1), მაგრამ რაკი **კრისტიან აიგლერის** გოლი კრაფტის სინდისზე იყო, ორი ქულის დაკარგვა, პირველ რიგში, სწორედ მას დაჰბრალდა.

იმის გამო, რომ რეკორდმაისტერის ბოსებმა კრაფტის ერთგული ვან გაალი გააგდეს, თანაც, ახალგაზრდა მეკარემ ბოლო დროს შეცდომებს უმატა, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ „ბაიერნშიც" თომასსაც იგივე ემუქრება, რაც თავის დროზე **ოლივერ კანის** შემცვლელად აღიარებულ **მიხაელ რენზინგს** დაემართა. ამ მოსაზრებას ჰიონესის სიტყვები ამძაფრებს, რომელმაც ვან გაალის გათავისუფლების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, „ბაიერნში" მონასტერი მას მერე აირია, რაც **ლუისმა ჰანს-იორგ ბუტი** ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო და ყველასათვის მოულოდნელად, ნდობა კრაფტს გამოუცხადაო.

ამ ეტაპზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად ფანების უდიდესი სურვილისა, კრაფტს „ბაიერნში" მომავალი აღარ აქვს. ჰიონესმა ისე ილაპარაკა, რომ...

### Flop

### კარგი, რა, ული...

ზოგადად, ვან გაალის გაგდების შემდეგ, ჰიონესს ბევრი რამ ჰქონდა ასახსნელი, „ბაიერნის" პრეზიდენტმა კი მხოლოდ სხვები ლანძღა. მან თქვა, რომ „ბაიერნში" ფეხბურთის თამაში არც ერთ ფეხბურთელს აღარ სიამოვნებდა; რომ რეკორდმაისტერში ვითარება მას მერე აიჭრა, რაც ვან გაალმა ბუტი სათადარიგოთა სკამზე დასვა, კარში კი კრაფტი ჩააყენა; რომ ზღაპარია ის, თითქოს მოთამაშეები ვან გაალს ბოლომდე მხარში ედგნენ...

არადა, ბავარიელებს სახეებზე სიამოვნება მინიმუმ ერთი თვეა აღარ ეტყობათ; ვან გაალსა და ფეხბურთელებს შორის კი შავმა კატამ ჯერ კიდევ იანვარში, **მარკ ვან ბომელის** გაყიდვის დროს გაირბინა და ჰოლანდიელ სპეციალისტს შეგირდებთან დაძაბული ურთიერთობა სწორედ მას მერე ჰქონდა . მაშინ რატომ გაუშვეს ვან გაალი ახლა და არა თუნდაც ერთი თვის წინ?

თუ ჰიონესი მართალს ამბობს, როცა გაიძახის, ფეხბურთელები ვან გაალს მხარში ნამდვილად არ ედგნენო, გამოდის, რომ **ფილიპ ლამი, თომას მიულერი** ან **ბასტიან შვაინშტაიგრი** მატყუარები არიან, რადგან ამბობდნენ, ვან გაალს მთელი გუნდი მხარში უდგასო. ჩვენი აზრით, ული ჰიონესს მეტი გულახდილობა არ აწყენდა...

### Top

### შალკეს ღირსეული ფანები ჰყავს

სანამ **ფელიქს მაგათს** „შალკედან" გაათავისუფლებდნენ, გელზენკირხენული კლუბის გულშემატკივრებში ნაწილი „დესპოტი ფელიქსის" დატოვების მომხრე იყო, ნაწილი კი მის გაგდებას ითხოვდა. იმ ნაწილისგან, ვინც მაგათს ეწინააღმდეგებოდა, შაბათს ყველა სტვენას და ფელიქსის ლანძღვა-გინებას ელოდა, რადგან მაგათი გელზენკირხენში „ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელის, ანუ მტრის რანგში დაბრუნდა. „შალკეს" გულშემატკივრებმა კი დაამტკიცეს, რომ გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ფანები არიან. მათ მაგათს მცირე ყურადღებაც კი არ მიაქციეს – ფელიქსის სახელი ერთხელაც არ უხსენებიათ, პირველიდან ბოლო წუთამდე მხოლოდ „შალკეს" ქომაგობდნენ. სხვათა შორის, ეს თვითონ მაგათმა აღნიშნა და გელზენკირხენული პუბლიკა შეაქო.

### Top

### დუტის ფენომენი

როცა ირკვევა, რომ მწვრთნელი გუნდს სეზონის ბოლოს დატოვებს, ათიდან ცხრა შემთხვევაში, გუნდი დარჩენილ მატჩებში შედეგებს აუარესებს ხოლმე, რადგან მწვრთნელი მომავალ გუნდზე იწყებს ფიქრს. „ფრაიბურგი" ამ მხრივ გამონაკლისია. გადაწყვეტილია, რომ გუნდის თავკაცი **რობინ დუტი** ზაფხულიდან „ლევერკუზენს" ჩაუდგება სათავეში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასი პროცენტით „ფრაიბურგზეა" კონცენტრირებული, რაც გუნდს „ჰოფენჰაიმთან" შეხვედრაშიც დაეტყო, რომელიც დუტის შეგირდებმა 3:2 მოიგეს. თვითონ განსაჯეთ: „ფრაი" 1:2-ს აგებდა, კაცნაკლული იყო და მაინც შეძლო თამაშის შემოტრიალება.

### Top

### ბრავო, არიენ!

**არიენ რობენს** საუკეთესო შანსი ჰქონდა, რომ ამ ტურის გამოხმაურებაში TOP-ებში კი არა, FLOP-ებში მოხვედრილიყო, რადგან „ნიურნბერგთან" მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ მსაჯ **კნუტ კირხერს** ცოცხალ-მკვდარი აგინა, მაგრამ ჰოლანდიელმა ცოდვა მალევე მოინანია. რობენმა პირველივე ინტერვიუში ჯერ თვითონ მსაჯს მოუბოდიშა, მერე თანაგუნდელებს, გულშემატკივრებს, გუნდის ხელმძღვანელებს და ყველას, ვისაც ფეხბურთი უყვარს. გარდა ამისა, თავისი საქციელი დაგმო.

წითელი ბარათი და ემოციები ფეხბურთის ნაწილია. მოედანზე მოთამაშეები ამაზე უარესადაც მოქცეულან, მაგრამ ბოდიში არავისთვის მოუხდიათ. რობენი კი აპლოდისმენტებს იმსახურებს. ამასობაში, განაჩენიც გამოტანილია: ჰოლანდიელი დრიბლიორი „ბაიერნს" ორ შეხვედრაში დააკლდება...

### Top

### დორტმუნდი: მოგების ტოლფასი ფრე

ლოგიკურად, დორტმუნდის „ბორუსიამ" ჰამბურგში უფრო ორი ქულა დაკარგა, ვიდრე ერთი აილო, მაგრამ **იურგენ კლოპის** გუნდი უდიდეს ქებას იმსახურებს იმისათვის, რასაც გაშვებული გოლის მერე, მთელი თამაშის განმავლობაში აკეთებდა. დორტმუნდელები უკანმოუხედავად უტევდნენ, მომენტს მომენტზე ქმნიდნენ და საბოლოოდ, ანგარიშის გათანაბრება ასი პროცენტით დაიმსახურეს. კლოპმა შეძლო და „ბორუსიას" ფეხბურთელებს უდიდესი თავდაჯერება ჩაუნერგა – მისი შეგირდები ყველა მატჩში ბოლო წამამდე თავგამოდებით იბრძვიან. „ჰამბურგთან" შეხვედრაში ასეთი მენტალიტეტის სიმბოლო 18 წლის ნახევარმცველი **მარიო გიოტცე** გახლდათ. თვითონ კლოპი კი, უფრო სწორად მისი ძალიან ემოციური ზეიმი საფინალო სასტვენის შემდეგ, საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა უხაროდეს გამარჯვებულს, რომელმაც წარმატება ასი პროცენტით დაიმსახურა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

#### XXIX ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 3-4-3)

**ტიმ ვიზე** (ვერდერი, 3) – **ბენედიქტ ჰიოვედესი** (შალკე, 4), **პაიკო ბუტშერი** (ფრაიბურგი, 1), **მარსელ შმელცერი** (ბორუსია დ, 7) – **მარკო როისი** (ბორუსია მ, 4), **იულიან შუსტერი** (ფრაიბურგი, 1), **სერჟიო პინტუ** (ჰანოვერი, 4), **კრისტიან ტიფერტი** (კაიზერსლაუტერნი, 4) – **მაიკ ჰანკე** (ბორუსია მ, 2), **სრდიან ლაკიჩი** (კაიზერსლაუტერნი, 4), **პაპის დემბა სისე** (ფრაიბურგი, 4)

29-ე ტურის მთავარი გმირები „კაიზერსლაუტერნი" (4:2 შტუტგარტში), მიონხენგლადბახის „ბორუსია" (5:1 კიოლნთან) და „ფრაიბურგი" (3:2 ჰოფენჰაიმთან) იყვნენ. შესაბამისად, სიმბოლურ ნაკრებში ამ გუნდებიდან ორ-ორი ფეხბურთელი მოხვდა. აღსანიშნავია დორტმუნდის „ბორუსიას" მარცხენა მცველი **მარსელ შმელცერიც**, რომელსაც სიმბოლურში მეშვიდედ ვხედავთ.

#### ტურის გმირი

#### მარკო როისი (ბორუსია მ)

უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „გლადბახის" 21 წლის გარემარბ **მარკო როისს** ამ გუნდში დიდხანს არავინ გააჩერებს – მით უმეტეს, თუ „ბორუსია" პირველი ბუნდესლიგიდან გავარდება. როისმა „კიოლნთან" დუბლი შეასრულა და „გლადბახისთვის" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება პირველ რიგში მისი დამსახურებაა. როისის ანგარიშზე ამ სეზონში რვა გოლი და ცხრა საგოლე პასია, რაც ნახევარმცველისთვის, თანაც, აუტსაიდერი გუნდის ნახევარმცველისთვის, ბრწყინვალე შედეგია.

#### საუკეთესო ფეხბურთელები

29 ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | საშ. შეფასება |
|---|---|---|
| 1. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.59 |
| 2. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 2.62 |
| 3. ნური შაჰინი | ბორუსია (დ) | 2.64 |
| 4. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.66 |
| 5. მანუელ ნოიერი | შალკე | 2.71 |
| 6. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.72 |
| 7. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.73 |
| 8. ოლივერ ბაუმანი | ფრაიბურგი | 2.78 |
| 9. არტურო ვიდალი | ლევერკუზენი | 2.82 |
| 10. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 2.90 |

#### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | ბაიერნი | 27 | 19 | 3 | 22 |
| 2. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 27 | 20 | 1 | 21 |
| 3. დიდიე ია კონანი | ჰანოვერი | 24 | 13 | 7 | 20 |
| 4. ლუკას ბარიოსი | ბორუსია (დ) | 28 | 13 | 6 | 19 |
| 5. თეოფანის გეკასი | აინტრახტი | 29 | 16 | 3 | 19 |
| 6. თომას მიულერი | ბაიერნი | 29 | 10 | 9 | 19 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 21 | 4 | 15 | 19 |
| 8. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 28 | 5 | 13 | 18 |
| 9. მლადენ პეტრიჩი | ჰამბურგი | 20 | 11 | 7 | 18 |
| 10. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 28 | 12 | 6 | 18 |

ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. გამოხმაურება

# სამი მატჩი დიდი ბასკების რეკორდამდე

შაბათს **ლეო მესიმ** ბრაზილიელი **რონალდოს** რეკორდი გაიმეორა ერთ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობით - „ალმერიას" კარში შეხვედრის ბოლო წუთზე გატანილი ბურთი მისთვის 47-ე იყო ამ სეზონში ყველა საკლუბო მატჩში (29 ლა ლიგაში, 7 კოპაზე, 8 ჩემპიონთა ლიგაში და 3 ესპანეთის სუპერთასზე) ის, რომ არგენტინელი რონალდოს რეკორდს დაამხობს კიდეც, ეჭვიც არავის ეპარება - სეზონის ბოლომდე თვეზე მეტი რჩება.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ლეომ თქვა, რომ რონალდოს რეკორდმა ის მოაჯადოვა და ამიტომ ველარ გაჰქონდა გოლები (მართლაც, მას შემდეგ, რაც „არსენალის" კარში დუბლი შეასრულა, არგენტინელს თავი არ გამოუჩენია), თუმცა ჯადოს ძალა შაბათს „ალმერიასთან" მატჩში გაუვიდა, როცა ჯერ პენალტით გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ახლო მანძილიდან „ბარსას" მე-3 გოლი შეაგდო. რონალდოს რეკორდი 1996/97 წლების სეზონზე მოდის, ბრაზილიელმა ფორვარდმა მაშინ 47 გოლი შეაგდო. სხვათა შორის, მესიმ ეს რეკორდი გაიმეორა - შარშანდელ სეზონში მის ანგარიშზე ზუსტად 47 გოლია. ახლა, ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი ლეოს წინ 9 თამაში აქვს.

შემდეგ ტურში ერთმანეთის წინააღმდეგ ლა ლიგის ორი საუკეთესო მეგოლე წარდგება მესი (29 გოლი) **კრიშტიანო რონალდოს** (28 გოლი, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, 29) უშუალოდ მოედანზე გაეჯიბრება, რაც „კლასიკოს" კიდევ უფრო მეტ ხიბლს მატებს.

ამასობაში გაირკვა, ზუსტად რამდენ ხანს იუქმებს „ალმერიასთან" დაშავებული **ბოიან კრკიჩი**. მან პირველ ტაიმში მარჯვენა მუხლის ჯვარედინი იოგები ნაწილობრივ დაიზიანა. ექიმთა თქმით, ახალგაზრდა ფორვარდის გამოჯანმრთელებას 6-დან 8 კვირამდე დასჭირდება. ასე რომ, პირველადი დასკვნა, რომ ბოიანისთვის სეზონი დასრულებულია, დადასტურდა.

არგენტინელი **ხავიერ მასკერანო** კი დაუფიქრებლად მოიქცა: მე-17 წუთზე, ისე, რომ ამის აუცილებლობა არ იყო, ყვითელი ბარათი „აიკიდა", რომელიც მისთვის მეხუთეა სეზონში. ეს კი ესპანეთში ავტომატურად ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას ნიშნავს. ასე დააკლდა ხავიერი „კლასიკოს".

**ხოსეპ გვარდიოლა** თამაშამდე აფრთხილებდა ყველას, რომ „ალმერიასთან" სამი ქულის დაკარგვა არაფრით არ შეიძლებოდა, ამ სამი ქულის მოპოვება კი გაჭირდებოდა. და მართლაც, აუტსაიდერმა მებრძოლი ხასიათი გამოავლინა და მეორე ტაიმში დაწინაურდა კიდეც, მაგრამ „ბარსას" ფეხბურთელებმა საოცარი შემართება გამოავლინეს და მალევე ალკვეთეს სეზონის სენსაცია. მოკლედ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მწვრთნელი მატჩის წინ ამბობდა.

*„დღეს მეტოქე ძალიან მომეწონა. მათი დაცვის ხაზი სოლიდური იყო. სულ მცირე, 15 წუთი დაგვჭირდა, სანამ თამაშის რიტმში ჩავჯდებოდით. ამის შემდეგ სიტუაციას სულ ჩვენ ვაკონტროლებდით. მაშინაც კი, როცა გაგვიტანეს, კარგად ვთამაშობდით. ასეთი ტიპის თამაშები ხშირად ძნელად მოსაგებია და ამ სეზონში ანალოგიურს ველი „რეალ სოსიედადთან", „ოსასუნასთან" და „ესპანიოლთან".*

ბუნებრივია, გვარდიოლას თამაშზე მეტად მომავალ „კლასიკოზე" უსვამდნენ კითხვებს, „ბლაუგრანას" ახალგაზრდა თავკაცს ამ კითხვებისთვის თავი არ აურიდებია: *„ჩინებული შანსი გვაქვს, ლიგის მოგების სერიოზული განაცხადი გავაკეთოთ. „ბერნაბეუზე" ფრეზე თამაში ჩვენი მხრიდან დიდი შეცდომა იქნება. რომც წავაგოთ, უნდა შევუტიოთ „რეალს", რადგან ამ შემთხვევაშიც კი ჩემპიონობის მოგების უკეთესი შანსი გვექნება, ხოლო თუ მეტოქეს „კლასიკოში" დავჯაბნით, ვფიქრობ, ჩემპიონის ვინაობაც გაირკვევა. ამ ორი გუნდის თამაში არასოდეს არ არის იოლი, „რეალი" ძალზე სახიფათო გუნდია, განსაკუთრებით, როცა კონტრშეტევებზე თამაშობს"*, - განაცხადა ხოსეპ გვარდიოლამ.

სხვათა შორის, „ალმერიასთან" მატჩის დაწყებამდე 1-2 საათით ადრეც კი არ იცოდა პეპმა, ვის ჩააყენებდა კარში. **ვიქტორ ვალდესი** დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა ამ თამაშს, **ხოსე მანუელ პინტოს** კი ტრავმა აწუხებდა. თუმცა გამოცდილმა გოლკიპერმა „ბარსა" გასაჭირში არ დატოვა და კარში მაინც ჩადგა: *„ეს სამი დღე კოჭი ძალიან მაწუხებდა, თუმცა თამაშის წინ შვება ვიგრძენი და გავრისკე. რაც მთავარია, 90 წუთი გავძელი. ისე კი შესაძლოა, ღამე კოჭმა არც კი დამაძინოს. ლა ლიგაში ყველა გაორმაგებული ძალებით გვეთამაშება და „ალმერიას" საამისოდ სწრაფი და ტექნიკური ბიჭები ჰყავდა შეტევაში. მე გამაოცა მათმა შემართებამ"*, - განაცხადა პინტომ თამაშის შემდეგ.

**ანდრეს ინიესტა**: *„ალმერიასთან" მატჩი ძალზე დაძაბული იყო, ასეთივე იქნება ყველა დარჩენილი მატჩი ჩვენთვის. როცა აგებ, ყოველთვის უფრო ძნელია, მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ დაგვიკარგავს სიმშვიდე და მიზანს მივაღწიეთ. 8 ქულა ძალზე კარგი ჰანდიკაპია, მაგრამ ახლა „შახტართან" მატჩზე ვფიქრობ, მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებთ, როგორ დავამარცხოთ „რეალი" „ბერნაბეუზე".*

ბუნებრივია, ყველაზე დასამახსოვრებელი ეს საღამო **ტიაგო ალკანტარასთვის** იყო, რომელმაც თინეიჯერობის ბოლო დღეს (მეორე დღეს 20 წლის გახდა) თავით გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონ მაზინიოს ვაჟი ორშაბათს „ბარსა ტვ-ის" პოპულარულ გადაცემა „ელ მარკადორში" მიიწვიეს. ტიაგო ამბობს, რომ მისთვის და მისი თანაგუნდელებისთვის სარეზერვო გუნდიდან, პირველ გუნდში გატარებული დრო საჩუქარივითაა, რომელიც მათ კარგი თამაშისთვის დაიმსახურეს. *„სარეზერვო გუნდის ბიჭები მზად ვართ, ნებისმიერ დროს შევასრულოთ მწვრთნელის მითითებები: „თავური გოლების სპეციალისტი ნამდვილად არ ვარ, ამ ეპიზოდში უფრო გამიმართლა"*, - განაცხადა ბრაზილიური წარმოშობის ესპანელმა.

დაბოლოს, საინტერესო ციფრები „ალმერიასთან" თამაშიდან:

29 მატჩია, რაც „ბარსელონა" ლა ლიგაში არ დამარცხებულა, 11 სექტემბრის შემდეგ არ წაუგია - სამი წაუგებელი ტურიც და „ბარსა" „რეალ სოსიედადის" ისტორიულ მიღწევას გაიმეორებს, რომელიც 1979/80 წლების სეზონით თარიღდება.

ჩემპიონატში „ბარსამ" სულ 3 პენალტი გაიტანა, მანამდე პენალტი დაინიშნა „ოსასუნას" და „რასინგის" კარში.

ტიაგო ალკანტარამ სეზონში მე-2 გოლი გაიტანა, პირველი გოლიც მან „ალმერიას" შეუგდო (ესპანეთის თასზე).

„ბარსელონამ" და „ალმერიამ" ერთმანეთში 4-ჯერ ითამაშეს (2-2ჯერ თასზე და ჩემპიონატზე) ბურთების სხვაობა ასეთია: 19-1.

„ბარსას" ბურთის ფლობის პროცენტი 73-ის ფარგლებში იყო, გუნდმა გააკეთა 678 პასი (200 „ალმერიამ"), ამ მხრივ კვლავ ბადალი არ ჰყავდა **ჩავის** 115 პასიდან 104 ზუსტი იყო!

**დანი ალვეშმა** 14-ჯერ აართვა მეტოქეს ბურთი, მეტჯერ, ვიდრე მოედანზე მყოფმა სხვა ფეხბურთელმა.

„ბარსამ" კარისკენ 18-ჯერ დაარტყა, „ალმერიამ" კი მხოლოდ - სამჯერ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბარსელონა-ალმერია

## ლა ლიგა. XXXI ტური

**სარაგოსა-ხეტაფე 2:1**

**სარაგოსა (4-2-3-1):** დობლასი - დიოგო, დ. სილვა, ლანსარო, ობრადოვიჩი - პონსიო (69. ხორხე ლოპესი), გაბი - ბუტაპარი (85. ლაფიტა), ანდერი (74. ნ'დავი), ბერტოლო - უჩე.

**ხეტაფე (4-4-2):** უსტარი - მ. ტორესი, დიასი, მარკანო, მანე - პ. რიოსი (46. სარდინერო), ბოატენგი, კასკერო (80. არისმენდი), მანუ - მიკუ (68. პარეხო), კოლუნგა.

**გოლები:** 1:0 პონსიო (13), 2:0 ბერტოლო (34), 2:1 კასკერო (45)

**გაფრთხილება:** დობლასი, გაბი - მარკანო, ბოატენგი, კასკერო

**კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 23-12; **თამაშგარე:** 9-3; **კარში დარტყმა:** 11-14 (7-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 27 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 31 | 27 | 3 | 1 | 85-16 | 84 |
| 2. რეალი | 31 | 24 | 4 | 3 | 72-22 | 76 |
| 3. ვალენსია | 31 | 18 | 6 | 7 | 50-35 | 60 |
| 4. ვილიარეალი | 31 | 16 | 6 | 9 | 48-35 | 54 |
| 5. სევილია | 31 | 13 | 7 | 11 | 48-46 | 46 |
| 6. ბილბაო | 31 | 14 | 3 | 14 | 47-45 | 45 |
| 7. ატლეტიკო | 31 | 13 | 6 | 12 | 48-41 | 45 |
| 8. ესპანიოლი | 31 | 14 | 2 | 15 | 38-43 | 44 |
| 9. მალიორკა | 31 | 11 | 6 | 14 | 33-42 | 39 |
| 10. ლევანტე | 31 | 11 | 6 | 14 | 34-41 | 39 |
| 11. სპორტინგი | 31 | 9 | 11 | 11 | 29-35 | 38 |
| 12. რასინგი | 31 | 9 | 10 | 12 | 31-45 | 37 |
| 13. სოსიედადი | 31 | 11 | 2 | 18 | 40-54 | 35 |
| 14. ოსასუნა | 31 | 9 | 8 | 14 | 36-37 | 35 |
| 15. დეპორტივო | 31 | 8 | 11 | 12 | 25-40 | 35 |
| 16. ხეტაფე | 31 | 9 | 7 | 15 | 42-51 | 34 |
| 17. სარაგოსა | 31 | 8 | 9 | 14 | 31-44 | 33 |
| 18. ერკულესი | 31 | 8 | 6 | 17 | 28-48 | 30 |
| 19. მალაგა | 31 | 8 | 6 | 17 | 39-62 | 30 |
| 20. ალმერია | 31 | 5 | 11 | 15 | 32-54 | 26 |

იტალია. სერია A. ტურის მიმოხილვა



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

# მაისში გიხილავთ

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

**მუსლერა** (ლაციო) - **მაიკონი** (ინტერი), **დიასი** (ლაციო), **იეპესი** (მილანი), **რიისე** (რომა) - **კამბიასო** (ინტერი), **ზეედორფი** (მილანი), **პეპე** (იუვენტუსი) - **ლავესი** (ნაპოლი), **ტოტი** (რომა), **პატო** (მილანი).

ტურის სიმბოლური ნაკრები ტრადიციულად შემტევი გამოვიდა. თავდასხმაში **ფრანჩესკო ტოტის, ალეშანდრე პატოს** და **ესეკილ ლავეცის** ვხედავთ. პირველმა დუბლი მიითვალა აქტივში, მეორემ ერთხელ შეარხია მეტოქის კარის ბადე, მესამეს საერთოდ არ გაუტანია, მაგრამ ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა და აშკარად საუკეთესო გახლდათ გუნდში. დიახ, ესეკილ ლავეციმ ლომის წილი დაიდო „ნაპოლის" მორიგ გამარჯვებაში და სრულიად დამსახურებულად მოხვდა რჩეულ ფეხბურთელებს შორის.

დაცვის ხაზში ფლანგებზე **დუგლას მაიკონს** და **არნე რიისეს** ვხედავთ - ნორვეგიელმა საგოლე გადაცემა გაუკეთა ფრანჩესკო ტოტის, რამაც „რომას" სამი ქულა მოუტანა, ბრაზილიელმა კი სულაც თავად შეარხია მეტოქის კარის ბადე და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში. ცენტრში „მილანის" უკანახაზელ **მარიო იეპესს** ვხედავთ, რომელიც მხოლოდ იმიტომ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში, რომ **ალესანდრო ნესტამ** მიიღო ტრავმა და ფლორენციაში ვერ გაემგზავრა. მარიოს „ლაციოს" მცველი **დიასი** უმშვენებს გვერდს, რომელიც საუკეთესო კუთხით წარმოჩინდა „პარმასთან" შეხვედრაში და სიმბოლურშიც ამოყო თავი.

რაც შეეხება ნახევარმცველებს, სამივე მათგანმა გატანილი გოლით დაგვამახსოვრა თავი. **სიმონე პეპემ** „ჯენოას" გაუტანა და მთლიანობაში, საკმაოდ პროდუქტიული იყო; **კლარენს ზეედორფმა** ჩვეულად არიგა ზუსტი გადაცემები და უდირიჟორა „მილანს", რასაც გატანილი გოლიც დაურთო თან; **ესტებან კამბიასომ** „კიევოსთან" შეხვედრაში გახსნა ანგარიში და „ინტერის" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. სიმბოლური ნაკრები ვარსკვლავური გამოდგა, რაც ხშირად ნამდვილად არ ხდება.

## ტურის გმირი

პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ტურის გმირის სტატუსი ფრანჩესკო ტოტის უნდა მივანიჭოთ. და ეს მაშინ, როდესაც „პუპონეს" კრიტიკოსები არ აკლია. ბევრი თვლის, რომ ჩესკო ველარ თამაშობს უწინდებურად და დროა, გზა ახალგაზრდებს დაუთმობს. შესაძლოა, მართლაც უკან მოიტოვა საუკეთესო წლები, მაგრამ გუნდისთვის რომ დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, „უდინეზე"-"რომას" პაექრობამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა. დედაქალაქელთა კაპიტანმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით გახსნა ანგარიში, რასაც **ანტონიო დი ნატალეს** საპასუხო გოლი მოჰყვა. და მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, რომ შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა, ტოტიმ კიდევ ერთხელ გამოიდო თავი და ფრიულელებს მეორე გოლი გაუტანა.

ნამატჩევს, ტოტი ძალიან კმაყოფილი ჩანდა და პრესასთან ნიშნისმოგებით ისაუბრა. კრიტიკოსებს გაჩუმებისკენ მოუწოდა და დასძინა, რომ ისე გრძნობს თავს, როგორც 20 წლის ასაკში. „უდინეზესთან" მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვების შემდეგ, „რომას" ახალმა მფლობელმა **რობერტო დი ბენედეტომ** კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მომავლის გუნდი ტოტის გარშემო უნდა აეწყოს.

## ტურის იმედგაცრუება

ტურის დაბრუნება ტურის იმედგაცრუებად იქცა - თითქმის ერთთვიანი პაუზის შემდეგ, **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** „მილანის" ამუნიცია მოირგო, „ფიორენტინასთან" პაექრობაში კიდევ ერთხელ მიიღო წითელი ბარათი და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია. დიახ, მსაჯის შეურაცხყოფისთვის შვედი ფორვარდი გააძევეს მოედნიდან, რასაც სადისციპლინო კომიტეტის სხდომა და მეტად მძიმე სასჯელი მოჰყვა. არადა, სწორედ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს ზლატანი და გამოდის, რომ ჩემპიონატის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე „მილანს" წამყვანი ფორვარდის გარეშე უწევს ასპარეზობა. საეჭვოა, რომ მილანელებმა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება გაასაჩივრონ, რადგან იბრამ ძალიან შეილახა რეპუტაცია და მისი რეაბილიტირება ნაკლებად სავარაუდოა.

ნამატჩევს, იბრაჰიმოვიჩმა თავის მართლება სცადა - განაცხადა, რომ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა და მსაჯისთვის არ შეუგინებია, თუმცა მისმა სიტყვებმა შედეგი არ გამოიღო. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზლატანზე „მილანის" მესვეურებიც გაბრაზებულნი არიან და მასთან სერიოზულად დალაპარაკებას აპირებენ. გააგდეს თუ არა იბრა მოედნიდან, **ადრიანო გალიანი** მაშინვე ჩავიდა გასახდელში და ამბობენ, რომ იქვე უსაყვედურა თავდახრილ ვარსკვლავს. სწორედ ამის შემდეგ სცადა შვედმა თავის გამართლება, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი მცდელობა ამაო გამოდგა.

>> მე-9 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაისში გიხილავთ

« მე-8 გვერდიდან

## ტურის სასწაული

მიმდინარე სეზონში „პალერმოს" ასპარეზობაზე ერთი კარგი კომედიური ფილმის გადაღებაა შესაძლებელი. ყველას კარგად გვახსოვს სიცილიელთა კოშმარული სერია, როდესაც ყველაფერს აგებდნენ, რისი წაგებაც შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა. „უდინეზესთან" საკუთარ მოედანზე გაშვებული შვიდი უპასუხო ბურთი ცალკე სალაპარაკო თემაა და ამ ამბავზე იტალიაში დღემდე საუბრობენ. არადა, სიცილიელებმა „მილანის" დამარცხება მოახერხეს, გუნდის, რომელიც სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს და თამაშს თამაშზე იგებს. მოკლედ, „პალერმოს" ამოცნობა პრაქტიკულად შეუძლებელია და გასულ ტურში ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა.

„ჩეზენასთან" პაექრობაში კუნძულელები ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ და თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო, როდესაც სტუმრებმა მოახერხეს და მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მასპინძლებს ორი გოლი გაუტანეს. თუმცა, თუ მოხერხებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ეს ალბათ უფრო სიცილიელებზე ითქმის, რადგან როდესაც კაცნაკლული მეტოქე ორბურთიან ფორას ალმოგიფხვრის, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა დააბრალო და შემდეგ, მეტოქის მონდომებას. დიახ, „ჩეზენა" ათი ფეხბურთელით თამაშობდა, როდესაც დიდი ძალებით გადავიდა მეტოქის ნახევარზე და ნამდვილი სასწაული მოახდინა. აქვე აღვნიშნოთ, რომ დაახლოებით ერთთვიანი პაუზის შემდეგ, „პალერმოს" ისევ **დელიო როსიმ** უთავკაცა - ესეც კიდევ ერთი ისტორია კომედიური ფილმისთვის.

## ტურის ფრაზები:

აურელიო დე ლაურენტისი (**ნაპოლის პრეზიდენტი**): *„ნეაპოლი ყველაზე საოცარი ქალაქია მსოფლიოში, მისი მაცხოვრებლები კი იმსახურებენ იმას, რასაც ოცნება, სახელად სკუდეტო ჰქვია".*

ზლატან იბრაჰიმოვიჩი (**მილანი**): *„მსაჯისთვის არ მიმიყენებია შეურაცხყოფა, უბრალოდ, გავბრაზდი და საკუთარ თავს ვაგინებდი".*

ფრანჩესკო ტოტი (**რომა**): *„იმედია, ამ თამაშის შემდეგ მაინც გაჩუმდებიან სკეპტიკოსები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ჩემი დრო წავიდა და გზა ახალგაზრდებს უნდა დავუთმო. თავს ისე ვგრძნობ, როგორც 20 წლის ასაკში".*

**ლაშა ნიკლაური**

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

# ანჩელოტი და ტორესი წნეხის ქვეშ

## თუ ჩელსი გავარდება, აბრამოვიჩი იტალიელ სპეციალისტსაც გაუშვებს და 50 მილიონად ნაყიდი ესპანელი გოლეადორის თავიდან მოშორებასაც ეცდებაო...

ეს არის მეოთხედფინალური ეტაპის ერთადერთი დუელი, სადაც ინტრიგა შემორჩა. იმ დროს, როცა დანარჩენ სამ წყვილში ფაქტობრივად ყველაფერი გარკვეულია და ერთი კვირის წინ განადგურებულ გუნდებს, „ინტერს", „შახტარს" და „ტოტენჰემს" ნახევარფინალში მხოლოდ სასწაული თუ გაიყვანთ, „ჩელსის" ჯერ კიდევ აქვს იმის შანსი, რომ „მანჩესტერის" ბარიერი გადალახოს. თუმცა ლონდონელები ურთულესი ამოცანის წინაშე დგანან, რადგან საკუთარ „სტემფორდ ბრიჯზე" 0:1 დამარცხდნენ და დღეს „ოლდ ტრეფორდზე" მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.

ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი სულაც არ არის ის, რომ „ჩელსიმ" „მანჩესტერში" მოიგოს, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „იუნაიტედს" ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი (თუ უძლიერესი არა) დაცვის ხაზი ჰყავს და თანაც, **სერ ალექს ფერგიუსონის** გუნდს ამ სეზონში საკუთარ მოედანზე არც ერთი თამაში არ წაუგია, ლონდონელთა პერსპექტივა ძალიან ბუნდოვნად მოგვეჩვენება.

მას მერე, რაც „ჩელსი" „მანჩესტერთან" დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის შანსი მაგრად შეუმცირდა, ინგლისურ პრესაში გამუდმებით იწერება, რომ თუ „ლურჯები" მანჩესტერში სასურველი შედეგის მიღწევას ვერ შეძლებენ, **რომან აბრამოვიჩი კარლო ანჩელოტის** გაათავისუფლებს. სხვათა შორის, ჩვენი ინგლისელი კოლეგები „ჩელსიდან" აბარგებას, იანვარში 50 მილიონ ევროდ ნაყიდ **ფერნანდო ტორესსაც** უწინასწარმეტყველებენ.

უკვე სამი თვეა, რაც „ელ ნინიო" „ჩელსის" ღირსებას იცავს და მასში დახარჯული 50-დან, ჯერ ერთი მილიონის საქმეც კი არ გაუკეთებია. შესაბამისად, დღევანდელ შეხვედრაში, ანჩელოტისთან ერთად, ტორესიც უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული. ლონდონში გადასვლამდე, ესპანელ გოლეადორს უმაღლესი კლასის თავდამსხმელის სახელი ჰქონდა, რომელსაც ნელ-ნელა კარგავს. დიდი შანსია, რომ ანჩელოტიმ ტორესი დღეს სათადარიგოთა სკამზე დატოვოს, რადგან **ნიკოლა ანელკა** მასზე გაცილებით უკეთეს ფორმაშია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ინგლისელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ კარლიტო თავდასხმაში **დიდიე დროგბას** სწორედ ანელკას შეუწყვილებს და შესაძლოა, ტორესი მოედანზე არც მეორე ტაიმში შეუშვას.

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

მანჩესტერი (ინგლისი) VS ჩელსი (ინგლისი)

12 აპრილი. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 22:45

პირველი მატჩი 1:0

სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2):** ვან დერ სარი – რაფაელ და სილვა, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა – ვალენსია, ქერიკი, პარკი, გიგზი – რუნი, ერნანდესი.

**ჩელსი (4-4-2):** ჩეხი – ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული – რამირესი, ესიენი, ლემპარდი, მალუდა – ანელკა, დროგბა.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)



კარლო ანჩელოტი (მარჯვნივ) და ფერნანდო ტორესი: დღეს მათთვის საბედისწერო თამაშია

ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, **გრემ ტეილორი** მიიჩნევს, რომ ტორესის უნიათობა მხოლოდ მისი ბრალი არ არის: *„ფერნანდო „ლივერპულში" მთავარი თავდამსხმელი იყო, თანაგუნდელები მხოლოდ მასზე მუშაობდნენ. „ჩელსის" ტაქტიკა კი სხვანაირია, ლონდონური კლუბი ორი ცენტრფორვარდით თამაშობს და თავდამსხმელებს მომენტების შექმნა ხშირად თავისი შრომით უწევთ. ტორესი კი თამაშის ასეთ სტილს მიჩვეული არ არის."*

„უიგანთან" 1:0-ზე მოგებულ შეხვედრაში კარლიტომ **ჯონ ტერი** და **მიკაელ ესიენი** დაასვენა. ხსენებულ მატჩში გამარჯვების გოლი **ფლორენ მალუდამ** გაიტანა, რომელსაც ანჩელოტი დღეს ალბათ სასტარტო შემადგენლობაში გაამწესებს. „მანჩესტერთან" პირველ მატჩში, იტალიელმა სპეციალისტმა, მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ფრანგს **უირკოვი** ამჯობინა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმედები გაუცრუა.

რაც შეეხება „იუნაიტედის" მდგომარეობას: ფერგიუსონს **ფლეტჩერის** (ვირუსი) გარდა ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგაში ძალიან კარგად ასპარეზობენ, ჩვენი ინგლისელი კოლეგების აზრით, ფერგი ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ **დიმიტარ ბერბატოვს** (21 გოლი) და საუკეთესო მეპასე **ნანის** (18 საგოლე გადაცემა) ისევ სათადარიგოთა სკამზე დატოვებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## ამბები

### სენსინი გადადგა




არგენტინული "ნიუელს ოლდ ბოიზის" მთავარი მწვრთნელი **რობერტო სენსინი** დაკავებული თანამდებობიდან გუშინ გადადგა, - გვამცნობს "როიტერი". არგენტინის ნაკრების ყოფილი მცველი როსარიოულ გუნდს სათავეში 2009 წლიდან უდგა. კლუბის ხელმძღვანელობა შეეცადა მწვრთნელს უკვე ნათქვამი წინადადება გადაეთქვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. თავისი გადაწყვეტილება სენსინიმ შემდეგნაირად ახსნა, რომ არგენტინის ჩემპიონატში წარუმატებელი სტარტის შემდეგ ის თავს ველარ ართმევდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. გეტყვით, რომ 9 ტურის შემდეგ 5 ქულით სწორედ "ნიუელს ოლდ ბოიზი" იკავებს ცხრილში ბოლო ადგილს.

### ჩიგრინსკი საფრანგეთში... სამკურნალოდ




დონეცკის "შახტარის" ცენტრალურმა მცველმა **დმიტრო ჩიგრინსკიმ** "ვოლინთან" დაპირისპირებისას მიღებული ტრავმის სამკურნალოდ საფრანგეთს მიაშურა. უკრაინელი ექიმები თავდაპირველად ასეთ მძიმე დაზიანებას არ ვარაუდობდნენ, თუმცა მალე ყველაფერი გაირკვა და ფეხბურთელი ევროპაში სწორედ კლუბის ექიმებთან ერთად გაემგზავრა. კლუბის ვებგვერდის ინფორმაციით, ჩიგრინსკი საფრანგეთში ორი კვირა დარჩება და მკურნალობისა თუ რეაბილიტაციის სრულ კურსს გაივლის. შესაბამისად, "შახტარის" დაცვის ლიდერი "ბარსელონასთან" ლიგის 1/4-ფინალის საპასუხო მატჩს გამოტოვებს.

### ჰიდინკი უარზეა

თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გუუს ჰიდინკი** გამოეხმაურა "აიაქსის" დირექტორატის ყველაზე აქტიური წევრის **იოჰან კრუიფის** შეთავაზებას ჰოლანდიური გრანდის სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმების თაობაზე. დიადმა იოჰანმა გუუსს ხსენებული თანამდებობისთვის ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა უწოდა. ალბათ მოგეხსენებათ, რომ "აიაქსის" თითქმის მთელი ხელმძღვანელობა სწორედ კრუიფთან დაპირისპირების გამო გადადგა. ჰიდინკმა თავდაპირველად დაინტერესება გამოთქვა, თუმცა თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ჰოლანდიელს მოკრძალებულად სთხოვეს, ახალ სამუშაოზე უარი ეთქვა. გაზეთ "ეინდჰოვენ დანგბლადის" ჟურნალისტი ჰიდინკს სტამბულში ამ დღეებში შეეხმიანა და მისგან უკვე საბოლოო უარი მოისმინა. ეს ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ჰიდინკი "აიაქსში" მუშაობას ვერ დაიწყებს.




**ლევან ბიბილაშვილი**

# რევანშისთვის... რეპეტიცია პირველი კლასიკოსთვის

## გვარდიოლამ დონეცკში მეორე გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი წაიყვანა

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

შახტარი (უკრაინა) VS ბარსელონა (ესპანეთი)

12 აპრილი. დონეცკი. დონბას არენა. 22:45

პირველი მატჩი 1:5

სავარაუდო შემადგენლობები

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი – კობინი, რაკიცკი, იშჩენკო, შევჩუკი – მხითარიანი, ჰიუბშმანი – დუგლას კოშტა, ჟადსონი, ვილიანი – ლუის ადრიანო.

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი – დანი ალვეში, პიკე, ბუსკეტსი, ადრიანო – ჩავი, მასკერანო, კეიტა – ვილია, მესი, აფელაი.

**არბიტრი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

ერთი კვირის წინ, დონეცკის „შახტარის" ფეხბურთელები „ნოუ კამპზე" „ბარსელონას" პირველივე წუთებიდანვე რომ ეკვეთნენ და აგრესიული პრესინგით სცადეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდის დაწნეხვა, გაოცებისგან პირი კი დავაღეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ **მირჩა ლუჩესკუს** გუნდმა მეტი ვერაფრით გაგვაოცა, ხოლო საფინალო სასტვენის შემდეგ, ტაბლოზე ისეთი ანგარიში იყო დაფიქსირებული, რომელიც საპასუხო მატჩის წინ, დონეცკურ კლუბს მეოთხედფინალში გასვლის შანსს არ უტოვებს. თანაც, „შახტარს" დღეს ორი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი არ ეყოლება: კაპიტანი **დარიო სრნა** ტრავმირებულია, დაცვის ბურჯი **რაცი** კი – დისკვალიფიცირებული.

საკადრო პრობლემები „ბარსელონასაც" აქვს. მაგალითად, **ბოიან კრკიჩი** დაშავებულია და გუნდს დონეცკში ვერ გაჰყვა. კატალონიაში დარჩა **ანდრეს ინიესტაც**, რომელმაც პირველ შეხვედრაში მეორე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიცირებულია. ბევრი ფიქრობს, რომ ინიესტამ ყვითელი ბარათი და დისკვალიფიკაცია ძალით წამოიკიდა, რათა დონეცკური მატჩი გამოეტოვებინა და ნახევარფინალში „რეალთან" სავარაუდო ჯახს უვნებელი შეხვედროდა.

**პეპ გვარდიოლამ** უკრაინაში მეორე მეკარედ **ოლასაბალი** წაიყვანა, რადგან **პინტუ** ტრავმირებულია. საერთოდ, პეპმა დონეცკში მეორე გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი იახლა: **ფონტასი, ალკანტარა** და **დოს სანტოსი**. მოკლედ,



პირველ მატჩში „შახტარის" განადგურება ინიესტას გოლით დაიწყო. ანდრესი დღევანდელ შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს

„ბარსას" თავკაცს სანერვიულო არაფერი აქვს და გამორიცხული არაა, რომ ძირითადი შემადგენლობა გვარიანად გადაახალისოს - ესპანეთის ჩემპიონატის მომდევნო ტურში „ბარსას" ხომ პირველი „ელ კლასიკო" ელის და ძალების დაზოგვა ნამდვილად არ აწყენდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1. გამოხმაურება

# დუღილის ტემპერატურა

### ტურის მატჩი

ასეთი რამ საფრანგეთის ჩემპიონატში იშვითად ხდება. საგოლე მომენტების მსგავს ფეიერვერკს ალბათ სხვაგანაც იშვიათად შეხვდებით. ყველაფერი ლამის პირველი წუთებიდან მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის ამოწურვამდე გაგრძელდა. ლაპარაკია „ოსერი"-„სენტ ეტიენის" დაპირისპირებაზე. ფრანგმა ჟურნალისტებმა მოსწრებულად დაწერეს, გუნდებმა შუა ხაზის გარეშე ითამაშესო. მოვლენები ხომ ხან ერთ კართან ვითარდებოდა, ხან მეორესთან. პირველი გოლი პირველი ტაიმის შუაწელს გავიდა. სტუმართა თმახუჭუჭა თავდამსხმელმა **ემანუელ რივიერმა დიმიტრი პაიეს** პასით ისარგებლა, სისწრაფის წყალობით ყველას გაასწრო და კარში ლამის ბურთიანად შევიდა. სხვათა შორის, გოლის შემდეგ მას ტრადიციული კულბიტი არ შეუსრულებია. ეს არ იყო უკანასკნელი სარგებელი, რომელიც რივიერმა თავის გუნდს მოუტანა. მეორე ტაიმში მისივე პასით გაიტანა გაბონელმა **პიერ-ემერიკ ობამეიანგმა** რისი წყალობითაც ანგარიში 1:2 გახდა. პასის ავტორისგან განსხვავებით აფრიკელს კულბიტის გაკეთება არ დაზარებია. მასპინძლებმა „სენტ ეტიენის" გამოხდომას მალევე უპასუხეს. კენიელმა **დენის ოლიეჩმა**, თავდამსხმელმა, ვინც გოლებზე და საგოლე პასებზე მეტად ყვითელი ბარათებით გამოირჩევა, ამჯერად თავისი პირდაპირი ფუნქცია გაიხსენა და საჯარიმოსთან მიახლოებულმა მეკარისგან ახლო კუთხეში დაბალი ბურთი გაუშვა. „ოსერს" მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ დასჭირდა ანგარიშის გათანაბრება. **ირენეუშ ელენმა** ბურთიანა შეაღწია საჯარიმოში, სადაც მცველმა მასთან ორთაბრძოლაში შეცდომა დაუშვა. გამოცდილი პოლონელი ისე დაეცა, რომ მთავარ მსაჯს პენალტის დანიშვნის აუცილებლობაში ეჭვი არ შეეტანა. სტანდარტული მდგომარეობა მეორე პოლონელმა **დარიუშ დუდკამ** მშვიდად გამოიყენა. მოკლედ, თამაში ფრედ დამთავრდა და ამით ორივე მხარე უკმაყოფილო დარჩა. თუმცა თუკი მოვლენებს ობიექტური თვალით შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ სწორედ ფრე იყო ყველაზე ლოგიკური შედეგი.

### ტურის გმირი



ტურის საუკეთესო ფეხბურთელი ნოლან რუა

„ბრესტის" 23 წლის თავდამსხმელი **ნოლან რუა** ლიგა 1-ში მხოლოდ პირველ სეზონს ატარებს და ვერ ვიტყვით, რომ განსაკუთრებულად გამოირჩევა. თუმცა 6 გოლი და 1 შედეგიანი გადაცემა გუნდში, რომელსაც ჩემპიონატში სულ 31 გოლი აქვს გატანილი, ცუდი შედეგი არ არის. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წელს თითქმის მას 2 თვე გაუცდა ტრავმის გამო. ნოლანს შარშან შედეგიანობის მხრივ უკეთესი ვითარება ჰქონდა, მაგრამ ეს ლიგა 2-ში ხდებოდა. „რენთან" მატჩის 29-ე წუთზე რუამ ბურთი ცენტრალურ რკალთან ახლოს მიიღო, დაიძრა მეტოქის კარისკენ და დაახლოებით 35-36 მეტრიდან მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში „დააჭედა". ისევ ფრანგი ჟურნალისტების ფრაზას მოვიხმობთ, რომლებმაც დაწერეს, თუკი რუამ ასე თამაში განაგრძო, მომავალ წელს მას „ბრესტში" დატოვებენ თუ არა, საეჭვოაო.

ტრადიციულად აქვე წარმოგიდგენთ ტურის სიმბოლურ ნაკრებს:

**რუფიე** (მონაკო) – **ბალდე** (არლი), **მორელი** (ლორიანი), **სახო** (პსჟ) – **ტულალანი** (ლიონი), **ბრაატენი** (ტულუზი), **შანტომი** (პსჟ), **ლესომიე** (ბრესტი) – **პარკი** (მონაკო), **რუა** (ბრესტი), **რივიერი** (სტ. ეტიენი)

### ტურის მოვლენები

პსჟ-ის ნახევარმცველმა **კლემან შანტომმა** „კაენს" ფანტასტიკური გოლი გაუტანა. რატომ არ ვასახელებთ ტურის გოლად? ალბათ იმიტომ, რომ ამ ბურთმა თავად საფრანგეთში დაუდო სათავე დისკუსიების მთელ წყებას. გულშემატკივართა ნაწილს ეჭვი ეპარება, რომ კლემანს კარში დარტყმა ჰქონოდა განზრახული. მათი მთავარი არგუმენტი დარტყმის მეტისმეტად მახვილი კუთხეა - როგორც წესი, ასეთი გოლები არ გადის ხოლმე. ერთი მხრივ ფაქტია, რომ შანტომი კარისკენ არ იყურებოდა, მეორე მხრივ ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუკი აწოდებდა, მაშინ საჯარიმოში ჩასაწოდებელი არავინ ჰყავდა. მოკლედ, ამ საკითხზე კიდევ დიდხანს შეიძლება დავა.

გარდა ლამაზი გოლებისა, ამ ტურში შეცდომაც მრავლად ვნახეთ. ყველაზე თვალში საცემი ტრავმის შემდეგ მწყობრში დაბრუნებულ **ადილ რამის** შეცდომა იყო - როცა იდეაში ბურთს მეკარეს უბრუნებდა, ისე კი გამოვიდა, რომ **ჩუ იუნგ პარკი მიკაელ ლანდროსთან** ერთი-ერთზე დატოვა. ამ უკანასკნელს ნერვი არ ასტოკებია, ისე გაიტანა. „ლილის" ფანებს ამ ეპიზოდში მსაჯთან აქვთ პრეტენზიები, რადგან მანამდე, ვიდრე რამი ფატალურ შეცდომას დაუშვებდა, საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო „მონაკოს" ფეხბურთელთან, ვინც მისი მიმართულებით გაკეთებული პასის მომენტში აშკარა თამაშგარეში იმყოფებოდა. ეს უკანასკნელი თამაშს არ გამოსთიშვია. ეს სწორედ მან აიძულა რამი, ბურთი მეკარისთვის დაებრუნებინა. „ლილის" გულშემატკივრები ცამდე მართლები არიან, მსაჯის შეცდომა აშკარაა. ამან და მსგავსმა წვრილმანმა შეცდომებმა კი **ჟერვინიო** წონასწორობიდან გამოიყვანა, რის გამოც არბიტრმა **ოლივიე ტუამ** ის მინდვრიდან მიაბრძანა. შედეგად „ლილმა" თამაში წააგო. მოგებული მხოლოდ ნეიტრალური გულშემატკივარი დარჩა, რადგან ახლა ლიგა 1-ის ინტრიგა ლამის გაორმაგებულია.

განსაკუთრებულ მოვლენებში შეიძლება გავიყვანოთ ასევე „არლის" გასვლითი ფრე „ბორდოსთან". მატჩის შემდეგ ჟირონდელთა თავკაცი **ჟან ტიგანა** გაოგნებული ესაუბრებოდა ჟურნალისტებს: *„ვერ გეტყვით, რომ ჩვენთვის ეს ყველაზე ცუდი მატჩი იყო მიმდინარე სეზონში. თუმცა ძალიან ცუდად რომ ვითამაშეთ, ფაქტია. ცუდი ტენდენციაა, რომ 3 ქულის აღება უკვე შინაც გვიჭირს. სუსტად გამოიყურებოდა ჩემი გუნდის თითოეული რგოლი. თუმცა დანებებას არავინ აპირებს, მათ შორის არც მე. მშვენივრად გვესმის, რომ შექმნილი პრობლემები ყველას საერთო ძალისხმევით თუ გადაიჭრება. ჩვენზე გარკვეულწილად უარყოფითად მოქმედებს ის, რომ საკუთარ ძალებში ეჭვი გვეპარება. ერთადერთი გამოსავალი თავაუღებელი მუშაობაა".*

### ტურის გოლი

კლემან შანტომის გოლს აქ აღარ დავუბრუნდებით და პირდაპირ აღვწერთ ბურთს, რომლის გატანის დროსაც მისი ავტორის წინასწარ განზრახვაში ეჭვი არავის შეჰპარვია. **ჟეფრი დერნისმა** წლეულს პირველი გოლი გაიტანა, მაგრამ გაიტანა მისთვის ჩვეული მანერით - თანაგუნდელისგან რამდენიმე მეტოქეს შორის პასი მიიღო. იოლად მოატყუა ერთი მეტოქე, თავად საპირისპირო მიმართულებით გაიქცა და ძალზე მახვილი კუთხიდან მეკარეს ფეხებს შუა გაუტანა.

### ტურის ციფრები

„ნანსის" ზუსტად 406 წუთი იყო გოლი არ ჰქონდა გაშვებული. ეს სერია ვალანსიენელმა **გრეგორი პუჟოლმა** შეწყვიტა.

„ლილის" შემადგენლობაში წელს პირველი ფეხბურთელი გააძევეს.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ქართული სპორტი

მკლავჭიდი საქართველოს ჩემპიონატი



ალექსანდრე კოტრიკაძის ფოტო

# ლუდი, მკლავჭიდი და დაფასება

*„ივენთ ჰოლში"* ტევა არ იყო. გულშემატკივრები ომახიანი შეძახილებით ამხნევებდნენ მკლავჭიდში ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებს. სპორტსმენებმაც იმედები არ გაუცრუეს ქომაგებს - პირთამდე სავსე დარბაზმა საინტერესო ორთაბრძოლები იხილა. ასპარეზობის მონაწილეთაგან განსაკუთრებით შარშანდელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ხობელი **გენადი კვიკვინია** გვინდა გამოვარჩიოთ, რომელმაც სამი ოქროს მედალი მოიპოვა: მარჯვენა ხელით ქუთაისელ **ლევან მონოლიძეს** აჯობა, ცაციათი თბილისელი **ვახტანგ ვახტანგიშვილი** დაჯაბნა, აბსოლუტურ წონით კატეგორიაშიც ვერავინ დაუდგა წინ.

100 კილოში ყველაზე დაძაბული გამოდგა ფინალური ორთაბრძოლები. მარცხენათი ევროპის შარშანდელმა პრიზიორმა **ვასილ დაუთაშვილმა რაჩო გახარია** (ორივე-თბილისი) დაამარცხა, რომელმაც რევანში მარჯვენა ხელით აიღო.

მსგავსი სიტუაცია შეიქმნა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში: ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ხობელმა **ვილენ გაბრავამ** მარჯვენა ხელით დაძაბულ პაექრობაში 2:1 მოუგო საქართველოს შვიდგზის ჩემპიონ **ლაშა კახელაშვილს** (თბილისი). ამ უკანასკნელმა მარცხენა ხელით ორთაბრძოლაში სძლია გაბრავას და მერვედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

სულ რვა წონით კატეგორიაში 250-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ შორის 17 მკლავჭიდელი ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებიდან ჩამოვიდა.

- წლევანდელი ჩემპიონატი მოასპარეზეთა რაოდენობითა და ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც გამოირჩევა, - გვითხრა მკლავჭიდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ერეკლე გურჩიანმა**. - არც არის გასაკვირი, რადგან ეს ევროპის ჩემპიონატისთვის, ფაქტობრივად, სალიცენზიო შეჯიბრებაა. აქ გამარჯვებულები 9-15 მაისს თურქეთში კონტინენტის პირველობაზე გამოვლენ.

ბოლო დროს ჩვენს ფედერაციას დიდ ყურადღებას აქცევს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. დასტურად ისიც გამოდგება, რომ დღევანდელ ჩემპიონატს ესწრებიან სპორტის მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** და მინისტრის მოადგილეები - **დავით ნამგალაური** და **გია გალდავა**. გვყავს გენერალური სპონსორი „ნატახტარი-ექსტრა", რომელმაც ამ ტურნირისთვის უამრავი თასი და ფასიანი საჩუქარი შეგვიძინა. ახალგაზრდები ასეთ ყურადღებას რომ ხედავენ, მეტი ენთუზიაზმით მოდიან ჩვენთან სავარჯიშოდ. საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში მკლავჭიდის გეოგრაფია. შეჯიბრებაზე მესხეთ-ჯავახეთის წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ. კარგი ბიჭები ჰყავთ, მაგრამ ჯერ გამოცდილება აკლიათ. რეგიონებშიც ადგილობრივი თვითმმართველობის თავკაცები მეტ ყურადღებას აქცევენ მკლავჭიდელებს. ტურნირებზე იმატა ქომაგთა რაოდენობამ. ყოველივე ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობას გვმატებს. შარშან რუსეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ოთხი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი მოვიპოვეთ. წლეულს ვეცდებით, მონაგარი გავაუმჯობესოთ.

ლადო ვარძელაშვილი, სპორტის მინისტრი: *„მკლავჭიდში მდიდარი ტრადიციები გვაქვს. უამრავი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი გვყავს. ფედერაციის ხელმძღვანელად ერეკლე გურჩიანის მოსვლის შემდეგ ამ სახეობაში მომეცადინეთა რიცხვმა იმატა. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ეროვნულ ჩემპიონატში 250-მდე სპორტსმენი ასპარეზობს, „ივენთ ჰოლი" კი გულშემატკივრებს ვერ იტევს. მკლავჭიდს მომავალშიც არ მოაკლდება ჩვენგან ყურადღება, ეროვნულ ჩემპიონატს კი გაისად სპორტის სასახლეში ჩავატარებთ"...*

აქვე გაუწყებთ ჩემპიონატში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

**60 კგ. მარჯვენა.** 1. ვილენ გაბრავა (ხობი), 2. ლაშა კახელაშვილი, 3. გიორგი ფურცელაძე (ორივე-თბილისი); **მარცხენა.** 1. ლაშა კახელაშვილი (თბილისი), 2. ვილენ გაბრავა (ხობი), 3. გიორგი როსტომაშვილი (თბილისი);

**65 კგ. მარჯვენა.** 1. რევაზ გოგიაშვილი (ყვარელი), 2. ნიკა წერეთელი (თბილისი), 3. ნიკა მაღლაფერიძე (ქუთაისი); **მარცხენა.** 1. გიორგი ჯუღელი (თბილისი), 2. რევაზ გოგიაშვილი (ყვარელი), 3. ომარ კვარაცხელია (თბილისი).

**70 კგ. მარჯვენა.** 1. ალექსანდრე აბუთიძე (ქუთაისი), 2. მალხაზ ხვედელიძე, 3. გიორგი ასუმბანი (ორივე-თბილისი); **მარცხენა.** 1. მალხაზ ხვედელიძე, 2. გიორგი ასუმბანი, 3. იაროსლავ ფალიანი (ყველა-თბილისი).

**80 კგ. მარჯვენა.** 1. გიორგი თვალიაშვილი, 2. გიორგი ალბუთაშვილი, 3. გიორგი დემეტრაშვილი (ყველა-თბილისი); **მარცხენა.** 1. გიორგი ალბუთაშვილი, 2. ვახტანგ ბერიძე, 3. ილია კვანჭიანი (ყველა-თბილისი).

**90 კგ. მარჯვენა.** 1. ირაკლი გამთენაძე (ქუთაისი), 2. ლევან ბერძენიშვილი, 3. არჩილ თევდორაძე (ორივე-თბილისი); **მარცხენა.** 1. ირაკლი გამთენიძე (ქუთაისი), 2. ლევან ბერძენიშვილი, 3. პეტრე წიქარიძე (ორივე-თბილისი).

**100 კგ. მარჯვენა.** 1. რაჩო გახარია, 2. ვასილ დაუთაშვილი, 3. ლადო ხუციშვილი (ყველა-თბილისი); **მარცხენა.** 1. ვასილ დაუთაშვილი, 2. რაჩო გახარია, 3. ლევან საგინაშვილი (ყველა-თბილისი).

**მძიმე წონა. მარჯვენა.** 1. გენადი კვიკვინია (ხობი), 2. ლევან მოწონელიძე (ქუთაისი), 3. ლაშა გუგეშაშვილი (თბილისი); **მარცხენა.** 1. გენადი კვიკვინია (ხობი), 2. ვახტანგ ვახტანგიშვილი (თბილისი), 3. ლევან მოწონელიძე (ქუთაისი).

**აბსოლუტური.** გენადი კვიკვინია.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# ლიდერი უდანაკარგოა

გუშინ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი დაიწყო. მატჩები კვლავ გლდანში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპორტკომპლექსში იმართება.

ყველაზე დაძაბული "ბათუმსა" და თსუ-ს შორის გამართული შეხვედრა გამოდგა, რომელიც აჭარელთა გამარჯვებით, 27:24 დასრულდა. ჩემპიონატში უკონკურსოდ მოასპარეზე აზერბაიჯანის ნაკრებმა "ქუთაისს" 33:28 სძლია, ხოლო ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა, აგრარული უნივერსიტეტის "თბილისმა" ასევე დედაქალაქური "ქარიშხალა" სოლიდური ანგარიშით, 46:29 დაამარცხა.

მეოთხე ეტაპი კიდევ ოთხ დღეს გასტანს, მატჩები 14 საათიდან დაიწყება. ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი გლდანში გაიმართება და ჩემპიონ-პრიზიორები პლეი ოფის გარეშე, წრიული სისტემით გამოვლინდებიან. ჩემპიონის ვინაობის გამოცნობა კი ძნელი ნამდვილად არაა – "თბილისს", რომელიც უდანაკარგოდ ასპარეზობს, მორიგ ოქრომდე ბევრი არაფერი უკლია.

**საძლეისო სატურნირო მდგომარეობა ასეთია**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სსაუ/თბილისი | 16 | 16 | 0 | 0 | 32 |
| 2. ქუთაისი | 16 | 9 | 0 | 7 | 18 |
| 3. ბათუმი | 16 | 5 | 3 | 8 | 13 |
| 4. თსუ | 16 | 5 | 2 | 9 | 12 |
| 5. ქარიშხალა | 16 | 6 | 0 | 10 | 12 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

### დაჯილდოება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ დაბადებიდან 65 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სამინისტროს საპატიო სიგელით დააჯილდოვა სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი **იოსებ ბეჟაშვილი.**

*იოსებ ბეჟაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის ისნის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, ეროვნული სტადიონის დირექტორის მოადგილედ, საქართველოს სპორტკომიტეტის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საორგანიზაციო სამმართველოს უფროსად.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო. ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში

# გოგოების დროც დადგა

14-18 აპრილს პრაღაში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა შორის, რომელშიც ამჯერად საქართველოდან არა მარტო ბიჭები, არამედ გოგოებიც გამოვლენ. ჩვენმა გოგოებმა შარშან თბილისში გამართულ მსოფლიოს ანალოგიურ ჩემპიონატში კი იჭიდავეს, მაგრამ უცხოეთში პირველად იასპარეზებენ. მაშინ ახალგაზრდებში **ნინო ოძელაშვილი** (72) მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა და პირველი ქართველია, ვინაც საჭიდაო სახეობებში ეგზომ მაღალი რანგის ტიტული მოიპოვა. ახალგაზრდებში **დარინა აბულაძე** (48) და **შორენა შარაძე** (64) ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ, 16-წლამდელებში ასეთივე წარმატებას **ცირა აბულაძემ** (48) მიაღწია. ამათგან დარინა აბულაძე და შარაძე პრაღაშიც იჭიდავებენ. რაც შეეხება ოძელაშვილს, ასაკის გამო ის უკვე უფროსებში გადავიდა.

ვაჟთა ტურნირში ახალგაზრდებში საქართველოს ნაკრების ღირსებას **ლევან ბერბერაშვილი** (48), **გივი ნადარეიშვილი** (52), **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (56), **ივანე გოგიაშვილი** (62), **ზვიად კაპანაძე** (68), **გიორგი პაპუნაშვილი** (74), **ზაზა ზურაბიანი** (82), **გიორგი ნოზაძე** (90), **მიხეილ ნარიმანიძე** (100), **სლავა რეზესიძე** (+100) დაიცავენ. როგორც ვხედავთ, თაობათა ცვლის პროცესის გამო ნაკრები საგრძნობლად გადახალისებულია. შარშანდელი შემადგენლობიდან, ვინაც თბილისში მედალი მოიპოვა, ნაკრებში ისევ რჩება ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ნადარეიშვილი, რომელმაც წლეულს 52-ში აინაცვლა. ასევე - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის ევროპის ვერცხლის მედალოსანი კაპანაძე, რამდენიმე მონაწილე კი ჭაბუკთა ნაკრებიდანაა გადმოსული. მათ შორის, დმანისელი რეზესიძე, რომელიც იქ ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. რაც შეეხება ნოზაძეს, ის ძიუდოში ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია.

ჭაბუკთა შორის **დავით გუჯეჯიანი** (48), **ვარლამ შალიკაშვილი** (52), **თორნიკე მუზიაშვილი** (56), **ლუკა ჯაში** (60), **ბექა ტულუში** (65), **მიხეილ მეზურნიშვილი** (70), **თამაზ ზურაბიშვილი** (75), **რევაზ ნულუკიძე** (81), **ალექსანდრე მილდიანი** (87), **კობა ეგუტიძე** (+87). საკადრო ცვლილებები ამ ნაკრებშიც საგრძნობია - უმეტესობა ახალგაზრდებში გადავიდა. შარშანდელი მსოფლიოს მედალოსნებიდან აქ მხოლოდ მილდიანი შემორჩა, რომელმაც თბილისში მსოფლიოს ბრინჯაო მოიპოვა. დანარჩენებიდან ჭიდაობის ქომაგთათვის კარგადაა ნაცნობი ბექა ტულუში ძიუდოდან, რომელიც მათ ევროპის პრიზიორი გახდა.

ჩვენი გუნდები ზეგ, გამთენისას გაფრინდება პრაღაში, ჩემპიონატი კი 15-ში აიღებს სტარტს.

## 12-16 მაისს სოფიაში

თითქმის სრულად გაირკვა ევროპის ჩემპიონატზე მოასპარეზე ვაჟთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობა. ეს პირველობა 12-16 მაისს სოფიაში გაიმართება, ჩვენი ნაკრების თავკაც **ოლეგ იაძის** გადაწყვეტილებით კი იქ **დიმიტრი მულაძე** (52), **უშანგი კუზანაშვილი** (57), **დავით სვიმონიშვილი** (62), **ზურაბ ნოზაძე** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100) და **ვახტანგ ზოიძე** (+100) იჭიდავებენ. ჯერჯერობით ღიად რჩება ლიდერის საკითხი 68 კილოგრამში, სადაც კანდიდატებად **ლევან ნახუცრიშვილი** და **ბექა იმერლიშვილი** რჩებიან. აქ საკითხის გადაწყვეტას ნახუცრიშვილის ხელის ტრავმა აფერხებს - მწვრთნელები შანსს ჯერ კიდევ აძლევენ, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს და სოფიაში იმერლიშვილი წავა. მწვრთნელთა სიმპათიებიც მისკენ იხრება, რადგან წარმატებით იჭიდავა მაიკოპში **აშოტ მარქარიანის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში და მინსკსა და ურალსკში გამართულ „პრეზიდენტის თასზე". უბრალოდ, ისინი ნახუცრიშვილის გამოჯანმრთელებას იმიტომ ელოდებიან, რომ მასაც მისცენ თავის გამოჩენის შანსი და გული არ დასწყდეს, თორემ იმერლიშვილის მომზადების დონე სავსებით აკმაყოფილებთ. ამჯერად ნაკრებში ვერ მოხვდა დღევანდელ ქართველ სპორტსმენთა შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ათლეტი **ნესტორ ხერგიანი** (62), რომელიც სამბოში ევროპის მოქმედი ჩემპიონია, ძიუდოში კი ორჯერ მოუპოვებია იგივე ტიტული, თუმცა იქ მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონიცაა. საერთო შეთანხმებით გადაწყდა, რომ ამჯერად ევროპას სვიმონიშვილი იჭიდავებს, ხერგიანი კი მსოფლიოზე წავა. შარშან პირიქით იყო - ასევე შეთანხმებით (რაც სპორტული ურთიერთობის ცოტა უცნაური ფორმა ჩანს - ნაკრების ლიდერობა კონკურენციამ უნდა გადაწყვიტოს და არა შეთანხმებამ) ევროპაზე ხერგიანი გამოვიდა, სვიმონიშვილი კი მსოფლიოზე წავიდა.

**ირაკლი თავაძე**

სამთო თხილამურობა

# გამარჯვებულები ალბერტო ტომბამ დააჯილდოვა



ალბერტო ტომბა გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან

გუდაურში სამთო-სათხილამურო სპორტში საქართველოს თასის გათამაშების ბოლო ეტაპის ორი დღე **სუხიას** და **ვატო ფიფიას** სახელობის თასების გათამაშებას დაეთმო სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში. გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოში სტუმრად მყოფმა ლეგენდარულმა მოთხილამურე **ალბერტო ტომბამ** და სპორტის მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** დააჯილდოვეს.

**სუპერგიგანტი. 1995 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი. გოგონები.** 1. ნინო ნიკლაური (გუდაური), 2. სუსანა გავა, 3. ნატაშა გავა (ორივე-ბაკურიანი). **ვაჟები.** 1. კოტე ვახტანგიშვილი (ბაკურიანი), 2. ალექსი ბენიაიძე (გუდაური), 3. დავით თედიაშვილი (ბაკურიანი). **1996-1997 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ანასტასია კვირიკაძე, 2. ნუცა ხურცილავა (ორივე-გუდაური), 3. თამუნა ბენიაიძე (თბილისი). **ვაჟები.** 1. შოთა ნათაძე (გუდაური), 2. ნოდარ ჩუბკო (ბაკურიანი), 3. გალო ჯაფარიძე (გუდაური). **1998-1999 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ანა გორდეზიანი (გუდაური), 2. მარიამ ჭკადუა (მესტია), 3. ანა ოგბაიძე (თბილისი). **ვაჟები.** 1. ნიკოლოზ ცაგარელი (გუდაური), 2. ბესო ჯაფარიძე (მესტია), 3. ვალიკო მარსაგიშვილი (გუდაური).

**გიგანტური სლალომი. 1995 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი. გოგონები.** 1. ნინო ნიკლაური (გუდაური), 2. სუსანა გავა (ბაკურიანი), 3. თამუნა ჯალმაიძე (გუდაური). **ვაჟები.** 1. კოტე ვახტანგიშვილი, 2. ნიკოლოზ კოზანაშვილი, 3. კახა კურტანიძე (სამივე-ბაკურიანი). **1996-1997 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. ანასტასია კვირიკაძე, 2. ნუცა ხურცილავა (ორივე-გუდაური), 3 თამუნა ბენიაიძე (თბილისი). **ვაჟები.** 1. შოთა ნათაძე (გუდაური), 2. ნოდარ ჩუბკო, 3. სოსლან ბაკაევი (ორივე-ბაკურიანი). **1998-1999 წლებში დაბადებულნი. გოგონები.** 1. სალომე კვიციანი, 2. მარიამ ჭკადუა (ორივე-მესტია), 3. ანა გორდეზიანი (გუდაური). **ვაჟები.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი), 2. ნიკოლოზ ცაგარელი, 3. ვალიკო მარსაგიშვილი (ორივე-გუდაური).

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ჩოგბურთი

# ასეული ახლოა



დიდი ხანია, ქართველი ასე ახლოს არ ყოფილა მსოფლიოს საუკეთესო ასეულთან - გუშინ განახლებულ რეიტინგ-ლისტში 21 წლის **ანა ტატიშვილი** 634 ქულით 109-ე ჩოგანია. ვინც ჩვენი პროგნოზი წაიკითხა, მიხვდება, რომ მხოლოდ ერთი ადგილით შევცდით ვარაუდში. ჩვენს თანამემამულეს სხვა მონაცემებიც სერიოზული აქვს, წყვილთა თანრიგში ის 132-ეა, ხოლო წლის რბოლაში 67-ე. ანამ კარიერაში 246 ათასი დოლარი იშოვა, აქედან 2011 წელზე 36,3 ათასი მოდის.

მოკლედ, ჩვენ სწორება (ჯერ) 100-ეულზე გვაქვს. მე-100 ჩოგანი ახლა ჰოლანდიელი **არანჩა რუსია**, ანას თანატოლს 663 ქულა აქვს. უხეშად რომ ვთქვათ, ტატიშვილს ასეულამდე სულ რაღაც 30 ქულა აშორებს, ეს კი ერთ პრესტიჟულ ტურნირში მე-2 წრეში გასვლის ტოლფასია. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტატიშვილმა შარშან ამ დროს მიღებული ქულები უნდა დაიცვას. მომავალ ორშაბათს მას შარშანდელი ჩარლსტონის ტურნირის 12 ქულა დააკლდება, მაისის მეორე ნახევრამდე ამით ამოიწურება სერიოზული დანაკლისი. ასე რომ, თუკი იმ დრომდე ტატიშვილი ერთხელაც გაიბრწყინებს რომელიმე ტურნირზე, საფრანგეთის ღია პირველობას ის ტოპ-100-ში შეხვდება.

სხვა ქართველები რეიტინგში, ქალები: 189 (-1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 310 ქულა; 235 (-1) **მაკა ჩახნაშვილი** - 231; 287 (-3) **სოფიო შაფათავა** - 182; 301 (-2) **თათია მიქაძე** - 168; 416 (-7) **სოფიო ქვაცაბაია** - 92; 497 (+54) **ეკა გორგოძე** - 66; 624 (-2) **მანანა შაფაქიძე** - 40. ვაჟები: 679 (+25) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 25; 834 (+4) **ლადო ჩიხლაძე** - 13. როგორც ხედავთ, გორგოძეს ანთალიის ტურნირის მოგება დაუფასდა და 54 საფეხურით წაიწია რეიტინგში.

ამერიკაში, ოსპრეის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) გამოჩნდა 25 წლის **სალომე დევიძე**. პირველ საკვალიფიკაციო წრეში საქართველოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა 18 წლის ამერიკელ **შელბი ტელკოტს** მოუგო - 6:3, 7:6 (11). მეორე წრეში ის ბრაზილიელ **კრისტინა გონსალესს** (536) ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ლიდერებს მიუახლოვდა

ვეტერანმოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც იტალიური კურმაიერი მასპინძლობს, გუშინ მე-6 ტურის პარტიები გათამაშდა. წინა ტურისგან განსხვავებით, წარმატებით ითამაშეს ქართველმა დიდოსტატებმა. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ნონა გაფრინდაშვილმა** შავი ფიგურებით იტალიელი **ჯოვანი იუდიკელო** დაამარცხა, **თამარ ხმიადაშვილმა** კი ასევე მასპინძელ **ჯუზეპე ლაკოს** სძლია. საგულისხმოა, რომ გაფრინდაშვილი მეწინავე ვაჟთა ექვსეულს ნახევარი ქულით ჩამორჩება, სამაგიეროდ, 4,5 ქულით ქალთა ტურნირს ლიდერობს, რადგან სწრაფ ჭადრაკში რუსმა ევროპის ჩემპიონმა **გალინა სტრუტინსკაიამ** ფრანგ **ვლადიმირ ოხოტნიკთან** წააგო და 4 ქულით ხმიადაშვილთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. ცნობილმა რუსმა დიდოსტატმა **ელენა ფატალიბეკოვამ** მხოლოდ 3,5 ქულას მოუყარა თავი.



გუშინ ლიდერები - **მიშო ცებალო** (ხორვატია) და **ალგიმანტას ბუტნორიუსი** (ლიტვა) ყაიმზე შეთანხმდნენ. ამ ზავით ისარგებლეს **მიჰაი შუბამ** (რუმინეთი), ოხოტნიკმა, **ვიქტორ კუპრეიჩიკმა** (ბელარუსი) და **მარკ ცეიტლინმა** (ისრაელი), რომლებიც მეწინავეებს წამოეწივნენ. ახლა ექვსივე მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: ცეიტლინი-ცებალო, შუბა-ოხოტნიკი, ბუტნორიუსი-კუპრეიჩიკი, გაფრინდაშვილი-**კლემენს ვერნერი** (გერმანია), **პეტერ ჰოპლერი** (შვეიცარია)-ხმიადაშვილი. სტრუტინსკაია იგორ სინელნიკოვს (რუსეთი) შეხვდება, ფატალიბეკოვა შავი ფიგურებით თანამემამულე სვეტლანა მიედნიკოვას დაუპირისპირდება.

ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**



13th Dubai Open Chess Championship

## 26 უდანაკარგოდ

დუბაის საერთაშორისო ტურნირზე, როგორც გაუწყეთ, საქართველოს 6 წარმომადგენელი ცდის ძალებს. წილისყრამ გუშინ მე-2 ტურში **სოფიკო ხუხაშვილი** და **მიხეილ მჭედლიშვილი** შეახვედრა ერთმანეთს. 34-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ შავების მუდმივი ქიშის გამო. სამაგიეროდ, **ლევან ფანცულაიამ** ირანელ დიდოსტატ ქალბატონს - **ათუშა პურკაშიანს** აჯობა, **მერაბ გაგუნაშვილმა** **ხოსლა შოვენს** (ინდოეთი) მოუგო, **დავით არუთინიანი** **ადითია უდეშის** (ინდოეთი) დაუზავდა, **დავით ზარქუა** კი უნგრელ **ჩაბა ბალოგთან** დამარცხდა.

ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 26 მოჭადრაკე მეწინავეობს. მესამე ტურში ჩვენები მეტოქეებს ასე დაუწყვილდნენ: კარენ გრიგორიანი-ლევან ფანცულაია, მერაბ გაგუნაშვილი-ლაქსმანი, მიხეილ მჭედლიშვილი-ჯონათან კარლსტედი, სოფიკო ხუხაშვილი-ამინ ბასემი, დავით არუთინიანი-ორხან აბდულოვი, დავით ზარქუა-რომანი სალახი.

**ვაჟა დანელია**

ეტლების ენდშპილი

 რ. თავარიანი, 1978



1. მფd6 ეa5 2. g5+ ეxg5 3. gxf7 1:0

ტყვიის სროლა. მსოფლიოს თასი

# ქადაგიძე კორეას ვერ შეეწყო

ტყვიის მსროლელი **ლევან ქადაგიძე** თავის შესაძლებლობებზე სუსტად გამოდის კორეულ ჩანჯოუში მიმდინარე მსოფლიოს თასზე. გუშინ მან პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში იასპარეზა, 562 ქულა დააგროვა, საკუთარ რეკორდს გვარიანად ჩამორჩა და ასპარეზობა 63-ე ადგილზე დაასრულა. მან ყველაზე უკეთ მეორე სერიაში ისროლა - 96 ქულა დააგროვა, სხვებში კი მისი შედეგები 93, 91, 92 და ორჯერაც 95 ქულაა. შეგახსენებთ, რომ ის სპორტული პისტოლეტიდან სროლაში 58-ე იყო.

პნევმატური იარაღიდან სროლა სერბმა **ანდრია ზლატიჩმა** მოიგო 688.9 ქულით. ვერცხლი 688.1-იანმა კორეელმა **დაემუუნინგ ლიმ** მოიპოვა, ბრინჯაო - უკრაინელმა **ოლეგ ომელჩუკმა** 687.9-ით.

დღეს ჩანჯოუში ჩვენი ლიდერი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძეც** იასპარეზებს - ისიც პნევმატურიდან ისვრის.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ

## ტაბუ იმუქრება...



საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა საბოლოოდ დაადგინეს ნაკრების მოსამზადებელი გეგმა და იგი ეროვნული გუნდის ყველა წევრს გაუგზავნეს. პროგრამა **მანუჩარ მარკოიშვილმაც** მიიღო, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მისი საქმე არა გეგმის შეფასება, არამედ კარგად მომზადებაა. თუმცა, ჯერ მასაც და ნაკრების სხვა წევრებსაც სხვა საქმე აქვთ - კლუბებთან ერთად ცდილობენ სეზონის წარმატებით ჩამთავრებას.

მარკოიშვილის „კანტუ" იტალიის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და რეგულარული ეტაპის ბოლომდე ამ პოზიციის შენარჩუნებისთვის იბრძვის, რათა პლეი ოფში „მილანთან" (მესამე პოზიციაზეა) შეხვედრის შემთხვევაში მოედნის უპირატესობა „კანტუს" მხარეს იყოს.

მანუჩარს იტალიაში დავუკავშირდით, ნაკრებზეც ვკითხეთ, თუმცა საუბარი იტალიური ამბებით დავიწყეთ.

**- მიმდინარე სეზონში „კანტუ" იტალიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გუნდია...**

- წინა სეზონთან შედარებით უკეთესი შედეგი გვაქვს. თუმცა, ჯერ რეგულარული ეტაპი არ დასრულებულა და კიდევ უნდა მოვუმატოთ.

**- რისი „ბრალია" შედეგების გაუმჯობესება?**

- გუნდის წარმატებები 99 პროცენტით მწვრთნელის, ანდრეა ტრინჩიერის დამსახურებაა. გადავხედოთ „კანტუს" შემადგენლობას: აქამდე არც ერთ კალათბურთელს ამაზე უკეთესი სეზონი არ ჰქონია. შემადგენლობაში ვარსკვლავები არ გვყავს, მაგრამ გუნდური თამაშის ხარჯზე ჩვენი გუნდი უკვე ანგარიშგასაწევი ძალაა. ტრინჩიერი „კანტუს" მეორე სეზონია წვრთნის და იცის, რასაც აკეთებს - ისეთი კალათბურთელები ჰყავს შერჩეული, რომლებიც მის სტრატეგიაში კარგად ჯდებიან.

**- ბოლო ტურში „ბრინდისის" სტუმრად სძლიეთ. პარალელურად ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსმა" მილანში „არმანის" წინააღმდეგ ითამაშა...**

- ჩვენც გვინდოდა სანიკიძის გუნდის მილანში გამარჯვება, მაგრამ „არმანი" იმ კლუბების კატეგორიას არ განეკუთვნება, შინ რამე იოლად დათმოს. ასეა თუ ისე, სხვის იმედად არ ვართ - ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ...

**- მალე მილანში „კანტუც" ჩავა...**

- რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 5 ტურია დარჩენილი და ბევრი რამ გასარკვევია. თუმცა, „არმანისთან" გამარჯვებისთვის შემართულები გავალთ. მანამდე კი „ბიელასთან" თამაში გველის და ჯერ მასზე ვფიქრობთ.

**- „კანტუ" იტალიის პირველობაზე მეორე ადგილზეა. გუნდის უფროსობა რა მიზნებს გისახავთ, ევროლიგის საგზურის მოპოვებას ხომ არ გთხოვთ?**

- მოვლენების გასწრება და ევროლიგაზე ლაპარაკი აბსურდია. კაცმა, რამდენჯერაც უნდა თქვას - NBA-ში ვითამაშებო, მხოლოდ სიტყვები საქმეს ვერ უშველის. რეალურად რომ ვიმსჯელოთ, „კანტუს" სადღეისოდ ევროლიგის შესაბამისი არც შემადგენლობა ჰყავს და არც ბიუჯეტი... ვმუშაობთ, ვიბრძვით და რა გამოგვივა, სეზონის ბოლოს ვნახავთ.

**- ზამთარში ცერი გქონდა მოტეხილი. ტრავმა სრულად მოიშუშე?**

- არ მინდა წუწუნში ჩამეთვალოს, მაგრამ ახლაც გამაყუჩებლებით ვთამაშობ. ანთებითი პროცესი ჩამქრალი არ არის და ტკივილი მაწუხებს. დასვენება და მკურნალობაა საჭირო, რასაც მხოლოდ ზაფხულში თუ შევძლებ.

**- რამ გამოიწვია გართულება?**

- ტრავმა დეკემბერში მივიღე და 6 კვირა დავისვენე. ტკივილმაც მეტ-ნაკლებად გამიარა და, თითქოს, ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ 16 მარტს ფეხი ცუდად დავდგი და ტრავმა გამიმიზეზდა. თითქმის ერთი თვეა, ცერი ისევ მაწუხებს.

**- სანაკრებო თემაზეც გკითხავ. კალათბურთის ფედერაციამ მოსამზადებელი ციკლის გეგმა დაადგინა.**

- ვისაც მოსამზადებელი პროგრამის შედგენა ევალებოდა, ყველაფერი კარგად გააკეთა. ჩემი საქმე კი, სათანადოდ მომზადებაა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

**- იტალიის ჩემპიონატში ბევრი ბელგიელი შეიკრიბა. მათ შორის ერთი „კანტუში" თამაშობს...**

- ბელგიელ კალათბურთელებს ვიცნობ და მათთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მაგრამ მოედანზე ყოველივე ამას დავივიწყებ, ისევე როგორც ბელგიელები... ჩემი თანაგუნდელი ჯონათან ტაბუ იმუქრება, უნდა მოგიგოთო, არც მე ვარ რამის დათმობის განწყობაზე, მაგრამ რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ჩვენ უფრო უნდა გავუწიოთ ანგარიში ბელგიას, ვიდრე - პირიქით, რადგან ამ ქვეყნის ნაკრებმა ორივე მატჩი მოგვიგო.

**- თამაშობდი სლოვენიასა და უკრაინაში. მათი ნაკრებები ჩვენს ჯგუფში ითამაშებენ.**

- მეგობრები ამ ქვეყნებშიც მყავს, მაგრამ ყველას ერთს ვეუბნები - დღეს სანაკრებო თემაზე ლაპარაკი და მით უმეტეს მუქარა ნაადრევია. ამბობენ, იოლ ჯგუფში მოვხვდით და თუ ვერ გავედით, ჩვენი საშველი არ ყოფილაო, მაგრამ ასეთ მოსაზრებას არ დავეთანხმები. ზოგმა შეიძლება ოცნების კოშკები ააგოს, მაგრამ კალათბურთელმა საქმეს ობიექტურად უნდა შეხედოს. ნაკრებზე მსჯელობისა და ანალიზის დრო ჯერ არ მოსულა - კალათბურთელებს კლუბებთან ერთად ჩემპიონატები აქვთ სათამაშო. ახლა პლეი ოფებსა და საკლუბო თამაშებზე ვფიქრობ. ნაკრებზე მსჯელობის დროც მოვა და მაშინ უკვე საკლუბო საქმეებზე ფიქრი იქნება მიზანშეუწონელი.

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. III ტური

# ზესტაფონის სერიოზული განაცხადი

| თბილისი | |
|---|---|
| **10 აპრილი** | |
| **ზესტაფონი-ქუთაისი** | **86:42** |
| 23:6, 23:4, 24:17, 15;15 | |
| **ზესტაფონი:** ბალდოიანი (23ქ)... | |
| **ქუთაისი:** მანაგაძე (11ქ)... | |
| **თსუ-რუსთავი** | **61:58** |
| 14:16, 10:14, 20:14, 17:14 | |
| **თსუ:** კუპატაძე (14ქ), კომლაძე (14ქ)... | |
| **რუსთავი:** აბულაძე (24ქ), საჯაია (19ქ)... | |
| **11 აპრილი** | |
| **რუსთავი-ქუთაისი** | **61:43** |
| 15:10, 12;13, 14:9, 20:11 | |
| **რუსთავი:** საჯაია (14ქ), სირბილაძე (14ქ)... | |
| **ქუთაისი:** ალანია (12ქ)... | |
| **თსუ-ზესტაფონი** | **51:70** |
| 10:12, 16:14, 12:21, 13:23 | |
| **თსუ:** კომლაძე (21ქ)... | |
| **ზესტაფონი:** ბალდოიანი (32ქ)... | |



საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ტურობრივი სისტემით იმართება. ოთხი გუნდი ჯერ ქუთაისში შეიკრიბა, მარტის შუაში - რუსთავში, ხოლო ამჯერად თბილისში.

გუშინ დასრულდა მესამე ტურის მეორე დღის მატჩები. დიდ ინტერესს იწვევდა თსუ-სა და „ზესტაფონის" დაპირისპირება, რადგან სწორედ ეს ორი გუნდია ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი.

თსუ-ელებმა თავი მოუყარეს ვეტერან თუ ახალგაზრდათა საუკეთესო შემადგენლობას. მესამე ტურში მათ გამოცდილი **მაკა კუპატაძეც** დაემატათ, რომელიც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია და ვაჟთა ჩემპიონატის მატჩებსაც სჯის.

თავის მხრივ „ზესტაფონში" ოთხი ლეგიონერია. მათგან ორი შარშან ქალთა ევროთასზე სომხეთის კლუბის სახელით ასპარეზობდა და გამოცდილებაც აქვს.

პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და საყაიმო ანგარიშით დასრულდა - 26:26. მესამე პერიოდიდან ამოქმედდა ზესტაფონის ლიდერი **ანა ბალდოიანი**, სამქულიანს სამქულიანი მიაყოლა და მატჩშიც გარდატეხა შეიტანა. ანამ ტურის რეკორდი დაამყარა - 32 ქულა ჩააგდო. საბოლოოდ დასავლელებმა 70:51 იმარჯვეს.

ეს იყო „ზესტაფონის" მეშვიდე მოგება და ჩემპიონობისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი.

გუშინ გამართულ პირველ შეხვედრაში „რუსთავმა" **საჯაიას და სირბილაძის** ზუსტი თამაშის წყალობით „ქუთაისს" სძლია.

წინა დღეს კი, რუსთაველებმა დაძაბულ ბრძოლაში 58:61 დათმეს თსუ-სთან. იმავე დღეს „ზესტაფონმა" „ქუთაისს" 86:42 აჯობა.

დღეს „აკადემიას" დარბაზში ორი მატჩი გაიმართება. „ზესტაფონი" „რუსთავს" დაუპირისპირდება, ხოლო თსუ - „ქუთაისს".

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 8 | 7 | 1 | 551:401 | 15 |
| 2. თსუ | 8 | 5 | 3 | 514:420 | 13 |
| 3. რუსთავი | 8 | 4 | 4 | 465:456 | 12 |
| 4. ქუთაისი | 8 | 0 | 8 | 307:564 | 8 |

ესპანური ამბები



# გრინისა და ჰოსლის 14 პასი

## ელისის 14 ქულა

მას მერე, რაც **ნიკა ცქიტიშვილმა** ბასკურ „ლაგუნ აროსთან" კონტრაქტი გაწყვიტა, ესპანური პირველობისადმი ქართველთა ინტერესმა იკლო, მაგრამ მაინც საინტერესოა, როგორ ირჯებიან საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული კალათბურთელები **ტორინ გრინი, ქუინტონ ჰოსლი** და **ტაირონ ელისი**. ეროვნული გუნდის მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვს** ჯერ არ აურჩევია ვინ დაიცავს ნაკრების ღირსებას ევრობასკეტზე.

ესპანეთის პირველობის ბოლო ტურში ერთმანეთის პირისპირ ტორინ გრინი და ქუინტონ ჰოსლი წარდგნენ. მოგების შემთხვევაში ჰოსლის „ხუვენტუდი" (რომელიც მასპინძელი იყო) მოგებათა რაოდენობით „კანარიას"გაუთანაბრდებოდა... თუმცა ხუვენტუდელებმა კუნძულელებს ვერაფერი დააკლეს და 69:93 დამარცხდნენ.

გრინმა გამარჯვებულთა შორის ყველაზე მეტი პასი შეასრულა - 8. მისი სრული მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 30 წუთი, 5 ქულა (5-დან 1 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 4 მოხსნა, 8 პასი. სხვათა შორის, კანარელთაგან მხოლოდ ერთმა კალათბურთელმა ჩააგდო 10-ზე მეტი ქულა: **ჯეის ქეროლმა** 35 ბალი მოაგროვა (22 წუთში).

გრინის მსგავსად „ხუვენტუდის" ფორვარდი ჰოსლიც სასტარტოში იყო, 28 წუთში 7 ქულა, 5 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

გაიმარჯვა ტაირონ ელისის „ესტუდიანტესმა" - ცქიტიშვილის ყოფილი კლუბი „ფუენლაბრადა" 87:73 დაამარცხა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მატჩში ბევრი რამ პირველ პერიოდში გაირკვა - „სტუდენტებმა" 26:9 მოიგეს.

ელისი სათადარიგო იყო, თუმცა 31 წუთი ითამაშა და დრო უქმად არ დაუკარგავს - 14 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი. ტაირონმა 9 სამქულიანიდან 4 ჩააგდო, რასაც ერთი ზუსტი ორქულიანი მიაყოლა.

29 ტურის შემდეგ „გრან კანარიას" 16 მოგება აქვს და მე-7 ადგილზეა. მასზე ერთით ნაკლები გამარჯვება უწერია საპლეიოფო ზონიდან ოდნავ მოშორებულ „ესტუდიანტესს". 14 გამარჯვებით მეთერთმეტე პოზიციაზეა „ხუვენტუდი".

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ნახევარფინალში მხოლოდ ერთმა გააღწია


მარჯვნიდან მეორე დავით ხინჩაგიშვილი

ევროთასების გათამაშებაში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდიდან მეოთხედფინალში წარმატებას მხოლოდ ერთმა, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" მიაღწია. სამი კი დამარცხდა და ნახევარფინალში თამაშის უფლება ვერ მოიპოვა.

ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის" თასის გათამაშებაში, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" ბარსელონაში „ოლიმპიურ" სტადიონზე „პერპინიანს" ეთამაშა და 25:29 წააგო. ტულონელებმა პირველი ტაიმი 11:6 მოიგეს. ერთი ლელო მესამეხაზელმა **ჯორჯ სმითმა** გაიტანა, რასაც **ჯონი ვილკინსონმა** ორი საჯარიმო მიუმატა.

შესვენების შემდეგ თერთმეტ წუთში „პერპინიანმა" დაწინაურება შეძლო. ამის შემდეგ კი, 73-ე წუთამდე თამაში, შეიძლება ითქვას, ქულა-ქულაში მიდიოდა. დასკვნით ხუთ წუთში კი პერპინიანელებმა იძალეს და 2003 წლის შემდეგ „ჰაინეკენის თასის" ნახევარფინალში პირველად გააღწიეს.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს.

დრამატული აღმოჩნდა კიდევ ერთი მეოთხედფინალური შეხვედრა ბასკურ „ბიარიცსა" და ფრანგულ გრანდ „ტულუზს" შორის, რომელიც სან-სებასტიანში „ესტადიო ანოეტაზე" გაიმართა. მატჩის ძირითადი დრო 17:17 დამთავრდა. დაინიშნა დამატებითი ორი ათწუთიანი ტაიმი. ტულუზელები **დავიდ სკრელას** საჯარიმოთი დაწინაურდნენ - 20:17. მეორე დამატებული ტაიმის დასრულებას წუთ-ნახევარი აკლდა, როცა ბიარიცელთა ქართული წარმოშობის ცხრა ნომერმა **დიმიტრი იაშვილმა,** საჯარიმო ორმოცი მეტრიდან დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა.

ტულუზელებმა თამაში ცენტრიდან განაახლეს, ოცდაორმეტრიან ზონაში ბურთი იაშვილს მიუვიდა, ფეხით მეტოქის მოედანში გადატანა სცადა, მაგრამ „ტულუზის" მესამეხაზელმა **იანიკ ნიანგამ** დაუფარა, წინ გადავარდნილ ბურთს მიჰყვა და გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა - 27:20.

**ჰაინეკენის თასი**

**მეოთხედფინალი**

**ლენსტერი-ლესტერი 17:10, ბიარიცი-ტულუზი 20:27, ნორსჰემპთონი-ალსტერი 23:13, პერპინიანი-ტულონი 29:25**

**ნახევარფინალი**

**ლენსტერი-ტულუზი, ნორსჰემპთონი-პერპინიანი**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით ზირაქაშვილის „კლერმონმა" „ემლინ ჩლენჯ კაპის" ნახევარფინალში გააღწია. „ვულკანებმა" მეოთხედფინალში საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ლა როშელი" დაამარცხეს - 23:13. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენებურის გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და დამსახურებულად გაიმარჯვა. არადა, ტრავმის გამო „კლერმონს" ექვსი წამყვანი მოთამაშე აკლდა.

ზირაქაშვილი საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში დაშავდა და არ უთამაშია.

„კლერმონის" მეტოქე ნახევარფინალში საფრანგეთის კიდევ ერთი კლუბი, „სტად ფრანსე" იქნება, რომელმაც შინ მოუგო **მამუკა გორგოძის, გიორგი ჩხაიძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს" 32:28.

აღსანიშნავია, რომ ჩვენებურთა გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მამუკა გორგოძე, გიორგი ჟღენტი, **ფრანსუა ტრინ-დუკი, ჟულიენ ტომა** და **ფულენსე უოდრაოგო** აკლდა. მიუხედავად ამისა, მონპელიელებმა თამაში შესანიშნავად დაიწყეს და 21-ე წუთისთვის 16:0-ს იგებდნენ.

მასპინძლებმა ნელ-ნელა მოახერხეს თამაშის სადავეების ხელში აღება და 54-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს. ბოლო ოც წუთში კი ორი ლელო გაიტანეს და ნახევარფინალისკენ გაიკაფეს გზა.

ჩხაიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს, შველიძე თამაშში 56-ე წუთიდან ჩაერთო.

დრამატული აღმოჩნდა **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივის" დაპირისპირება შინ ირლანდიურ „მანსტერთან", ჩვენებურთა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, 19-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრას ეცადა, მაგრამ დრო აღარ ეყო - 37:42.

არადა, მატჩის პირველი ნახევარი, მასპინძლებს მსგავს არაფერს უქადდა. ბრიველებმა ტაიმი, მართალია, მინიმალური სხვაობით, მაგრამ მაინც მოიგეს - 20:19. მეორე ნახევარში ირლანდიური გუნდი შეუჩერებელი იყო და 68-ე წუთისთვის უკვე 42:23-ს იგებდა.

ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და კაკოვინმა 48-ე წუთზე შეცვალა.

**ჩელენჯ კაპი**

**მეოთხედფინალი**

**სტად ფრანსე-მონპელიე 32:28, ლა როშელი-კლერმონი 13:23, ბრივი-მანსტერი 37:42, ჰარლიქვინზი-ვოსფსი 32:22**

**ნახევარფინალი**

**სტად ფრანსე-კლერმონი, ჰარლიქვინზი-მნსტერი**

ამასობაში, 27-ე ტურის შეხვედრები გაიმართა საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში. გათამაშების ლიდერმა **გურამ კავთიძის** „ლიონმა" სტუმრად ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი" - 15:8.

ამ გამარჯვებით ლიონელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს პირველი დივიზიონისკენ. კავთიძემ და კომპანიამ რეგულარული გათამაშების დასრულებამდე სამი ტურით ადრე 92 ქულა დააგროვა და ექვსი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს - **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლს".

მაგრაქველიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში დაშავებული **ჯერემი ურუს** ნაცვლად მე-3 წუთიდან ჩაერთო, კავთიძე და მირცხულავა განაცხადში არ იყვნენ.

„გრენობლმა" თავის მხრივ სტუმრად მოუგო იოლად „სენტ ეტიენს" - 42:15. მენაბდიშვილს არ უთამაშია.

**II დივიზიონი**

**XXVII ტური**

**პო-დაქსი 40:20, კარკასონი-ექსი 26:12, ტარბი-ლიონი 8:15, ნარბონი-ოში 34:28, კოლომიე-ოიონაქსი 20:13, ორიაკი-ალბი 6:6, მონ დე მარსანი-ბორდო 23:13, სენტ ეტიენი-გრენობლი 15:42**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლიონი - 92 ქულა, 2. გრენობლი - 86, 3. ალბი - 82, 4. მონ დე მარსანი - 73, 5. ბორდო - 73, 6. პო - 68, 7. ოში - 66, 8. ორიაკი - 64, 9. კარკასონი - 62, 10. ოიონაქსი - 61, 11. ტარბი - 60, 12. ექსი - 57, 13. ნარბონი - 56, 14. დაქსი - 48, 15. კოლომიე - 47, 16. სენტ ეტიენი - 17.**

**XXVIII ტური**

**ტარბი-კოლომიე, ბორდო-ნარბონი, დაქსი-მონ დე მარსანი, ალბი-ოში, გრენობლი-ორიაკი, ექსი-პო, სენტ ეტიენი-კარკასონი, ლიონი-ოიონაქსი.**


სლემით დავით ქუბრიაშვილი

ზე რაგბი


ბრედ თორნი და პიერ სპისი

# დაუმარცხებელი არავინ დარჩა

ზე რაგბის გათამაშებაში მე-8 ტურის შემდეგ დაუმარცხებელი აღარავინ დარჩა. კეიპთაუნის „სტორმერზი" შვიდი ტურის განმავლობაში წარმატებულად ასპარეზობდა და C ჯგუფსაც დამსახურებულად ლიდრობდა.

საგულისხმოა, რომ სტორმერზელებმა პირველი მარცხი საკუთარ მოედანზე იწვნიეს. სამხრეთაფრიკული გუნდი შინ ვერას გახდა A ჯგუფის ლიდერ, ბრისბენის „რედსთან" - 6:19. პირველი ტაიმის 32-ე წუთისთვის „წითლები" მშრალი ანგარიშით 9:0-ს იგებდნენ. სამი საჯარიმო მგეზავმა **ქუადე კუპერმა** გაიტანა. ტაიმის მიწურულს, მასპინძელთა მგეზავმა **პიტერ გრანტმა** ერთი საპასუხო საჯარიმოს გატანა მოახერხა და პირველი ნახევარი - 3:9 დასრულდა.

შესვენების შემდეგ, გრანტმა კიდევ ერთი საჯარიმო მიითვალა - 6:9. ამის მერე მასპინძლებმა მონაგარს ვალარაფერი შესძინეს. ბრისბენელებმა კი კიდევ ორი საჯარიმოსა და გარდასახული ლელოს გატანა მოახერხეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია ქრაისტჩერჩის „კრუსეიდერზისა" და პრეტორიის „ბლუ ბულზის" დაპირისპირებამ, რომელიც ტიმარუში გაიმართა. კრუსეიდერზელებმა სამხრეთ აფრიკის საუკეთესო კლუბს რაგბის შესანიშნავი გაკვეთილი ჩაუტარეს და მშრალი ანგარიშით 27:0 დაამარცხეს.

მასპინძლებმა სამი ლელო გაიტანეს, აქედან თითო-თითო **სონი ბილ ვილიამსმა, იზრაელ დაეგმა** და **ტომ მარშალმა** მიითვალეს. მგეზავმა **მეთ ბერკვისტმა** ვერც ერთი გარდასახა, თუმცა ოთხი საჯარიმო გაიტანა (12 ქულა).

ვისაც თამაში არ უნახავს, შეიძლება იფიქროს, რომ „ბლუ ბულზი" შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობდა. ეს ასე არ არის. პრეტორიელებმა საბრძოლო შემადგენლობა გაიყვანეს სათამაშოდ, რაც, ფაქტობრივად, სამხრეთ აფრიკის ნაკრების მინიმუმ ნახევარს შეადგენს. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ლურჯი ხარების" წამყვანი მოთამაშეები მობერდნენ, მაგრამ ბებერი ხარის რქებიც ხომ ხნავს?

ერთი სიტყვით, „კრუსეიდერზმა", რომელიც წლევანდელ სეზონში ყველა საშინაო შეხვედრას ტიმარუში გამართავს, შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა და B ჯგუფში გალიდერდა.

C ჯგუფის მეორეადგილოსანმა დურბანის „ნატალ შარქსმა" შინ იოლად მოუგო აუტსაიდერ იოჰანესბურგის „ლაიონზს" - 27:3. აღსანიშნავია, რომ ანგარიში სტუმრებმა მე-3 წუთზე გახსნეს **ელტონ იანტისის** საჯარიმოთი. ამის შემდეგ მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა.

„ზვიგენებმა" მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს. თავი მესამეხაზელმა **ვილემ ალბერტსმა**, ცხრა ნომერმა **ჩარლი მაკლოიდმა**, გარემარბმა **ჯონ-პაულ პიტერსენმა** და ფულბეკმა **ლუის ლუდეკმა** გამოიჩინეს.

წლეულს უჩვეულოდ ცუდად ასპარეზობს ველინგთონის „ჰარიკენზი", რომელმაც მე-8 ტურში სტუმრად წააგო ასევე უხეიროდ მოთამაშე კანბერის "ბრამბიზთან" - 16:17. მეტოქეებმა თითო ლელო გაცვალეს და უაღრესად დაძაბული ორთაბრძოლის ბედი, მასპინძელთა მგეზავის **მეთ გიტოს** ფეხჩუბინობამ გადაწყვიტა. მან ოთხი საჯარიმო გაიტანა.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა სიდნეის „ვორათაზმა", რომელიც A ჯგუფში ლიდერ „რედსს" კვალში უდგას. სიდნეელებმა სტუმრად დაამარცხეს აუტსაიდერი „ფორსი" - 31:3. ვორათაზელთაგან ორი ლელო გარემარბმა **დრიუ მიტჩელმა** მიითვალა, თითო-თითო კი მგეზავ **ქართლი ბეილისა** და შუამარბ **ტომ კარტერის** ანგარიშზეა.

**VIII ტური**

**A ჯგუფი**

**ბრამბიზი-ჰარიკენზი 17:16, ფორსი-ვორათაზი 3:31**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. რედსი - 30 ქულა, 2. ვორათაზი - 27, 3. მელბურნ რებლზი - 19, 4. ბრამბიზი - 17, 5. ფორსი - 12.**

**IX ტური**

**მელბურნ რებლზი-ჰაილენდერზი, რედსი-ბლუ ბულზი, ბრამბიზი-ფორსი**

**B ჯგუფი**

**ჰაილენდერზი-ჩიტაზი 24:21, კრუსეიდერზი-ბლუ ბულზი 27:0**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. კრუსეიდერზი - 30 ქულა, 2. ბლუზი - 29, 3. ჰაილენდერზი - 25, 4. ჩიტაზი - 16, 5. ჰარიკენზი - 13.**

**IX ტური**

**ჩიფსი-კრუსეიდერზი, ბლუზი-ვორათაზი**

**C ჯგუფი**

**სტორმერზი-რედსი 6:19, ნატალ შარქსი-ლაიონზი 27:3**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სტორმერზი - 29 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 25, 3. ბლუ ბულზი - 21, 4. ჩიტაზი - 9, 5. ლაიონზი - 9**

**IX ტური**

**ლაიონზი-სტორმერზი, ჩიტაზი-ჰარიკენზი**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# შერცხვენას გადარჩენილი ჩიკაგო

დრამატულად განვითარდა მოვლენები რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღეს. პლეი ოფი კინაღამ სტენლის თასის მოქმედი ჩემპიონის „ჩიკაგოს" გარეშე დარჩა. „ბლეკჰოქსს" ოვერტაიმში ან ბულიტების სერიაში წაგებაც ჰყოფნიდა შინ „დეტროიტის" წინააღმდეგ. მართალია, აღნიშნული მატჩი „რედ უინგზის" სატურნირო მდგომარეობაზე არ იმოქმედებდა, მაგრამ ეს გუნდი მაინც მოტივირებული იყო - მან ბოლოს ბევრი მტკივნეული მარცხი იწვნია და პლეი ოფის წინ კარგი განწყობის შექმნა უნდოდა.

გასაკვირია, მაგრამ „დეტროიტის" მოტივაცია უფრო მაღალი აღმოჩნდა. „რედ უინგზმა" მოიგო და სტენლის თასის მფლობელი კატასტროფის წინაშე დააყენა. საქმე ისაა, რომ მოგვიანებით თამაშობდა „ჩიკაგოს" უშუალო კონკურენტი - „დალასი". „ვარსკვლავებს" გაცილებით იოლი ამოცანა ჰქონდათ - აბსოლუტურად უმოტივაციო „მინესოტა" უნდა დაემარცხებინათ და პლეი ოფში მერვე ადგილიდან გავიდოდნენ, „ჩიკაგო" კი სეზონს ნაადრევად დაასრულებდა. უკვე მეშვიდე წუთისთვის „უაილდმა" ანგარიში გახსნა, შემდეგ ორი შაიბა გაუშვა, მაგრამ მაინც არ დანებდა მეტოქეს. მატჩის შუაში კიდევ ორმა გოლმა მასპინძელთა გუნდი წინ გაიყვანა, თუმცა **ალექს გოლიგოსკიმ** თანაფარდობა აღადგინა. და მაინც, „დალასს" მოთმინება არ ეყო: **მიეტინენმა** „ველურებისთვის" მეოთხე გოლი შეაგდო, ბუშარმა კი ბოლოს ცარიელ კარში შეასრიალა შაიბა. ასე რომ, დასავლეთში მერვე ადგილი „ჩიკაგომ" შეინარჩუნა.

■ ■ ■

რეგულარულის შემდეგ გაირკვა, რომ „ნიუ ჯერსიში" არ დარჩება მთავარი მწვრთნელი **ჟაკ ლემერი**. მან უკვე ორჯერ დაასრულა კარიერა, მაგრამ ორჯერ დაბრუნდა. მეორედ ეს ამ სეზონში მოხდა. დიადმა მწვრთნელმა, რომელმაც „ეშმაკებს" 1995 წელს სტენლის თასი მოაპოვებინა, შუა სეზონში ჩაიბარა თითქმის მთლიანად დაშლილი „ნიუ ჯერსი". ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი საჩემპიონო სვლით მიიწევდა წინ, თითქმის მიაღწია პლეი ოფის ზონას და... ძალები აღარ ეყო. მიუხედავად ამისა, ლემერმა პატარა სასწაული მოახდინა და დაადასტურა თავისი უმაღლესი რეპუტაცია. სამწუხაროა, რომ მან ამჯერადაც გადაწყვიტა წასვლა და როგორც ჩანს, ახლა უკვე სამუდამოდ.

### ატლანტა-პიტსბურგი 2:5

**1:0, 0:4, 1:1**

**გოლები:** 1:0 ლედი-29 (ლიტლი-30, ანტროპოვი-24), 1:1 ტაილერ კენედი-21 (ნისკანენი-8, ლავჯოი-13), 1:2 დუპუი-17 (ტელბოტი-13, ლავჯოი-14), 1:3 რუპი-9 (გოდარდი-3, ლავჯოი-15), 1:4 ლეტესტუ-14 (ტანგრადი-2, კოვალიოვი-18), 2:4 სტეპლტონი-5 (ანტროპოვი-25, ჰეინსი-16), 2:5 კომრი-1 (დუპუი-20, ნისკანენი-9).

### კოლორადო-ედმონტონი 4:3 (ო)

**2:1, 0:2, 1:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 პარტიკაინენი-3 (უმარკი-21, ფოსტერი-14), 1:1 ო'რაილი-13 (ჯონსი-17, ვინიკი-15), 2:1 დუპუი-6, 2:2 ფოსტერი-8 (პააიარვი-19, უმარკი-22), 2:3 რედოქსი-1 (ო'მარა-4), 3:3 პეიდუკი-22 (დუშენი-39, ჯონსი-18), 4:3 ჯონსი-27 (დუშენი-40, პეიდუკი-34).

### ნიუ ჯერსი-ბოსტონი 3:2

**1:1, 0:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 ელიაში-21 (როლსტონი-20, ტალინდერი-11), 1:1 პევერლი-18 (რაიდერი-23, ფერენსი-12), 2:1 ჟარკოვი-2 (სალმელა-6), 3:1 ურბომი-1 (ჯოზეფსონი-7, კლარკსონი-6), 3:2 კელი-14 (საიდენბერგი-25, ბოიჩუკი-13).

### ჩიკაგო-დეტროიტი 3:4

**0:0, 1:2, 2:2**

**გოლები:** 1:0 ფროლიკი-11 (პ.კეინი-46), 1:1 ჰოლმსტრიომი-18, 1:2 დაციუკი-23 (ქლირი-20, ბერტუცი-28), 1:3 მილერი-10 (ფილპულა-23, ჰადლერი-27), 2:3 სიბრუკი-9 (ჰიალმარსონი-7, სტალბერგი-12), 2:4 ქლირი-26 (ბერტუცი-29, რაფალსკი-44), 3:4 კეიტი-7 (შარპი-37, მარიან ჰოსა-32).

### მინესოტა-დალასი 5:3

**1:2, 2:1, 2:0**

**გოლები:** 1:0 შტაუბიტცი-4 (ბერნსი-29, მაკმილანი-1), 1:1 ბ.რიჩარდსი-28 (ლ.ერიქსონი-44, ბენი-34), 1:2 მოროუ-33 (ლ.ერიქსონი-45, გოლიგოსკი-32), 2:2 სპარჯონი-4 (ბრუნეტი-27, მ.კოივუ-44), 3:2 ჟილი-1 (ბროძიაკი-21, კობესიუ-7), 3:3 გოლიგოსკი-14 (ლ.ერიქსონი-46, ბ.რიჩარდსი-49), 4:3 მიეტინენი-16 (ბრუნეტი-28, მ.კოივუ-45), 5:3 ბუშარი-12 (კლატერბეკი-15, ზენონი-7).



ჩიკაგო გადარჩა

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ვაშინგტონი | 82 | 48 | 23 | 11 | 107 |
| 2. y-ფილადელფია | 82 | 47 | 23 | 12 | 106 |
| 3. y-ბოსტონი | 82 | 46 | 25 | 11 | 103 |
| 4. x-პიტსბურგი | 82 | 49 | 25 | 8 | 106 |
| 5. x-ტამპა ბეი | 82 | 46 | 25 | 11 | 103 |
| 6. x-მონრეალი | 82 | 44 | 30 | 8 | 96 |
| 7. x-ბაფალო | 82 | 43 | 29 | 10 | 96 |
| 8. x-რეინჯერსი | 82 | 44 | 33 | 5 | 93 |
| 9. კაროლინა | 82 | 40 | 31 | 11 | 91 |
| 10. ტორონტო | 82 | 37 | 34 | 11 | 85 |
| 11. ნიუ ჯერსი | 82 | 38 | 39 | 5 | 81 |
| 12. ატლანტა | 82 | 34 | 36 | 12 | 80 |
| 13. ოტავა | 82 | 32 | 40 | 10 | 74 |
| 14. აილენდერსი | 82 | 30 | 39 | 13 | 73 |
| 15. ფლორიდა | 82 | 30 | 40 | 12 | 72 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ვანკუვერი | 82 | 54 | 19 | 9 | 117 |
| 2. y-სან ხოსე | 82 | 48 | 25 | 9 | 105 |
| 3. y-დეტროიტი | 82 | 47 | 25 | 10 | 104 |
| 4. x-ანაჰაიმი | 82 | 47 | 30 | 5 | 99 |
| 5. x-ნეშვილი | 82 | 44 | 27 | 11 | 99 |
| 6. x-ფინიქსი | 82 | 43 | 26 | 13 | 99 |
| 7. x-ლოს ანჯელესი | 82 | 46 | 30 | 6 | 98 |
| 8. x-ჩიკაგო | 82 | 44 | 29 | 9 | 97 |
| 9. დალასი | 82 | 42 | 29 | 11 | 95 |
| 10. კალგარი | 82 | 41 | 29 | 12 | 94 |
| 11. სტ. ლუისი | 82 | 38 | 33 | 11 | 87 |
| 12. მინესოტა | 82 | 39 | 35 | 8 | 86 |
| 13. კოლამბუსი | 82 | 34 | 35 | 13 | 81 |
| 14. კოლორადო | 82 | 30 | 44 | 8 | 68 |
| 15. ედმონტონი | 82 | 25 | 45 | 12 | 62 |

* - დივიზიონის ლიდერი, x - გავიდა პლეი ოფში, y - დივიზიონის ჩემპიონი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| დანიელ სედინი (ვან) | 104 (41+63) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 99 (31+68) |
| კორი პერი (ანა) | 98 (50+48) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 94 (19+75) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 91 (45+46) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 86 (43+43) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 85 (32+53) |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 80 (31+49) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 80 (24+56) |
| ერიკ სტაალი (კარ) | 76 (33+43) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| კორი პერი (ანა) | 50 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 45 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 43 |
| დანიელ სედინი (ვან) | 41 |
| რაიან კესლერი (ვან) | 41 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 37 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 36 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 34 |
| ბობ რაიანი (ანა) | 34 |
| დენი ბრიერი (ფილ) | 34 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 75 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 68 |
| დანიელ სედინი (ვან) | 63 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 57 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 56 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 53 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 52 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 51 |
| ლუბომირ ვიშნოვსკი (ანა) | 50 |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 49 |



დანიელ სედინი

# პირველი პრიზები დარიგდა

რეგულარული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით რამდენიმე ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გაირკვა.

„არტ როს ტროფი" (საუკეთესო ბომბარდირი) ერგო „ვანკუვერის" ფორვარდ **დანიელ სედინს**, რომელმაც 104 ქულა (41+63) დააგროვა;

ორმოცდაათმა გოლმა „ანაჰაიმის" ფორვარდ **კორი პერის** „მორის რიშარ ტროფი" მოუტანა.

„პლუს/მინუსის" საუკეთესო მაჩვენებელი აქვს „ბოსტონის" მცველს **ზდენო ხარას**. მისი შედეგი „+33" იყო.

**როჯერ კროზიეს** პრიზი (საუკეთესო მეკარე მოგერიებული დარტყმების პროცენტით) მეორე ბოსტონელს - **ტიმ ტომასს** ერგო. მასზე გუშინ დავწერეთ - ტომასმა საშუალოდ მეტოქეთა დარტყმების 93.8 პროცენტი მოიგერია, რაც NHL-ის ახალი რეკორდი გახლავთ.

„ვანკუვერის" მეკარეებმა - **რობერტო ლუონგომ** და **კორი შნაიდერმა** მოიპოვეს „უილიამ ჯენინგს ტროფი". ამ პრიზს იღებს იმ გუნდის მეკარეთა წყვილი, რომელმაც სეზონში ყველაზე ნაკლები შაიბა გაუშვა.

ერთი საინტერესო მიღწევა ჰქონდა „ბოსტონის" ფორვარდ **მარკ რეკის**. მან კარიერაში 1652-ე მატჩი ჩაატარა და ამ მაჩვენებლით ლიგის ისტორიაში მეოთხე ადგილზე გადავიდა. მასზე წინ არიან **რონ ფრენსისი** (1731), **მარკ მესიე** (1756) და **გორდი ჰოუ** (1767).

# ვარსკვლავების გარეშე იწყება

## კროსბი და ზეტერბერგი პირველ მატჩებს გამოტოვებენ

პლეი ოფი 13 აპრილს იწყება და ერთ-ერთი აქტუალური საკითხია „პიტსბურგ პინგვინზის" კაპიტნის **სიდნი კროსბის** დაბრუნება. მართალია, კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავის გამოჯანმრთელების პროცესში შესამჩნევი პროგრესი შეინიშნება, მაგრამ „პიტსბურგის" მთავარი მწვრთნელი **დენ ბილსმა** დარწმუნებული არ არის, რომ კროსბი ითამაშებს პლეი ოფის პირველი ეტაპის პირველ მატჩში. როგორც ის ამბობს, ჯერ კვლავაც სახიფათოა სიდნის ყინულზე გაშვება.

*„ერთხელ უკვე ვთქვით, რომ კროსბიმ კიდევ უნდა გაიაროს მკურნალობის რამდენიმე ეტაპი და მხოლოდ ამის შემდეგ დავილაპარაკებთ ყინულზე დაბრუნებაზე.*

*არ ვიცი როდის შეძლებს სიდი მოედანზე გასვლას - არანაირი თარიღის დასახელება არ შემიძლია. უახლოეს პერიოდში სიტუაცია, ალბათ, არ შეიცვლება",* - მიაჩნია ბილსმას.

■ ■ ■

ასევე გამოტოვებს პლეი ოფის საწყის მატჩებს „დეტროიტ რედ უინგზის" საუკეთესო ბომბარდირი **ჰენრიკ ზეტერბეგი**. შეგახსენებთ, რომ შვედმა ჰოკეისტმა „კაროლინასთან" მატჩში დაიზიანა მუხლი და ჯერჯერობით ვერ ახერხებს ყინულზე დაბრუნებას. სავარაუდოდ, ზეტერბერგს ორი საშინაო შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

*„არ მგონია ზეტერბერგმა მონაწილეობა მიიღოს პლეი ოფის პირველ ორ მატჩში „ფინიქსის" წინააღმდეგ. ჰენრიკი სარეაბილიტაციო კურსს გადის და მხოლოდ სრულიად ჯანმრთელი დაუბრუნდება მოედანს",* - ამბობს „დეტროიტის" დამრიგებელი **მაიკ ბებკოკი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● პლეი ოფის კალენდარი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**ვაშინგტონი (1)-რეინჯერსი (8)**

13 აპრილი. ვაშინგტონი-რეინჯერსი
15 აპრილი. ვაშინგტონი-რეინჯერსი
17 აპრილი. რეინჯერსი-ვაშინგტონი
20 აპრილი. რეინჯერსი-ვაშინგტონი
23 აპრილი. ვაშინგტონი-რეინჯერსი*
25 აპრილი. რეინჯერსი-ვაშინგტონი*
27 აპრილი. ვაშინგტონი-რეინჯერსი*

**ბოსტონი (3)-მონრეალი (6)**

14 აპრილი. ბოსტონი-მონრეალი
16 აპრილი. ბოსტონი-მონრეალი
18 აპრილი. მონრეალი-ბოსტონი
21 აპრილი. მონრეალი-ბოსტონი
23 აპრილი. ბოსტონი-მონრეალი*
26 აპრილი. მონრეალი-ბოსტონი*
27 აპრილი. ბოსტონი-მონრეალი*

**ფილადელფია (2)-ბაფალო (7)**

14 აპრილი. ფილადელფია-ბაფალო
16 აპრილი. ფილადელფია-ბაფალო
18 აპრილი. ბაფალო-ფილადელფია
20 აპრილი. ბაფალო-ფილადელფია
22 აპრილი. ფილადელფია-ბაფალო*
24 აპრილი. ბაფალო-ფილადელფია*
26 აპრილი. ფილადელფია-ბაფალო*

**პიტსბურგი (4)-ტამპა ბეი (5)**

13 აპრილი. პიტსბურგი-ტამპა ბეი
15 აპრილი. პიტსბურგი-ტამპა ბეი
18 აპრილი. ტამპა ბეი-პიტსბურგი
20 აპრილი. ტამპა ბეი-პიტსბურგი
23 აპრილი. პიტსბურგი-ტამპა ბეი*
25 აპრილი. ტამპა ბეი-პიტსბურგი*
27 აპრილი. პიტსბურგი-ტამპა ბეი*

**დასავლეთი**

**ვანკუვერი (1)-ჩიკაგო (8)**

13 აპრილი. ვანკუვერი-ჩიკაგო
15 აპრილი. ვანკუვერი-ჩიკაგო
17 აპრილი. ჩიკაგო-ვანკუვერი
19 აპრილი. ჩიკაგო-ვანკუვერი
21 აპრილი. ვანკუვერი-ჩიკაგო*
24 აპრილი. ჩიკაგო-ვანკუვერი*
26 აპრილი. ვანკუვერი-ჩიკაგო*

**დეტროიტი (3)-ფინიქსი (6)**

13 აპრილი. დეტროიტი-ფინიქსი
16 აპრილი. დეტროიტი-ფინიქსი
18 აპრილი. ფინიქსი-დეტროიტი
20 აპრილი. ფინიქსი-დეტროიტი
22 აპრილი. დეტროიტი-ფინიქსი*
24 აპრილი. ფინიქსი-დეტროიტი*
27 აპრილი. დეტროიტი-ფინიქსი*

**სან ხოსე (2)-ლოს ანჯელესი (7)**

14 აპრილი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი
16 აპრილი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი
19 აპრილი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე
21 აპრილი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე
23 აპრილი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი*
25 აპრილი. ლოს ანჯელესი-სან ხოსე*
27 აპრილი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი*

**ანაჰაიმი (4)-ნეშვილი (5)**

13 აპრილი. ანაჰაიმი-ნეშვილი
15 აპრილი. ანაჰაიმი-ნეშვილი
17 აპრილი. ნეშვილი-ანაჰაიმი
20 აპრილი. ნეშვილი-ანაჰაიმი
22 აპრილი. ანაჰაიმი-ნეშვილი*
24 აპრილი. ნეშვილი-ანაჰაიმი*
26 აპრილი. ანაჰაიმი-ნეშვილი*

* - საჭიროების შემთხვევაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ფლორიდული რევანში

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე დღე დარჩა და ბევრი რამ თითქმის გარკვეულია. რაც მთავარია, ცნობილია თექვსმეტივე გუნდი, რომლებიც პლეი ოფში გააგრძელებენ ბრძოლას. მაგრამ რალაც საკითხები ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგალითად, რომელი გუნდი დაიკავებს მეორე ადგილს აღმოსავლეთში (აქ პირველი განთესვის ნომერი უკვე გაინაღდა „ჩიკაგომ"). ამ მხრივ ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართა მაიამიში, სადაც „ჰიტმა" უშუალო კონკურენტ „ბოსტონ სელტიქსს" უმასპინძლა. გამარჯვებული პრაქტიკულად ინაღდებდა კონფერენციაში მეორე ადგილს.

აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები ვერ აიცილებენ თავიდან პლეი ოფში შეხვედრას, მაგრამ ეს არა აღმოსავლეთის ფინალში, არამედ ნახევარფინალში მოხდება და საკუთარი მოედნის უპირატესობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ასე რომ, გუშინდელი შეხვედრის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

ფავორიტის დასახელება თითქმის შეუძლებელი იყო. მართალია, „მაიამი" შინ თამაშობდა, მაგრამ წინა სამი შეხვედრა „ბოსტონს" ჰქონდა მოგებული. გასაგებია, რომ „ჰიტს" შურისძიების გრძნობაც ამოძრავებდა.

შეხვედრის დებიუტი აშკარად სტუმრებისა იყო. ორ წუთში ანგარიში 6:0 გახდა და თან **კრის ბოში** ორი პერსონალურით სათადარიგოთა სკამზე მოხვდა. **ერიკ სპოელსტრამ** ტაიმ-აუტი აიღო, მაგრამ მასპინძლებს ამან დიდად ვერ უშველა - ისინი კვლავ ვერაფერს უპირისპირებდნენ **გარნეტისა** და **პირსის** დუეტს.

შეხვედრის ხასიათი მეორე მეოთხედში შეიცვალა. პირველი ხუთი წუთის განმავლობაში სტუმრებმა მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდეს თამაშიდან, თუმცა „მაიამი" ძალიან შორს არ წასულა. დიდ შესვენებამდე 4 წუთითა და 19 წამით ადრე მოედანზე კინაღამ გრანდიოზული ჩხუბი ატყდა. **ლებრონ ჯეიმსი** კონტრშეტევაში გაიქცა და ის ჯარიმით **ჯერმეინ ო'ნილმა** შეაჩერა. დარღვევა აშკარად არასპორტული იყო - ბოსტონელს ბურთზე არ უთამაშია და უბრალოდ მხარი ჩაუდგა მეტოქეს. ლებრონი გაცხარდა და ზურგში ბურთი ესროლა ჯერმეინს. ერთ წამში ინციდენტის ეპიცენტრში ყველა კალათბურთელი გაჩნდა: პირსმა **უეიდს** ჰკრა ხელი, **ჩელმერსმა** - პირსს...

სიტუაციაში გასარკვევად არბიტრებმა დიდი ხანი მოანდომეს ვიდეოჩანაწერის შესწავლას და საბოლოოდ ოთხი კალათბურთელი დასაჯეს ტექნიკურით. მომხდარისგან უფრო მეტი სარგებელი მასპინძლებმა ნახეს. ტაიმის დასრულებიდან 2 წუთითა და 12 წამით ადრე „მაიამის" უკვე ორნიშნა უპირატესობა ჰქონდა - 47:37.

მესამე 12-წუთეულში სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა და რაც დრო გადიოდა, „სელტიქსის" გასვლითი მოგებისა ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა. „მაიამი" ყველა კომპონენტში ჯაბნიდა მეტოქეს. შესაძლოა, **დოკ რივერსს** მეტი ნდობა უნდა გამოეცხადებინა რეზერვისტებისთვის, რადგან „სელტიქსის" ძველი გვარდია აშკარად მოიკოჭლებდა.

ინტრიგა საბოლოოდ დაიკარგა მეოთხე მეოთხედის დაწყებიდან ორი წუთის შემდეგ. ლებრონმა ორი ეფექტური ბურთი ჩააგდო და სხვაობა 20 ქულამდე აიყვანა - 81:61. სტუმრებს აღმოაჩნდათ ძალა 12:0 გაქცევისთვის, მაგრამ „ჰიტმა" ეს რთული მომენტი იოლად გადაიტანა. **ბიბიმ** დროულად ჩააგდო სამქულიანი, ჯეიმსმა და ბოშმა ფარქვეშიდან დაუმატეს ორქულიანები და ყველაფერი დასრულდა. საინტერესო მომენტი იყო ბოლოს მოედანზე „ბოსტონის" მოთამაშის **კარლოს აროიოს** გამოსვლა. მას მაიამური პუბლიკა ოვაციით შეხვდა. თუმცა ეს არც იყო გასაკვირი. პუერტორიკოელი მაიამიში სწავლობდა და თამაშობდა, „სელტიქსის" შემადგენლობაში კი სეზონის შუაში იმის გამო მოხვდა, რომ „მაიამის" ხელმძღვანელობამ ის ზედმეტ ტვირთად მიიჩნია.

ასეა თუ ისე, რეგულარულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი სამხრეთელებმა დამაჯერებლად მოიგეს და რევანში აიღეს წინა სამი წაგებისთვის. ახლა „ჰიტმა" არ უნდა წააგოს დარჩენილი ორი მატჩი „ატლანტასთან" და „ტორონტოსთან" და მეორე ადგილი განაღდებული ექნება.

**მაიამი-ბოსტონი 100:77**

**21:22, 26:18, 27:19, 26:18**

მ: ჯეიმსი (27+7 პასი+5 მოხსნა), უეიდი (14+8 პასი+5 მოხსნა), ბოში (13+8 მოხსნა).

ბ: პირსი (24+7 მოხსნა), გარნეტი (21), ალენი (13).


ჩხუბი მაიამიში

# ჩემპიონი ქვემოთ ეშვება

ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგო „ლეიკერსმა" - ასეთი უიღბლო სერია ჩემპიონს აგერ უკვე ოთხი წელია არ ჰქონია. გარდა ამისა, კალიფორნიელები ხუთი წელია არ აგებდნენ საკუთარ მოედანზე „ოკლაჰომასთან". მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული - **კევინ დურანტმა, რასელ უესტბრუკმა** და კომპანიამ **ფილ ჯექსონის** შეგირდები ისე იოლად დაამარცხეს, თითქოს ისინი იყვნენ მოქმედი ჩემპიონები.

„ყველა ვარსკვლავის უქმეების" შემდეგ ჩატარებული 18 შეხვედრიდან 17-ის მოგებით, „ლეიკერსს" თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა დასავლეთ კონფერენციაში მინიმუმ მეორე ადგილზე გასვლა, ახლა კი ფილ ჯექსონის გუნდს მეოთხე პოზიციამდე ჩამოქვეითება ემუქრება. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული შემდეგ შეხვედრაზე, რომელშიც „ლეიკერსს" „სან ანტონიოს" წინააღმდეგ მოუწევს თამაში. „სპურსს" ძალიან სჭირდება მოგება, რადგან რეგულარულის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ძლიერი კონკურენტი ჰყავს „ჩიკაგოს" სახით. თანაც ტექსასელებმა შურისძიებაზეც უნდა იფიქრონ, რადგან დაახლოებით ერთი თვის წინ „სან ანტონიომ" სამარცხვინოდ წააგო შინ ჩემპიონთან. თუ **გრეგ პოპოვიჩის** გუნდი შეძლებს რევანშის აღებას, ხოლო „დალასი" და „ოკლაჰომა" ორივე დარჩენილ შეხვედრას მოიგებენ, მაშინ ჩემპიონები პლეი ოფის პირველ წრეში მეტოქედ ძალიან სახიფათო „დენვერს" მიიღებენ. მოკლედ, კალიფორნიელებმა თავად გაიფუჭეს აწყობილი საქმე.

■ ■ ■

გუშინდელი დღე იმითაც იყო გამორჩეული, რომ პირველად კარიერაში უქულოდ დაასრულა შეხვედრა ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა **კრის პოლმა**. თუმცა „ნიუ ორლეანის" ლიდერი „მემფისის" წინააღმდეგ ძალიან აქტიური არ ყოფილა - მხოლოდ ექვსჯერ ისროლა თამაშიდან და ექვსივე ააცილა, ასევე ორჯერ არაზუსტი იყო საჯარიმოს ხაზიდან.

შესაბამისად, გასაკვირი არ არის ის 22-ქულიანი სხვაობა, რომლითაც „ჰორნეტს" „მემფისმა" მოუგო.

ცნობისთვის, ამ სეზონში პოლის შედეგიანობა 16.2 ქულას უდრის.



**ორლანდო-ჩიკაგო 99:102**

**24:32, 25:18, 28:30, 22:22**

ო: ანდერსონი (28+10 მოხსნა), რიჩარდსონი (24), ნელსონი (17+11 პასი+5 მოხსნა).

ჩ: როუზი (39+5 პასი), დენგი (15+5 მოხსნა+5 პასი), ბუზერი (12+6 მოხსნა+6 პასი), გიბსონი (9+11 მოხსნა).

**ტორონტო-ნიუ ჯერსი 99:92**

**31:22, 30:20, 21:20, 17:30**

ტ: ბეილესი (19), დევისი (18+8 მოხსნა), ჯონსონი (18+6 მოხსნა+6 პასი), დეროზანი (18+5 მოხსნა), რაიტი (10).

ნ-ჯ: ლოპესი (35+11 მოხსნა), ვუიაჩიჩი (19).

**მემფისი-ნიუ ორლეანი 111:89**

**30:30, 22:18, 30:19, 29:22**

მ: მაიო (18), გასოლი (16+7 მოხსნა), იანგი (14+6 მოხსნა), რენდოლფი (14+6 პასი+5 მოხსნა), ვასკესი (13+5 მოხსნა).

ნ-ო: ბელინელი (18), არიზა (11), ლენდრი (11), გრინი (11), ჯეკი (10), პოლი (0+10 პასი).

**შარლოტი-დეტროიტი 101:112**

**40:25, 19:25, 19:34, 23:28**

შ: ჰენდერსონი (21), დიაო (20+7 პასი+6 მოხსნა), ბრაუნი (19+7 მოხსნა), ოგუსტინი (14+14 პასი), კანინგემი (10).

დ: სტაკი (24+11 პასი), ვილანუევა (20+6 მოხსნა), უილკოქსი (14+7 მოხსნა), ჰემილტონი (11+6 მოხსნა), მონრო (10+9 მოხსნა), მაქსიელი (10+7 მოხსნა).

**ინდიანა-ნიუ იორკი 109:110**

**33:33, 28:34, 35:20, 13:23**

ი: გრეინჯერი (20+6 მოხსნა), ჰიბერტი (19+10 მოხსნა), კოლისონი (16+5 მოხსნა+5 პასი), ჰენსბრო (14), დანლივი (14).

ნ-ი: ენტონი (34+5 მოხსნა), ბილაპსი (21+7 პასი), დუგლასი (14), უილიამსი (11).

**დალასი-ფინიქსი 115:90**

**36:17, 29:22, 15:21, 35:30**

დ: ნოვიცკი (19+7 მოხსნა), მერიონი (18+11 მოხსნა), ტერი (17), სტოიაკოვიჩი (17), ბარეა (15+6 პასი), ჰეივუდი (5+11 მოხსნა).

ფ: გორტატი (15+9 მოხსნა), უორიკი (11+6 მოხსნა), დადლი (11+5 მოხსნა).

**გ. სტეიტი-საკრამენტო 103:104**

**26:30, 33:30, 24:17, 20:27**

გ-ს: კარი (27+8 პასი+6 მოხსნა), ლი (24+14 მოხსნა), რაიტი (19+6 ჩაჭრა), უდო (10).

ს: ტორნტონი (21), კაზინსი (15+13 მოხსნა+5 პასი), ტომპსონი (14+8 მოხსნა), უდრიხი (14+6 პასი), ევანსი (14+5 მოხსნა+5 პასი), გრინი (10).

**ლეიკერსი-ოკლაჰომა 106:120**

**31:36, 33:30, 26:22, 16:32**

ლ: ბრაიანტი (31), გასოლი (26), ბინუმი (12+13 მოხსნა), არტესტი (10).

ო: დურანტი (31), უესტბრუკი (26+7 პასი+6 მოხსნა), ჰარდენი (16), იბაკა (15).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| ლივერპული-მანჩესტერ სიტი | 3:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| მოდენა-ატალანტა | 1:2 |
| **ესპანეთი** | |
| სარაგოსა-ხეტაფე | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-ჰერტა | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტური-აიაჩო | 2:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-დენ ბოში | 2:2 |
| **პორტუგალია** | |
| ბრაგა-გიმარაეში | 3:1 |
| **დანია** | |
| ლუნგბიუ-ესბერგი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| ვიკინგი-მიოლდე | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| კალმარი-იურგორდენი | 3:2 |
| მალმიო-ჰალმსტადი | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრაგე-ანგელჰოლმი | 1:4 |
| ლანდსკრონა-ვარნამო | 1:1 |
| ვასტერასი-ატვიდაბერგი | 0:2 |
| ასირისკა-ჰამარბიუ | 1:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| გრატკორნი-ალტახი | 0:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვოლენი-კიასო | 1:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იანინა-ლევადია | 2:0 |
| ტრასივულოსი-პიერიკოსი | 1:2 |
| **თურქეთი** | |
| ქასიმფაშა-გეზიქთაში | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბბ გაზიანთეფი-ბოლუ | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-სლავია | 2:0 |
| **რუსეთი** | |
| ტომი-ანჟი | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| ტარგუ-კლუჟი | 0:0 |
| რაპიდი-უნივერსიტატეა (კრ) | 0:0 |
| **ბულგარეთი** | |
| სლავია-აკადემიკი | 2:0 |
| სლივენი-ჩერნომორეცი | 0:0 |
| ლოკომოტივი (ს)-პირინი | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-ირონი | 3:2 |
| **ჰოკეი** | |
| **ჩეხეთი** | |
| სლოვანი-ბოლესლავი | 2:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მონაკო** | |
| ლისნარი-ტროიცკი | 6:7, 1:6 |
| იუჟნი-ფ. მაიერი | 3:6, 6:2, 3:6 |
| **ხიმენო ტრავერო**-ხირალდო | 7:6, 7:5 |
| **ო. როხუსი**-ჩელა | 6:4, 5:7, 7:5 |
| ისტომინი-**გასკე** | 7:5, 3:6, 1:6 |
| გრანოლერსი-**ალმაგრო** | 3:6, 3:6 |
| **რობრედო**-დოდიგი | 6:4, 6:2 |
| სტახოვსკი-**ჟილი** | 1:6, 3:6 |
| ბაღდატისი-**შტეპანეკი** | 6:3, 1:6, 6:7 |
| დავიდენკო-**ჰაასე** | 5:7, 6:4, 4:6 |
| **ცონგა**-მონაკო | 4:6, 6:3, 6:2 |
| **ჩილიჩი**-ვოლანდრი | 6:2, 6:1 |
| ბენეტო-**ნიემინენი** | 6:4, 3:6, 6:7 |

## TV პროგრამა

**12 აპრილი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ სიტი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ბანფილდი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-გრონინგენი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ლილი.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კიევო.
23:55 გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ვერდერი.

**GMG-სპორტი**

10:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჰიუსტონი-დალასი.
12:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მიმოხილვა.
12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II წრე. მასტერსი. მონაკო (LIVE).
20:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ბოსტონი.
22:15 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-ირლანდია.
23:55 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჰიუსტონი-დალასი.

**I არხი**

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი (LIVE).

**რუსთავი 2**

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-ბარსელონა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

22:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 53 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 62 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონაკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

18:45 რუსეთის ჩემპიონატი. ხიმკი-სპარტაკი (LIVE).

**SPORT+**

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-ბარსელონა (LIVE).

**EUROSPORT**

17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 53 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 62 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).

## ამბები

**მძლეოსნობა**

### ბრილიანტის ლიგა გაძვირდა

მძლეოსნობის პრესტიჟული სერიის - „ბრილიანტის ლიგის" ორგანიზატორებმა წლევანდელი სეზონისთვის საპრიზო ფონდის გაზრდა გადაწყვიტეს. თუ შარშან თითო ეტაპზე 450 ათასი დოლარი თამაშდებოდა, ახლა ეს თანხა 30 ათასი დოლარით გაიზარდა. საერთო ჯამში, 2011 წელს „ბრილიანტის ლიგის" მთლიანი ჰონორარი 8 მილიონ დოლარს მიაღწევს. ამ ინფორმაციას სააგენტო AP ავრცელებს.

თითო ეტაპის გამარჯვებული 40 ათას დოლარსა და ბრილიანტებით დამშვენებულ პრიზს მიიღებს. გაიზრდება ბონუსების ოდენობაც. შეგახსენებთ, რომ „ბრილიანტის ლიგის" რიგით მეორე გათამაშება 6 მაისს დოჰაში დაიწყება, ბოლო ეტაპი კი 16 სექტემბერს ბრიუსელში გაიმართება.

### კარლ ლუისი პოლიტიკაში წავიდა

ცხრაგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **კარლ ლუისმა** პოლიტიკური კარიერის დაწყება გადაწყვიტა. ლეგენდარული ამერიკელი ნიუ ჯერსის შტატის სენატში მოხვედრას აპირებს. 49 წლის ლუისი ოფიციალურად თავის გადაწყვეტილებას დღეს სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადებს. ლუისი დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს.

10 ოლიმპიური მედლის მფლობელმა კარიერის დასრულების შემდეგ მსახიობობა სცადა და რამდენიმე ფილმში მიიღო მონაწილეობა.

**ჰოკეი**

### კანადა პიჩკოკს ჩააბარეს

გაირკვა, რომ მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კენ ჰიჩკოკი** იქნება. ეს სპეციალისტი ვანკუვერის ოლიმპიადაზე კანადელთა დამრიგებლის **მაიკ ბებკოკის** ასისტენტი იყო.

ჰიჩკოკის ბოლო სამუშაო ადგილი „კოლამბუსი" იყო, საიდანაც 2010 წლის თებერვალში დაითხოვეს. 59 წლის სპეციალისტი 2008 წელს ავარჯიშებდა კანადის ნაკრებს - მაშინ მისმა გუნდმა ფინალი წააგო რუსეთის ნაკრებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ კარო და ვიქტორია

გასულ კვირას ქალთა ტურნირები ლოგიკური შედეგებით დასრულდა - მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** და ინდიან უელსის ჩემპიონმა **ვიქტორია აზარენკამ** წარმატებით დაიწყეს გრუნტის სეზონი.

ჩარლსტონის ფინალში დანიელი ჩოგბურთელის მეტოქე რუსი **ელენა ვესნინა** იყო, რომელსაც ფატალური უიღბლობა სჭირს გადამწყვეტ მატჩებში. ეს მისთვის რიგით მეხუთე ფინალი იყო პროფესიულ ტურში და ზედიზედ მეხუთედ მარცხი განიცადა. არადა, ვესნინამ ტურნირის მსვლელობისას კარგი ფორმა აკრიფა და ფინალამდე გზიდან სერიოზული მეტოქეები ჩამოიცილა - **სტოსური, გორჯესი** და **პენგი**. ვოზნიაცკის კი ეტყობოდა სპორტული ფორმის დაკარგვა, მაგრამ ნებისმიერ მატჩში კაროლინი გადამწყვეტ მომენტებში ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა.

ფინალიც ამ ტურნირზე ვოზნიაცკის სხვა მატჩებს ჰგავდა. პერიოდულად ვესნინა სჯობდა მეტოქეს, მაგრამ სტაბილურობა არ ჰყოფნიდა. ერთადერთი, რაშიც რუსი სტაბილურად გამოიყურებოდა - ბადესთან თამაში იყო: 21-ჯერ გავიდა წინ და 18 ქულა აიღო. მიუხედავად ყველაფრისა, დანიელი უფრო ხარისხიან ჩოგბურთს აჩვენებდა და ამის ხარჯზე პირველი სეტი ორმაგი ბრეიკით მოიგო.

მეორე სეტში ვესნინა რთულად ინარჩუნებდა საკუთარ გეიმებს, შემდეგ კი მიღებაზე შანსი გაუჩნდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვოზნიაცკიმ ისევ კარგი თამაში აჩვენა, შემდეგ კი ერთადერთი ბრეიკი გააკეთა და პირველი ცდიდან ჩაანოდა მატჩზე - 6:2, 6:3.

დანიელმა სეზონში მესამე და კარიერაში მე-15 ტიტული მოიგო. ამ ეტაპზე მის ლიდერობას რეიტინგში არაფერი ემუქრება, რადგან **კიმ კლაისტერსი** როლან გაროსამდე კორტზე არ გამოჩნდება.

■ ■ ■

მარბელიას ტურნირის ფინალში მეტოქეებს შორის კლასში განსხვავება კიდევ უფრო მეტი იყო. რუმინელმა **ირინა ბეგუმ** კარიერაში საუკეთესო კვირა ჩაატარა. აქამდე ბევრისთვის უცნობმა ჩოგბურთელმა კვალიფიკაცია გაიარა და სენსაციურად გაალწია ფინალში. თანაც ნახევარფინალში ტურნირის მეორე ნომერი **სვეტლანა კუზნეცოვა** დაამარცხა. მაგრამ ბეგუ ფინალში უშანსოდ იყო, რადგან იქ ბრწყინვალე ფორმაში შესული ვიქტორია აზარენკა შეხვდა, რომელსაც მანამდე ზედიზედ 10 შეხვედრა ჰქონდა მოგებული.

პირველი გეიმები დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ აზარენკას უპირატესობა მაინც იგრძნობოდა. მთელი მატჩის განმავლობაში მან მეტოქეს წარმატების ერთი შანსიც არ დაუტოვა და დაახლოებით იმ ანგარიშით მოიგო, რომლითაც ვოზნიაცკიმ ჩარლსტონის ფინალი - 6:3, 6:2. მთელი ტურნირის განმავლობაში ვიქტორიამ მხოლოდ 19 გეიმი წააგო, რაც ამ სეზონში WTA-ის რეკორდია. მანამდე მისი მფლობელი ვოზნიაცკი იყო, რომელმაც დუბაიში პირველობისთვის 25 გეიმის წაგება იკმარა.

ამ კვირას ტურნირები არ არის, რადგან ფედერაციის თასის მატჩები უნდა გაიმართოს.

**WTA**

**Andalucia Tennis Experience**

მარბელია (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-ირინა-კამელია ბეგუ (რუმ) 6:3, 6:2.

**Family Circle Cup**

ჩარლსტონი (აშშ). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 721 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:2, 6:3.





# როლან გაროსი კიმის გარეშე

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** სავარაუდოდ გამოტოვებს სეზონის მეორე დიდ ტურნირს - როლან გაროსს. ბელგიელმა ჩოგბურთელმა თავისი ბიძაშვილის - **ტომის** ქორწილში ფეხის ტრავმა მიიღო.

ისედაც ცნობილი იყო, რომ კიმი აპრილის შუა რიცხვებამდე დაისვენებდა მხარისა და მაჯის ტრავმის გამო, ახლა კი ამას მორიგი დაზიანება დაემატა. ექიმებმა კლაისტერსს ტერფის არეში მყესის რამდენიმე განწყვეტა დაუფიქსირეს. რამდენიმე დღე კიმი საერთოდ ვერ გადადგამს ნაბიჯს.

წინასწარი ვარაუდით, კიმი დაახლოებით 4-6 კვირა ვერ შეძლებს თამაშს, საფრანგეთის ღია პირველობა კი სწორედ ექვს კვირაში იწყება (22 მაისს), რაც თითქმის გამორიცხავს კლაისტერსის პარიზში ჩასვლას.

შეგახსენებთ, რომ ბელგიელ ჩოგბურთელს მოგებული აქვს „დიდი სლემის" ბოლო ორი ტურნირი - აშშ-ის ღია პირველობა 2010 წელს და ავსტრალიის ღია 2011 წელს.

# მეორეხარისხოვანი ჩემპიონები

ამერიკის ტერიტორიაზე გრუნტის ერთადერთი ტურნირი ჰიუსტონში იმართება, თუმცა აქ დიდი ხანია ძლიერი ჩოგბურთელები აღარ ჩადიან. ამჯერად განთესვის პირველი ნომერი ადგილობრივ **მარდი ფიშს** ერგო. ცოტა ხნის წინ ის ამერიკული ჩოგბურთის ლიდერი გახდა, თუმცა ამ სტატუსმა ჰიუსტონში ვერ უშველა - იქ მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო და მეოთხედფინალში იოლად წააგო **კეი ნიშიკორისთან** -3:6, 2:6. ამ მოგებით გამხნევებულმა იაპონელმა ფინალში გაღწევა შეძლო, იქ კი მეორე ამერიკელი - **რაიან სვიტინგი** ელოდა. ამ ჩოგბურთელმა გაცილებით რთული გზა გაიარა - **სემ კუერის, თეიმურაზ გაბაშვილსა** და **ივო კარლოვიჩს** მოუგო.

თითქოს ფინალში უპირატესობა ნიშიკორის მხარეს უნდა ყოფილიყო, რომელსაც გამოცდილებაც მეტი ჰქონდა და თან წლეულს სვიტინგი დელრეი ბიჩში ჰყავდა დამარცხებული. მაგრამ რაიანმა საკმაოდ იოლად აიღო პირველი სეტი - 6:4 და მეორეში ბრეიკით დაწინაურდა. კეიმ შეძლო ანგარიშის გათანაბრება და რამდენიმე ბრეიკ-პოინტის განიავების შემდეგ საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, სადაც 23 წლის სვიტინგი უფრო დამაჯერებლად და აგრესიულად გამოიყურებოდა - 7:3. რაიანი გახდა პირველი ამერიკელი 2006 წლის შემდეგ, ვინც ჰიუსტონში მთავარი პრიზი მოიპოვა.

■ ■ ■

2009 წლამდე კასაბლანკას ტურნირი როლან გაროსის წინ იმართებოდა, თუმცა არც მაშინ და არც დღეს ძლიერი შემადგენლობა არასოდეს შეკრებილა და ამით მეორეხარისხოვან ჩოგბურთელებს უჩნდებოდათ ტიტულის მოგების შანსი.

ახლაც ფინალში ის მოთამაშეები შეხვდნენ ერთმანეთს, რომლებსაც აქამდე ATP-ის ტურნირი არ ჰქონდათ მოგებული. იტალიელმა **პოტიტო სტარაჩემ** მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე დაამარცხა შარშანდელი ფინალისტი **ვიქტორ ჰანესკუ**. მეორე ნახევარფინალში კი უფრო მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა - **პაბლო ანდუხარმა** ორ სეტში მოუგო **ალბერტ მონტანიესს**, რომელიც მანამდე ტიტულის მთავარ პრეტენდენტად მიიჩნეოდა.

მოკლედ, მოტივაცია ორივე ჩოგბურთელს საკმარისი ჰქონდა, მაგრამ ბრძოლა მაინც არ შედგა, რადგან იტალიელმა ნახევარფინალურ მატჩს იმდენი ენერგია შეალია, რომ ანდუხარს წინააღმდეგობა ველარ გაუწია. ესპანელმა საათზე ოდნავ მეტი დრო დახარჯა და მეტოქეს მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო. 29 წლის სტარაჩესთვის ეს მეოთხე წაგებული ფინალი იყო კარიერაში.


რაიან სვიტინგი

ამ კვირას მონტე კარლოს მასტერსში გასული ორი ტურნირის ვერც ერთი გმირი ვერ მიიღებს მონაწილეობას - სვიტინგი და ანდუხარი რეიტინგის მიხედვით ვერ მოხვდნენ ძირითად ბადეში, საკვალიფიკაციო ეტაპს კი, ბუნებრივია, ვერ ჩაუსწრეს.

**ATP**

**US Men's Clay Court**

ჰიუსტონი (აშშ). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 442 500 დოლარი

**1/2 ფინალი**

**რაიან სვიტინგი (აშშ)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:4, 7:6(3).

**Grand Prix Hassan II**

კასაბლანკა (მაროკო). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 398 250 ევრო

**1/2 ფინალი**

**პაბლო ანდუხარი (ესპ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა, 5) 6:1, 6:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

რადიო პალიტრა და ლუდი ჰეინეკენი
წარმოგიდგენთ
საფეხბურთო ვიქტორინას

გადაცემა „შუადღე"

გაეცით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი
და მოიგეთ 1 შეკვრა ლუდი ჰეინეკენი
და შანსი გაემგზავრო უეფას ჩემპიონთა
ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

ყოველ შაბათს
12 სთ-დან - 16-მდე.



FM 103.9
რადიო პალიტრა

რადიო პალიტრის ეთერში

www.palitratv.ge

PALITRA
TV-RADIO